# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





კვირა, 10 ოქტომბერი, 2004 წელი. №236 (4965) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


ხელოვანი და დრო

# მეჩექმიდან – საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობამდე



მიხეილ ჩუბინიძე.



სცენა სპექტაკლიდან „მელია და ყურძენი“. ეზოპე – მ. ჩუბინიძე, ლეა – თინა ბოქვაძე.

პირველად ბატონი მიხეილ ჩუბინიძე 1992 წლის ზაფხულში ვნახე ჩემი ნათესავის ოჯახში. იგი რამდენიმე დღის ჩამოსული იყო სოხუმიდან, რომლის თეატრშიც 50 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა. აღელვებით, ჯერ კიდევ განცდილი შთაბეჭდილებებით არდამცხრალი, შემზარავი სანახაობით გულმოკლული, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ალალად განიცდიდა და გვიამბობდა აფხაზეთის ომის შესახებ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა (ბატონი მიშა იმხანად 80 წელს იყო გადაცილებული), შესანიშნავად გამოიყურებოდა: ახოვანი, წარმოსადგენი გარეგნობისა, დახვეწილი მოძრაობები, ყველაფერ ამას კი მისი ხავერდოვანი, სასიამოვნო ხმის ტემბრი აგვირგვინებდა.

და აი, 12 წლის შემდეგ კვლავ შევხვდი 94 წლის მიხეილ ჩუბინიძეს თბილისში, თავის ბინაში (რაღა „თავის ბინაში“, სამადლოდ, მეგობართანაა შეხიზნული).

ტაატით, ნელი ნაბიჯებით შემოვიდა და სავარძელში ჩაჯდა. დაილაპარაკა თუ არა, კვლავ აღმიდგა მახსოვრობაში მისი ხმის ტემბრი – ტკბილი და სასიამოვნო მოსასმენი. სვენებ-სვენებით საუბრობს, სახენათელი, წვერმოშვებული. სამწუხაროდ, წლებს თავისი დაღი დაუსვია მისთვის.

იხ. მე-4 გვ.

## ნომერში წაიკითხავთ:

### „წესდებიდან ამოვარდნილი“ ტალანტი



პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეგობრებმა და ჭირისუფლებმაც კი არ იცოდნენ, რა სევდისა და ტკივილის, სრულქმნილი პოეტური მეტაფორების დამტევი ლექსები უწერია ამ უცნაური ბედის მქონე კაცს, ერეკლე მეფის უშუალო შთამომავალს.

მე-3 გვ.

### მგლებიც ტირიან



შარშან, წლის ბოლოს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიწყო ბეჭდვა მწერლისა და ჟურნალისტის რომან ამირეჯიბის ვრცელი კინომოთხრობისა „მგლებიც ტირიან“, რომელმაც, როგორც მკითხველის რეაქციიდან ჩანს, ინტერესი გამოიწვია. ამიტომ, ჩვენც სიამოვნებით ვბეჭდავთ მოთხრობის მეოთხე ნაწილს.

მე-4 გვ.

### უნივერსალური ფეხბურთელი



რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთაგან ამჟამად უკეთესი შედეგები აქვს 23 წლის მალხაზ ასათიანს.

მე-5 გვ.

პრეზიდენტი

## „მოყაყანენი“ და მშენებელნი

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურს ეწვია, სადაც რეზერვისტთა ბატალიონია განლაგებული და პარლამენტართა ნაწილიც ერთთვიან მომზადებას გადის.**

პრეზიდენტმა დაათვალიერა ბანაკი, გაეცნო რეზერვისტთა საქმიანობას, ცხოვრებას, საბრძოლო სწავლების მიმდინარეობას. მან ნანახს მაღალი შეფასება მისცა, ისადილა რეზევისტებთან ერთად და დაასაჩუქრა ბორჯომი-ხარაგაულის ნაკრძალში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეები.

მიხეილ სააკაშვილმა რეზერვისტების წინაშე გამოსვლისას გააკრიტიკა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოყაყანე პოლიტიკოსები“, რომლებიც ქართული ჯარის მშენებლობას უშლიან ხელს და ქილიკობენ.

**გურამ პავლიაშვილი.**



ინფორმაცია

### ფოთის პორტს სტატუსი ეცვლება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფოთის საზღვაო ნავსადგური, კერძო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდება და შპს გახდება. ამ ცვლილებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობას ორი თვის ვადა მისცა.

ფოთის საზღვაო ნავსადგური, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, 1999 წლის 31 დეკემბერს, მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით იყო რეგისტრაციაში გატარებული.

### რეფორმა გრძელდება

ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს სახელწოდება ეცვლება და ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი ხდება.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გააკონტროლებს, რომელმაც ერთ თვის განმავლობაში ინსტიტუტის ახალი დებულება უნდა მოამზადოს.

### „ვიმპელკომს“ ქართული ბაზარი აინტერესებს

ფიჭური კავშირგაბმულობის რუსული კომპანია „ვიმპელკომი“ საქართველოს ბაზარზე შემოსვლას გეგმავს. იგი საქართველოს ბაზარზე მოქმედი ფიჭური კომპანიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს.

კომპანიაში საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ორი ვარიანტი განიხილება – მოქმედი კომპანიების აქციების შეძენა, ან კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისგან ლიცენზიის აღება. „ვიმპელკომში“ ვარაუდობენ, რომ ტექნიკური მზადება 6 თვეში დასრულდება.

კომპანია მომავალ წელს საქართველოს ბაზრის გარდა, უკრაინის, ბელორუსის, სომხეთის და უზბეკეთის ბაზრებზე შესვლასაც გეგმავს.

„ვიმპელკომი“ რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიჭური კავშირის კომპანიაა, რომლის ძირითადი აქციონერები არიან „ალფა ჯგუფი“ და ნორვეგიის სატელეკომუნიკაციო კომპანია „ტელენორი“. კლიენტთა რიცხვი 20 მილიონს აღემატება.

**ინტერ-პრესი.**

კვირის თვალსაწიერი

## დიდი ხინკლაობა ოსიაურში, პრეზიდენტის არჩევნები აფხაზეთში და გამოძევებული მიგრანტები რუსეთში

**გასული კვირა ხინკლაობით კი დაიწყო, მაგრამ დამთავრებით ერთობ მაჟორულად – ბიზნესმენების ფინანსური ამნისტიის შესახებ განცხადებით დასრულდა.**

**რაკიღა კვირა ხინკლით დაიწყო, ჩვენც ამით დავიწყოთ.**

მცხეთა-მთიანეთის ახალმა გუბერნატორმა გოგი ხაჩიძემ პირდაპირ ნერწყვის მომგვრელი ძღვენი მიართვა ოსიაურის 350-კაციან რეზერვისტთა ბატალიონს, სადაც ცოტა ხნის წინათ თვითონაც ეუფლებოდა მხედართმთავრულ უნარ-ჩვევებს. როგორც კი გუბერნატორის ექვანი შეაბეს, ბევრი არ უფიქრია და ყოფილ თანაპოლკელებს („თანაპოლკელს“ აქ ტრადიციულად, სიტყვის მასალად ვხმარობ, თორემ ჩვენს ჯარში რომ პოლკი, დივიზია და სხვა მსგავსი კომუნისტურ-რუსული განზომილებები აღარ არსებობს, ყველამ ვიცით), ანუ თანაბატალიონელებს ის მიართვა, რაზეც, ძირითადად, იყო ხოლმე საუბარი წვრთნიდან-წვრთნამდე – ოხშივარავარდნილი, პილპილმოყრილი, ცხრამეტნაოჭიანი ხინკალი. ოღონდ, გამზადებული კი არ წაიღო ავტომანქანის საბარგულებით – თან მეხინკლე ქალთა ქვედანაყოფი იახლა (ყაზარმულ ენაზე თუ ვიტყვით) და ვით საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობას ასდიოდა ნისლი ხინკლისა.

3000 ხინკალი ერთბაშად თვალს კი გჭრის, მაგრამ კაცმა რომ თქვას, 3000 ხინკალი და 350-მდე გამგებელებული რეზერვისტი სულაც არ არის ის თანაფარდობა, რომელმაც ძალიან უნდა გააოცოს. გაოცება იმან გამოიწვია, რომ ხინკალს აუცილებელი ატრიბუტი: ქაფმოდებული ლუდი და პილატეს ცრემლი რომ არ შეაპარა გუბერნატორმა, თუნდაც სიმბოლური რაოდენობით, ასე ვთქვათ, „არა ყველასთვის“...

ისე რომ, ჩინებული ტრადიცია დანერგა ბატონმა გოგა ხაჩიძემ. თქვენ წარმოიდგინეთ, აწი რომ დაიწყება... ვთქვათ, ხაშლამის გაგზავნა მეხაშლამე კაცებითურთ, სამწვადისა – წალმით სავსე მანქანებითა და ხელშამფურიანი მემწვადეებით, ან ფქვილის ტომრებისა და ყველიანი დერგებისა – მეხაჭაპურე დიაცებით... იმისდა მიხედვით, რომელი კუთხიდან იქნება მეძღვნე – კახეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, თუ...

თუმცა ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და მომავალში ვილაპარაკოთ.

ამ კვირაში უფრო მნიშვნელოვანი სხვა ამბები გვქონდა.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის არჩევნები მოეწყო.

კარგა ხანია აფხაზეთის ირგვლივ ასეთი ხმაური არ ყოფილა: ხაჯიმბა თუ ბაღაფში?

არის ერთი გარჩევა და მარჩიელობა – ვინ გვიჯობს?

არადა, როგორც იტყვიან, ოსმანა და ალია ორივე თათარია.

ან, კიდევ უფრო გამომსახველად – ერთი შეწვი და მეორე მოხარშე.

არავითარი სხვაობა მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში არ იქნება.

ამ ეტაპზე პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი, გულშიც რომ ჰქონდეს, ვერ გაბედავს, განაცხადოს, არიქა, საქართველოსკენ მივბრუნდეთო.

ცოცხლად შეჭამენ!

ეს კია, კრემლის კაცი, რუსეთის პრეზიდენტის რჩეული ხაჯიმბა თუ გაძვრა, ბუნებრივია, რომის პაპზე უფრო კათოლიკე იქნება და ქართველთსიძულვილით გამოიჩენს თავს, ანუ ერთგულებას დაუმტკიცებს პატრონს.

იხ. მე-2 გვ.

პროტესტი

## ძველი ხელმძღვანელობა ახალს ცილს სწამებს

ღია წერილი საქართველოს გენერალურ პროკურორს და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობას

**მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს „ლიტერატურული საქართველოს“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა გაზეთის მთავარი რედაქტორის თამაზ წივწივაძის წერილი, რომლის მთელი არსი ისაა, თითქოს საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირში შემოსული გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები კავშირის ახლანდელი ხელმძღვანელობის მიერ თამაზ წივწივაძის მმართველობის პერიოდის დარღვევების გამოსავლენად საგანგებოდ იყვნენ მოწვეული და მკითხველთა ყურადღების მისაპყრობად რამდენიმეჯერაა აღნიშნული, რომ ჩვენ ამ ქმედებით ავადსახსენებელ 37 წელს ვამკვიდრებთ, რაც სიმართლეს არ შეეფერება.**

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობასთან გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა პირად საუბარში აღნიშნა, რომ მწერალთა ორგანიზაციაში მათ შემოსვლას საფუძვლად უდევს წარსულში ტელეკომპანია „რუსთავი-2“““ის პროგრამა „60 წუთის“ ჟურნალისტური გამოძიება.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ განახლებული საჩივრის ასლი, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა ხელახლა აღძრა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელ პირთა მიმართ.

თუ ეს სიმართლეს არ შეეფერება, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განუმარტოს საზოგადოებას, რის საფუძველზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რათა მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიმართ გაიფანტოს ღირსების შემლახველი ცილისწამების ბურუსი.

ამასთან, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ მწერალთა კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას არასდროს მიუმართავს გენერალური პროკურატურისთვის.

**მაყვალა გონაშვილი,**
**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე.**

ინციდენტი

## ის, რაც ხანძარმა ცხადყო

**ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობაზე გუშინ გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გაჩენა შედუღების აპარატისგან წარმოქმნილმა ნაპერწკლებმა გამოიწვია. თვითმხილველთა განცხადებით, წინასწარ ჩატარებული მოკვლევის მიხედვით, აღნიშნული სავაჭრო ჯიხურები მსუბუქი კონსტრუქციით არის დამზადებული და მოპირკეთებულია ადვილად აალებადი პოლიეთილენის მასალებით. ჯიხურები შპს „პროგრესს“ ეკუთვნის.**

ხანძარი მაშინ გაჩნდა, როდესაც ერთ-ერთ ჯიხურზე შედუღების აპარატით სარეკლამო აბრას ამონტაჟებდნენ.



ცნობილია, რომ ხანძრის შედეგად დაახლოებით 1500 კვადრატული მეტრის ფართობი დაიწვა. შემთხვევის ადგილზე მივიდა თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი. როგორც მან განაცხადა, ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსაზრება, რომ თბილისის ცენტრში ბაზრობების არსებობა დაუშვებელია.

მისი თქმით, თბილისის მერია კიდევ ერთხელ დაუბრუნდება აღნიშნულ საკითხს და ალბათ მიიღებს გადაწყვეტილებას, ბაზრობების გარეუბნებში გადატანის თაობაზე.

მერის განცხადებით, იმის გამო, რომ აღნიშნული ბაზრობა თბილისის ცენტრალურ, მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობს, სახანძრო მანქანებს გაუჭირდათ დროულად მისვლა და ხანძრის ლიკვიდაცია.

**ინტერ-პრესი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ვლადიმერ ნოვიკოვი,
ალექსანდრე რეუტოვი,
„კომერსანტი“, 9 ოქტომბერი.

Коммерсантъ

## ევროპის საბჭომ, გარკვეულწილად, გაამართლა საქართველოს იმედები

**ჩეჩნეთის შესახებ სამი რეზოლუციის მიღების შემდეგ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიამ ხუთშაბათ საღამოს, თბილისის თხოვნით განიხილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე პირადად ჩაფრინდა სტრასბურგში, რათა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან განეცხადებინა, რომ დიდი რუსეთი ჩაგრავს პატარა საქართველოს. მაგრამ ცხარე დებატების შედეგად გადაღლილი პარლამენტარები ნინო ბურჯანაძის სიტყვას საკმაოდ უხალისოდ უსმენდნენ. მით უმეტეს, რომ რეგლამენტის თანახმად, განსახილველი საკითხის შესახებ არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ იყო გათვალისწინებული.**

„ჩვენ დიდი ხანი ვცდილობდით მოგვეგვარებინა ყველა პრობლემა ორმხრივი მოლაპარაკებისა და კონსულტაციების დროს. მიხეილ სააკაშვილი რამდენჯერმე შეხვდა ვლადიმერ პუტინს. მეც არაერთგზის შევხვედრივარ ჩემს პატივცემულ კოლეგებს, მაგრამ ყოველივე ამის პასუხად რუსეთის მხრიდან მივიღეთ ის გადაწყვეტილებები და ნაბიჯები, რომლებიც ყველასათვის უკვე აშკარაა. თუ ჩვენ დავინახავდით, რომ რუსეთი ოდნავ მაინც სცემს პატივს საქართველოს სუვერენიტეტს,



ჩვენი ხალხის ღირსებას, რა თქმა უნდა, ვამჯობინებდით, რომ ყველა პრობლემა ორმხრივი წესით მოგვეგვარებინა“, – განმარტა თბილისის ინიციატივა სტრასბურგში გაფრენამდე მცირე ხნით ადრე საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა



**ორი ჩინელი ინჟინერი, რომლებიც პაკისტანში მუშაობდნენ ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე, ამას წინათ, გაიტაცეს ავღანეთის ახლო მდებარე რაიონიდან. ჩინეთის ხელისუფლებამ პაკისტანს მოსთხოვა, ზომები მიიღონ გატაცებულთა გათავისუფლებისთვის.**



**ავღანეთის უმაღლესი სახელმწიფო პოსტის დაკავების 15-მა პრეტენდენტმა – კარზაის ოპონენტებმა გუშინ მოითხოვეს საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესის შეწყვეტა უამრავი დარღვევის გამო. ჰამიდ კარზაიმ, თუმცა ის პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატად დარჩა, უარი თქვა არჩევნების გაუქმებაზე.**



**კოალიციის ძალებმა ერაყში უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია ერაყის ყოფილი ვიცე-პრემიერისა და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ტარიკ აზიზის გარდაცვალების შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 236, კვირა, 10 ოქტომბერი, 2004 წელი.

ⓞ კომპეტენტური აზრი

# როდის გამოიქცევა აფხაზი საკუთარი ფეხით ჩვენსკენ?

**საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის მტკივნეულ საკითხებზე ვესაუბრებით დიპლომატიური აკადემიის რექტორს, პოლიტოლოგს, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს სოსო ცინცაძეს.**

**— ბატონო სოსო, ახალი ხელისუფლების დროს გაიზარდა თუ არა საქართველოს ავტორიტეტი მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე?**

— რა თქმა უნდა, გაიზარდა. ამაზე ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტებიც მეტყველებს. თანამედროვეობის ისტორიაში ასტანის სამიტი უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთის პრეზიდენტს ღიად პირველად გამოუჩნდა ოპონენტი. პრესკონფერენციის დროს, როდესაც სააკაშვილი ყველას თვალწინ შეეკამათა მას და, პირდაპირ რომ ვთქვა, ტყუილი არ აპატია, ეს უდავოდ უჩვეულო მოვლენა გახლდათ.

დღეს სეპარატისტები ცეცხლთან თამაშობენ, რუსეთი მათი მუდმივი დამცველები ვერ იქნება. თუ უფრო მეტად სარფიანი ალტერნატივა გამოჩნდა, რუსეთი უცებ „გადააგდებს" აფხაზებსაც და ოსებსაც. ეს მომენტი დადგება და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ მშვიდობიანი გზით გადავჭრათ ყველა პრობლემა. მიხეილ სააკაშვილი სულ ამას ამტკიცებს.

გაეროსგან ჩვენ ბევრს არაფერს მოვითხოვთ, მაგრამ უკვე შეიქმნა ფონი, რომ საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი არის მშვიდობიანი გზა. თანამეგობრობის შეხვედრები კიდევ იქნება და, ვფიქრობ, რომ მიხეილ სააკაშვილი იმ ტემპს, რომელიც მან ასტანაში აიღო, არ დააგდებს და კიდევ უფრო მძაფრ და პრინციპულ წინადადებებს წამოაყენებს.

**— როგორ ფიქრობთ, რა იწვევს მაინც, ძირითადად, რუსეთის გაღიზიანებას, ქართველების ასე შეძულებას?**

— უშუალოდ, სიძულვილი რუს და ქართველ ხალხებს შორის არ არსებობს. ჩვენ ჟირინოვსკების და როგოზინების ფრაზები არ მოგვწონს, მაგრამ, მოდით, მაშინ ცოტა თვითკრიტიკულნი ვიყოთ და ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის გამოსვლებიც შევაფასოთ, ზოგჯერ ისეთ გამონათქვამებს გაიგებთ რუსეთის მიმართ, რომ თითქოს რუსეთს არც დოსტოევსკი ჰყოლია, არც ტოლსტოი, არც სახაროვი... ისეთი წარმოდგენა შეგექმნებათ, თითქოს რუსები V საუკუნეში გაყინული სკვითები არიან და მას შემდეგ, იქ არაფერი შეცვლილა. ხშირად, ზოგიერთი აქაური პოლიტიკოსი ივიწყებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უდიდესი მოაზროვნეების, დიდი კულტურული ტრადიციების ქვეყანასთან.

ამავე დროს, არც ამის უთქმელობა შეიძლება, რუს პოლიტიკოსებს ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ცივი ომი ჩვენ შორის იმ დროიდან დაიწყო, როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო. ამ ცივ ომს გააქტიურების სხვადასხვა ფაზა ჰქონდა. ერთ-ერთი აქტიური ფაზა იყო ცხინვალის მოვლენები. ამ ყველაფერთან შეგუებას დრო სჭირდება. რუსეთი ჩვენი გულწრფელი მეგობარი არასოდეს იქნება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ საქართველო ნატოში შესვლაზე უარს იტყვის, დასავლეთთან ურთიერთობას აღარ ისურვებს და რუსეთს ერთადერთ მარჩენალად აღიარებს. არადა, საქართველო ამას არასოდეს არ იზამს, ეს გამორიცხულია. ამდენად, კონფლიქტის მოსაწესრიგებლად გვრჩება მეორე გზა, — რუსეთი ნელ-ნელა უნდა მივაჩვიოთ, რომ საქართველოს პარტნიორის არჩევა თვითონ შეუძლია, რომ ჩრდილოეთიდან საქართველოში მზე აღარასოდეს ამოვა. ჩრდილოეთიდან მთელს მსოფლიოში მხოლოდ სუსხი მოდის.

**— როგორ შეძლებს ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერის მოგვარებას?**

— რუსეთის ლანძღვა, რაც ხშირად ისმის პარლამენტარების, პოლიტიკოსების თუ პოლიტოლოგებისგან, არაპროდუქტიულად მიმაჩნია. ეს არაფერს გვაძლევს. როგორც რუსეთზე, ისე სხვა ნებისმიერ ქვეყანაზე საუბრისას თავშეკავება და ღირსების გრძნობის შენარჩუნება გვმართებს. დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ჩვენი პოლიტიკოსი დაემსგავსოს ჟირინოვსკის, მიტროფანოვს ან როგოზინს. ჩვენს ახალგაზრდა პოლიტიკოსთაგან ბევრს სოლიდურობა აკლია. მათ ჰგონიათ, რომ რაც უფრო მეტად გალანძღავენ რუსეთს, ამით კარგ საქმეს აკეთებენ. არა! რუსეთში არის ბრწყინვალე ინტელიგენცია. მე რუსეთი მიკრიტიკებია, მაგრამ სამაგიეროდ მეორე რუსეთსაც ვიცნობ, სადაც ჩვენი მეგობარი ხალხიც ცხოვრობს. დღევანდელ ახალგაზრდებს კი, რომლებიც პოლიტიკაში 90-იანი წლებში მოვიდნენ, წარმოდგენაც არ აქვთ რუსეთზე, მათ უკვე სხვა რუსეთი დახვდათ, მათ ტიხონოვის რუსეთი არ ახსოვთ, ესენი მხოლოდ ჟირინოვსკის მოესწრნენ.

**— თქვენ სწორედ ამ თაობის პოლიტიკოსებთან გიწევთ დღეს ურთიერთობა. მათი უმრავლესობა საკუთარ მოსაზრებებში თვითდაჯერებულია, ხანდახან კი ზედმეტად ამბიციურებიც არიან, როგორ მოახერხებთ მათთან ურთიერთობას?**

— მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ნერვების ფასად. ამავე დროს, ჩემი ფეთქებადი ხასიათიდან გამომდინარე, ხშირად კონფლიქტებიც მომდის, მაგრამ, ძირითადად, ვცდილობ, რომ მომთმენი ვიყო, რადგან მათთან ურთიერთობა ძალიან ჭირს. თუმცა, გავა დრო და ისინიც დაღვინდებიან.

**— როგორ ფიქრობთ, თავად პრეზიდენტი რამდენად გაიზიარებს თქვენს რჩევებს?**

— რადგან ამ თანამდებობაზე ამირჩიეს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტს ჩემი სჯერა. მრჩეველთა საბჭოს ასაკი ერთად რომ შევკრიბოთ, მთელი პარლამენტის ასაკის ტოლი იქნება. ერთიანად დაღვინებული ადამიანები ვართ და ის, რომ პრეზიდენტმა არჩევანი ჩვენზე შეაჩერა, ეს უკვე იმედის მომცემია. ჩვენი პრეზიდენტი რომანტიკოსი რეალისტია — ასეთი ადამიანები კი ისტორიაში იშვიათობაა.

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით 3 ოქტომბრის აფხაზეთის არჩევნებს?**

— არ ვიზიარებ იმ აზრს, როდესაც ამბობენ, თუ ხაჯიმბა გავიდა, ცუდია, ან თუ ბაღაფში გავა, კარგია და ა. შ. [illegible] იტყვის, რომ [illegible] სებული პრობლემები მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. ეს ნებისმიერ მათგანს ძვირად დაუჯდება.

არჩევნების შედეგებს დიდი ენთუზიაზმით არ ვუყურებ, რადგან პრაქტიკულად პრეზიდენტი აფხაზეთს, რუსეთის პრეზიდენტის სახით, დიდი ხანია ჰყავს. ამიტომ, სანამ რუსეთთან ურთიერთობას ისეთ გასაღებს არ მოვუნახავთ, რომ თვითონ რუსეთმა, კეთილგანწყობილი თუ არა იქნება, ჩვეულებრივი ნეიტრალიტეტი მაინც დაიცვას, მე აფხაზეთის დაბრუნება შეუძლებლად მიმაჩნია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საქართველო მიმზიდველი გახდეს რიგითი აფხაზისთვის. ამის კლასიკური მაგალითია კვიპროსი, რომელიც მიმზიდველია დღეს თურქეთისთვის. როდესაც 6-7-ჯერ მაღალი ცხოვრების დონე იქნება თბილისში, ვიდრე სოხუმში, მაშინ თვითონ აფხაზები დაიწყებენ თბილისთან ურთიერთობას. სწორია დღეს ჩვენი ხელისუფლება, როდესაც აქცენტი საშინაო პოლიტიკურ პრობლემებზე გადააქვს. შარშან ამ დროს ვერავინ იფიქრებდა, რომ სასტუმრო „ივერია" თავისუფალი იქნებოდა, რომ ფუნიკულიორის კეთილმოწყობა დაიწყებოდა და ა. შ. მხოლოდ საშინაო პრობლემების მოგვარების შემდეგ შეიძლება დაიწყო ფიქრი სხვა დანარჩენზე, მათ შორის სეპარატისტული რეგიონების შემომტკიცებაზე.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი.**

ⓞ ინფორმაცია

**ზრუნვა**

**ახალგაზრდა მეცნიერები საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიას მიიღებენ**

მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდა მეცნიერებისთვის სამი ხარისხის სტიპენდია დააწესა. პირველი ხარისხის სტიპენდია — თვეში 250 ლარის ოდენობით, 40 წლამდე ასაკის მეცნიერ-თანამშრომლებს დაენიშნებათ, რომლებსაც საქართველოში მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აქვთ მინიჭებული.

მეორე ხარისხის სტიპენდიები — თვეში 200 ლარის ოდენობით, 35 წლამდე მეცნიერ თანამშრომლებს მიიღებენ, რომლებსაც მინიჭებული აქვს საქართველოში მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მესამე ხარისხის სტიპენდია — 150 ლარის ოდენობით, 30 წლის ასაკამდე ასპირანტებს დაენიშნება, რომლებიც დისერტაციის მნიშვნელოვან ნაწილს შეასრულებენ და სამი ნაშრომი გამოქვეყნებული აქვთ.

პრეზიდენტის სტიპენდიებზე ყოველწლიური კონკურსი გამოცხადდება. პირველი ხარისხის სტიპენდია 5 წლით მოიცემა, მეორე — სამი, ხოლო მესამე ორი წლით. ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ საქართველო [illegible] დის [illegible] უზრუნველყოფს [illegible] საფინანსო [illegible].

სტიპენდიები [illegible] ბულებ[illegible] სამთავრობო [illegible] ლების [illegible] რო წ[illegible].

**იქმარეთ 6 სართული!**

**მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ყაზბეგის ქუჩაზე დედაქალაქის მთავრობამ გუშინ უკანონო მშენებლობა შეაჩერა.**

ყაზბეგის ქუჩა №15-ში ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია საცხოვრებელ სახლს აშენებს. სახლის ექვსი სართული კანონიერად აშენებული, თუმცა მენაშენეთა გადაწყვეტილებით სახლს უკანონოდ კიდევ ორი სართული დაემატა. ამ ფაქტმა მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა პროტესტი გამოიწვია.

როგორც ინტერ-პრესს მერიაში განუცხადეს, მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული იქნება და მშენებლობა არ გაგრძელდება, თუ ამის მომხრე იქ მცხოვრებნი არ იქნებიან.

**ინტერ-პრესი.**

ⓞ კვირის თვალსაწიერი

# დიდი ხინკლაობა ოსიაურში, პრეზიდენტის არჩევნები აფხაზეთში და გამომევებული მიგრანტები რუსეთში

(პირველი გვერდიდან)

ბაღაფშიც არანაკლებ „მართლმორწმუნე" აფხაზი ლიდერი იქნება, ოღონდ შეიძლება დილაობით, ჩაის ნაცვლად, ჩვენი სისხლი არ დალიოს. მას ქართველებთან ბევრი აქვს საერთო.

ამიტომ მიიღო გალელთა უმეტესი ხმა.

ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დაზუსტებული, ვინ გაიმარჯვა ამ ორს შორის: მართალია, ცესკოს 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თითქოს ბაღაფშმა გაიმარჯვა, მაგრამ საბოლოო ცნობის გამოქვეყნება ფერხდება, რადგან გალის რაიონში განმეორებითი კენჭისყრა უნდა გაიმართოს.

ერთი კი აშკარაა: რუსეთის პრეზიდენტი პუტინი აფხაზეთში თავის „გენერალ-გუბერნატორს" ვერ დანიშნავს. მთელი ის მოულოდნელი, საყოველთაოდ გასაოცარი და, ვთქვათ, პირდაპირი, არასაკადრისი ქმედება, რომელიც ამ ზაფხულს ვლადიმერ ვლადიმერის ძემ ჩაიდინა, რათა მთელი მსოფლიოსთვის და, კერძოდ, აფხაზეთისთვის დაენახვებინა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო „აქ № 1 აფხაზი", ვინ უნდა ჩადგომოდა სათავეში ანტიქართულ ბრძოლას თვით საქართველოს შიგნით, როცა სოჭში დემონსტრაციულად მიიღო უღიარებელი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და ვლადიმერ არძინბას მიერ თავის შემცვლელად წამოყენებული ხაჯიმბა და მერე დახურულ კარს მიღმაც კარგა ხანს ესაუბრა, ანუ მითითებები მისცა მას, მაშინ, როდესაც დსთ ყველა სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთის ხელმძღვანელს არათუ მოლაპარაკება არ უნდა ეწარმოებინა, არამედ გვერდითაც არ უნდა გაეკარებინა უღიარებელი აფხაზეთის რესპუბლიკის ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელი, როგორც ჩანს, ამაო გამოდგა.

დღეს ანტიქართული მიმართულება, უბრალოდ, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსია. იმის მტკიცებას არ მოვყვები, რომ სპეციალურად საქართველოდან მიგრირებულთა მიმართ გაკეთდა-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ ეროვნების მიგრანტებისთვის არის ყველაზე მეტი ელდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ 1 ოქტომბრის მიღებული შესწორება კოდექსში ადმინისტრაციული დარღვევების შესახებ, რომლითაც ვეღური ჯარიმები დაწესდა არაკანონიერი მიგრანტებისთვის. უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც ქვეყანაში ყოფნის რეჟიმის დარღვევისთვის დაიჭერენ, მოუწევს შრომის ანაზღაურების 10-დან 25-მდე მინიმალური ზომის გადახდა, 5-დან 10-მდეს ნაცვლად, რასაც დღეს იხდიან. სამუშაოს მიმცემს, რომელმაც უკანონო მიგრანტი დაიქირავა ან ორგანიზაციას, რომელსაც ასეთი მუშახელი ჩამოჰყავს რუსეთში, შეიძლება შრომის ანაზღაურების 5 ათასჯერ (!) მინიმალური ზომა გადაახდევინონ. ამას გარდა, კანონი ამცირებს სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ საქმეების განხილვის ვადას, რომლის შემდეგაც მიგრანტი შეიძლება ქვეყნიდან გააძევონ.

არადა, პარადოქსული ვითარებაა! რუსეთს მომავალშიც ექნება უცხოელთა გარკვეული ნაწილის დასაქმების არეალი. ამ ქვეყნის შრომითი რესურსების დემოგრაფიული ზრდა სერიოზულადაა შეფერხებული. დიდია შრომითი მიგრაციული ნაკადები რუსეთიდან ევროპასა და ამერიკაში. მოსახლეობის კლების ტემპმა 6 პრომილეს მიაღწია. ბოლო წლებში რუსეთის მოსახლეობის შემცირებამ წლიურად თითქმის მილიონი ადამიანი შეადგინა. მეორე მხრივ, რუსეთი უზარმაზარი ბუნებრივი საწარმოო პოტენციალით აღრეც და ამჟამადაც ქმნის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ფართო სპექტრს, რაც ნაწილობრივ მეზობელი ქვეყნებიდან მუშახელის იმიგრაციის ხარჯზე დაკმაყოფილდება.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, მიგრანტთა მიმართ კანონი მკაცრდება. იოლი მისახვედრია, რომ ეს ღონისძიება რუსეთში გამწვავებული ტერორისტული და კრიმინოგენური ვითარების წინააღმდეგ ბრძოლის ერთგვარი გამოძახილიც არის. რუსეთი იძულებულია უზარმაზარი დამატებითი თანხები დახარჯოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების ასამაღლებლად. მაგალითად, წლევანდელ ბიუჯეტთან შედარებით მომავალი წლის ბიუჯეტში თავდაცვისთვის გათვალისწინებულია 27,7 პროცენტით მეტი — 528,1 მილიარდი რუბლი. ხოლო უშიშრო-ებისთვის 26 პროცენტით მეტი 398,4 მილიონი რუბლი. სამაგიეროდ შემცირდება ასიგნებანი საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში — 57 პროცენტით, ეკოლოგიაში — 8 პროცენტით და განათლებაში — 1,2 პროცენტით.

პარასკევს გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლება განიხილავს კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულების, ფინანსებისა და ქონების ლეგალიზებას. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ვერც ერთი მაკონტროლებელი ორგანო ვერ შეამოწმებს 2004 წლის 1 იანვრამდე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობას. პრეზიდენტი გარანტიას იძლევა, რომ ბიზნესმენებს ზედმეტად არავინ შეაწუხებს (ოღონდ, ეს კანონი არ ვრცელდება მათზე, ვინც შემოსავალი მძიმე დანაშაულით დააგროვა). კანონპროექტის მთავრობა პარლამენტს 20 ოქტომბრამდე წარუდგენს.

სხვათა შორის, მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას, ბატონი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის HTB-ს. არხით ნაჩვენებ საქართველოს პრეზიდენტისადმი მიძღვნილ ბინძურ ფილმსაც შეეხო და მას „უპრეცედენტო და ანეკდოტური" უწოდა. მან ამ ფილმის გადაღება და ჩვენება ასე ახსნა: „იმ ადამიანებისთვის, ვინც უკვეთავს და იღებს ასეთ ფილმებს, მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ საქართველოში ყველაფერი კარგად მიდის. არ გამართლდა მათი ვარაუდი, რომ საქართველო ათ ნაწილად დაიშლებოდა. ახლა ამ ხალხმა სერიოზულად დაიწყო ნერვიულობა, ვაითუ, საქართველოში ყველაფერი ისევ კარგად წავიდესო".

ერთი რამ შეიმჩნევა: ამ ბოლო ხანს პრეზიდენტი უფრო დინჯად და აუღელვებლად ხვდება მოსკოვის ასეთ გამოხდომებს. უფრო შინაური საქმეების გამო ცხარდება ხოლმე: კორუფციულ მოვლენებზე, იმ ჩინოვნიკებზე, ვინც ვერ გაამართლა და ა.შ.

არადა, ასეთი მაგალითები ცოტა როდია: ხეტყის უკანონო ჭრის მფარველობის ბრალდებით ამ დღეებში დააკავეს ხულოსა და შუახევის გამგებლები, გამოძალვის ბრალდებით — ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს პირველი განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი და ა.შ.

იწყება ახალი კვირა. წინასწარ ძნელია თქმა, რას მოგვიტანს ის, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ რუსეთი მომავალშიც დაარღვევს ჩვენს საჰაერო სივრცეს, ზრუნვას არ მოაკლებს სოხუმსა და ცხინვალს, რათა საგანგებოდ მოახდინოს ევროსაბჭოში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე თბილისის მიერ მოგებული დებატების „დეზავუირება".

ესე რომ, მეტი თავშეკავება და სიდინჯე გვმართებს. დინჯად ვაკეთოთ ჩვენი საქმე და თუ მართლაც რაიმეს მივაღწევთ, ის თვითონ იტყვის ამ საქმეზე.

**ალეკო ასლანიშვილი.**

ⓞ არჩევნების წინ

# ჩუმად და მინიშნებით გადახდილი მადლობა

**ამას წინათ გაზეთში პუბლიცისტ ვაჟა აბრამიშვილის საინტერესო წერილი წავიკითხე. ვიცოდი, რომ გორში, გასული საუკუნის 90-იან წლებში გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღდგენის და მოხატვის საქმეს თბილისიდან, პარტიის ცეკადან, მალულად მფარველობდა მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ თუ იგი რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელი ჯუმბერ პატიაშვილი იყო, არ ვიცოდი.**

ეკლესია აღდგა, აკურთხეს და მრევლი მთაზე ამოვიდა. კედლები ცნობილი ხატმწერის ნოდარ აბრამიშვილის მიერ სასოებით და სიყვარულით შექმნილმა ოთხი წმინდანის — მაცხოვარის, ღვთისმშობლის, დავით აღმაშენებლის და სამშობლოსთვის წამებული მღვდლის თევდორეს ხატებმა დაამშვენა.

ამ დღეებში თხუთმეტი წლის წინანდელი სხვა საიდუმლოც გაცხადდა: წმინდა თევდორე თურმე ჯუმბერ პატიაშვილის თვალებით უმზერს აქ მოსულ მრევლს. ნოდარ აბრამიშვილი დღეს ჩვენთან აღარაა. ეს საიდუმლო მან თავის დროზე ძმას, ვაჟა აბრამიშვილს გაანდო. თუმცა აქ არაფერია დასამალი. შეხედეთ ხატს და ყველაფერი საცნაური გახდება. სხვა საქმეა, რომ მაშინ ამის თაობაზე საუბარიც არ შეიძლებოდა.

ასე ჩუმად და მინიშნებით გადაუხადა ხატმწერმა მადლობა საქვეყნო, კეთილი საქმისთვის მუდამ შემართულ კაცს.

მოდი და, გზაზე რომ მიდიხარ, მადლს ქვაზე ნუ შემოდებ...

ჯუმბერ პატიაშვილი კი იმიტომ ვახსენე, რომ ამ დღეებში გორის № 32 საარჩევნო ოლქში მისულს, საარჩევნო კომისიის მდივანმა თამარ მურალოვამ მითხრა: ჯუმბერ პატიაშვილი, პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის" მიერ წარმოდგენილი კანდიდატი, 24 ოქტომბერს შუალედურ არჩევნებში ჩვენს ოლქში იყრის კენჭსო.

კომისიის მდივანმა ისიც თქვა, რომ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფმა მეორე კანდიდატად გოგი მჭედლიშვილი დაასახელა. იგი გორელია, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ადგილობრივი სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ეჭვგარეშეა, ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთი ერუდირებული, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე და საქმისმცოდნე დეპუტატით გაძლიერდება.

საარჩევნო ოლქში ორივე კანდიდატი რეგისტრირებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საარჩევნო ოლქსა და უბნებში ყველაფერი მზადაა არჩევნების მაღალ დონეზე და ობიექტურად ჩატარებისთვის. ყველა უბანშია გამოკრული სიები, დაწესებულია მორიგეობა, უზრუნველყოფილნი არიან ყუთებით, ახლა ხმის მისაცემად ჯიხურებსაც აწყობენ. ქალაქსა და რაიონში რეგისტრირებული 73616 ამომრჩეველი 24 ოქტომბრისთვის ემზადება.

საარჩევნო ოლქიდან წამოსვლისას თამარ მურალოვას ვკითხე:

— ხელისუფლებას არამცთუ თავისი კანდიდატი არ „ჩაუსვია" ორივე „უცხო" კანდიდატისთვის, არამედ მხარსაც კი უჭერს ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურას...

— დიახ, — თქვა ქალბატონმა თამარმა, — ხელისუფლების მიზანი სულაც არ არის მხოლოდ ნაციონალებით შევავსოთ პარლამენტი. ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ, ვინც პატიოსანი და ქვეყნის ერთგულია, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად მამულის სამსახური გაუხდია. ხომ გახსოვთ: კაცი იყავ კაცური და...

ასეთ ადამიანებს, მართლაც, უფლება აქვთ იქ ილოცონ, სადაც სამშობლოს ყველაზე მაღალი სამრეკლო ეგულებათ. ჯუმბერ პატიაშვილი კი, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა ეტაპზე კაცი იყო და კაცად დარჩა.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ" საკ. კორ.

ⓞ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროპის საბჭომ, გარკვეულწილად, გაამართლა საქართველოს იმედები

(პირველი გვერდიდან)

ხუთშაბათ საღამოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან მან განაცხადა: „მოსკოვმა ბოლო უნდა მოუღოს საქართველოში სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერას. დაუშვებელია ებრძოდე სეპარატიზმს ჩეჩნეთში და უმაგრებდე მის ზურგს საქართველოში", — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც გულისხმობდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. „თუ რუსეთს სურს იყოს პასუხისმგებლობით აღჭურვილი სახელმწიფო, ისეთი, რომელსაც პატივს სცემს საერთაშორისო გაერთიანება, რატომ მიმართავს იგი ორმაგ სტანდარტებს საქართველოსთან უსაფრთხოებაში?" — იკითხა ნინო ბურჯანაძემ.

საპასუხო სიტყვაში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე კოსაჩოვმა დამსწრეებს მოუწოდა, ჩაუფიქრდნენ, თუ რა მიზნები ამოძრავებს თბილისს, როცა სისტემატურად ცდილობს მიაპყროს საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება იმ პრობლემებს, რომლებიც არსებითად, საქართველოს საშინაო პრობლემებია. „იქნებ, საქართველოს ხელმძღვანელობას ეს სჭირდება საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებლად იმისთვის, რომ იგი გეგმავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების მოგვარებას ძალის გამოყენებით?" — გამოთქვა ვარაუდი რუსმა დეპუტატმა.

ევროპის საბჭომ, გარკვეულწილად, გაამართლა საქართველოს იმედები. ამ პრობლემის განხილვაში მონაწილე პარლამენტართა დაახლოებით ნახევარმა, გულახდილად აღიარა, რომ სათანადოდ ვერ ერკვევა საკითხში, მაგრამ საქართველოს მხარე თუ მართალია, შექმნილი ვითარების დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. თუმცა, საქართველოს დელეგაციას ალბათ უფრო მეტის მიღწევის იმედი ჰქონდა. კონსტინტინე კოსაჩოვის თქმით, როცა ერთსაათიანი დებატების შემდეგ, თავმჯდომარემ გამოაცხადა სხდომის დასრულების შესახებ, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ოდნავ დაბნეულად გამოიყურებოდა. თუმცა, სხდომის რეგლამენტი არც ითვალისწინებდა რაიმე გადაწყვეტილების ან დოკუმენტების მიღებას.

ი. ასადოვა,
„ეხო" (ბაქო),
9 ოქტომბერი.

# მიხეილ სააკაშვილმა ვაგიფ მუსტაფაევი ღირსების ორდენით დააჯილდოვა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანელი რეჟისორი, აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის მოადგილე ვაგიფ მუსტაფაევი დააჯილდოვა ღირსების ორდენით საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებასა და ორი ქვეყნის თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისთვის და საქართველოს ხელოვნების მუშაკებისთვის გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერის გამო.**



როგორც „ეხოს" კორესპონდენტს აცნობეს, საქართველოს აზერბაიჯანის საელჩოში, ორდენის გადაცემა უახლოეს დღეებში გაიმართება საზეიმო ვითარებაში. აღვნიშნავთ, რომ მანამდე საქართველოს მთავრობის ღირსების ორდენი მიენიჭათ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის მეთაურს ნათიკ ალიევს, აზერბაიჯანის კულტურის მინისტრს ფოლად ბულბულ-ოღლის.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას, ვაგიფ მუსტაფაევმა აღიარა, რომ „ახალი კინო XXI საუკუნე" საერთაშორისო კონკურსში ამ ცოტა ხნის წინათ მოპოვებული წარმატების შემდეგ იგი აღარ ელოდა ახალი ჯილდოების მიღებას. შეგახსენებთ, რომ რეჟისორი ფესტივალიდან ერთბაშად რამდენიმე პრიზით და გრან-პრით დაბრუნდა.

**— როგორ შეხვდით ახალ ამბავს თქვენთვის ღირსების ორდენის მონიჭების შესახებ?**

— რა თქმა უნდა, მოხარული ვარ. ეს ჩემს ცხოვრებაში მეორე ორდენია. ბედნიერი ვარ. პირველი დიდების ორდენი, ჩემი სამშობლოს ჯილდო მომანიჭა ჩვენმა საერთო-ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა. ახლა მეორე ორდენით დამაჯილდოვა მეგობარი და მოძმე ქვეყნის ხელმძღვანელმა. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და ამ ქვეყნის კულტურის ყველა მოღვაწეს ჩემს მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისთვის და საპატიო ჯილდოს მონიჭებისთვის.

**— გვიამბეთ ქართული კულტურის წარმომადგენლებთან თქვენი თანამშრომლობის შესახებ...**

— ეს ჯილდო დავიმსახურე ქართველ ხალხთან რეალური მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის. ჩემს ფილმებში მონაწილეობდა მრავალი ქართველი მსახიობი — მამუკა კიკალეიშვილი, ლეილა კიკალეიშვილი, გამოჩენილი მსახიობი ავთანდილ მახარაძე, ჩემთან უმუშავიათ ოპერატორებს ლომერ ახვლედიანს, ჯიმშერ ქრისტესაშვილს, მუსიკა ჩემი ფილმისთვის „ეროვნული ბომბი" შექმნა საქვეყნოდ აღიარებულმა ქართველმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, რომელსაც, სხვათა შორის, მიენიჭა პრიზი „ფილმის საუკეთესო მუსიკისათვის" ფესტივალზე „ახალი კინო. XXI საუკუნე". აღვნიშნავ, რომ ქართული კულტურა, ისევე როგორც ჩვენი, ძალზე მკაფიო და მდიდარია. ჩვენი კულტურების თანამშრომლობას შესანიშნავი შედეგები მოაქვს. და ჩვენ ამის მოწმეები ვყოფილვართ არა მარტო კინოში, არამედ კულტურის სხვა სფეროებშიც.

თათულ აკოფიანი,
აგავნი არუთინიანი,
თბილისი, „აზგ", 9 ოქტომბერი.

# რუსეთმა ხმელეთიდან და ზღვიდან განახორციელა საქართველოსა და სომხეთის ბლოკადა

## თუ განიხილავენ ამ საკითხს თბილისში, სააკაშვილისა და ქოჩარიანის შეხვედრის დროს?

**რუსეთ-საქართველოს საზღვარი ზემო ლარსის პუნქტში 1 სექტემბრიდან გადაკეტილია. დოკუმენტებით ეს ფაქტი განამტკიცეს 15 სექტემბერს. ამის შესახებ სომხეთის მხარეს ოფიციალურად შეატყობინეს 20 სექტემბერს, როცა სასაზღვრო საკონტროლო-გამშვებ პუნქტში საზღვარზე გადასვლის მსურველთა რიცხვმა ათას კაცს გადააჭარბა. თანაც, საზღვრის გადაკეტვის შესახებ წინასწარ არანაირი გაფრთხილება არ ყოფილა, და ხალხი კვლავ მიდიოდა საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან.**

საქართველოს მხარე აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ზემო ლარსის მონაკვეთზე საკონტროლო-გამშვები პუნქტი ღიაა. „საზღვარი საქართველოს მხრიდან ღიაა, იგი რუსეთის მხრიდან არის ჩაკეტილი. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ წუთს უზრუნველვყოთ სომხეთისკენ მიმავალი ტრანსპორტის საბაჟო და საპასპორტო მომსახურება. რუსეთის მხარემ ბოლოს 9 და 12 სექტემბერს 2 საათის განმავლობაში გამოატარა სომხეთისაკენ მომავალი რამდენიმე ავტომანქანა", — განაცხადა „აზგ"-ის კორესპონდენტებთან საუბრისას საქართველოს საბაჟოს სამმართველოს „ჩრდილოეთის" საკონტროლო-გამშვები პუნქტის ხელმძღვანელმა კახა მიქელაძემ.

არსებითად, რუსეთმა საქართველოსა და სომხეთის სახმელეთო ბლოკადას 12 სექტემბრიდან საზღვაო ბლოკადაც დაუმატა. სატვირთო ბორნის შეკეთების საბაბით ორი კვირით შეწყდა ტვირთზიდვა ფოთი-ნოვოროსიისკის მიმართულებით.

ორი კვირა უკვე კარგა ხანია გავიდა. რუსეთის მხარის განცხადებით, ფოთი-ნოვოროსიისკის მარშრუტზე ბორანი მხოლოდ 18 ოქტომბრისთვის ამოქმედდება. როგორც გაზეთ „აზგ"-ს აცნობა კომპანია „აპავენის" ხელმძღვანელმა არსენ ყაზარიანმა, ტვირთზიდვა სომხეთ-რუსეთის მიმართულებით და პირიქით ხორციელდება სწორედ ფოთი-ნოვოროსიისკის მეშვეობით.

ზემო ლარსზე ტვირთზიდვის დაახლოებით 20 პროცენტი მოდის. ზამთრობით ეს გზა ძნელად გასავლელი ხდება. მაგრამ, ამ მომენტისთვის დარიალის ხეობაში თავმოყრილი სატრანსპორტო საშუალებებისთვის უმთავრესი ამოცანაა ის, რომ როგორმე გამოაღწიონ იქიდან თოვლის მოსვლამდე.

რუსეთის მხარე არ ასახელებს გზის გახსნის რაიმე კონკრეტულ ვადებს, თუმცა, მანამდე არაერთგზის განუცხადებია, რომ საზღვარი უკვე ღიაა. „საელჩო არ წყვეტს საზღვრის გახსნა-დახურვის საკითხებს. მე ასეთ ცნობებს ვერ მოგაწვდით", — გვიპასუხეს საქართველოს რუსეთის საელჩოში, როცა ვკითხეთ, ჰქონდათ თუ არა რაიმე გარკვეული ინფორმაცია საზღვრის გახსნის შესახებ.

რუსეთის მხარემ, როცა დახურა საზღვარი და აუკრძალა ამით ტრანსპორტს მოძრაობა სომხეთის მიმართულებით და სომხეთიდან — საქართველოს ტერიტორიის გავლით — რუსეთისკენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაავრცელა ცნობა, რომ საქართველოს მხარე თითქოს უშლიდეს ხელს ტრანსპორტის მოძრაობას საზღვარზე. ამასთან, სომხეთის ოფიციალური პრესა აღნიშნავს, რომ ქოჩარიან-პუტინის სატელეფონო საუბრის შედეგად, რუსეთის მხარემ გახსნა საზღვარი, დაბრკოლებებს კი მხოლოდ საქართველოს მხარე ქმნის.

და მართლაც, რუსეთს არ გადაუკეტავს მხოლოდ როკის გვირაბი. მაგალითად, საზღვარზე რუსეთის მხრიდან თავმოყრილ სომხებს დართეს სამხრეთ ოსეთში ჩასვლის ნება, მაგრამ მათ იქ ხვდებათ უკვე ახალი პრობლემები ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით. საქართველოს მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ არსებობს ერთი, ოფიციალურად მოქმედი საკონტროლო-გამშვები პუნქტი — ზემო ლარსი.

რუსებს, რომლებიც სომხეთის მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთის ნებას რთავენ სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე და ახალისებენ კიდეც ამას, ჩინებულად აქვთ შეგნებული, რომ ამ ხალხის შემდგომი გადაადგილება შეუძლებელი იქნება. ანუ, რუსეთის მხარე გზავნის რა სომხებს როკის გვირაბის მიმართულებით, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს მხარეს, რადგან იგი ცნობს ამ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს და ხელს უშლის სომხების შემდგომ გადაადგილებას, რითაც წარმოიქმნება ახალი სირთულეები სომხეთ-საქართველოს ურთიერთობაში.

სხვათა შორის, ეს პრობლემები უახლოეს მომავალში, შესაძლოა გახდეს საქართველო-სომხეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების საგანი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 22-24 ოქტომბერს თბილისს ეწვევა სომხეთის პრეზიდენტი. თუმცა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი არც ვიზიტის ხასიათი (ოფიციალური, თუ სამუშაო) და არც განსახილველ პრობლემათა წრე.

მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**

სისხლის ყივილი

# „წესდებიდან ამოვარდნილი“ ცალანტი

ჰარბა ხანია ასე რაღაცრ გავუხარებიათ. თუმცაღა, რა სახარელი, რის აღვაყება, – ჩემს სულს და გულს ახლა რთავ აფორიაქებს და იმითი გერმაქებს ზარებს, ბაგრატიონთა სახელოვანი გვარის ერთ-ერთი გამორჩეული, უმძიმესი ბედისწერით დაღდასმული ვაჟკაცის პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის პოეტური კრებულის გამოცემა, რომელიც დიდ [illegible] და სიყვარულით შეძლებოდა ჩვენს ცნობილ პოეტის და მოღვაწე ქალბატონის, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი იმა ორჯონიკიძეს.

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, რომ ულამაზესი და დაუვიწყარი სიმღერების – „თბილისო“, „გვიხმობს სამშობლო“ (მერე „სამშობლოს“ მაგივრად ცეკამ „პარტია“ რომ ჩაგვიჩხიხეს და ეროვნული ჰიმნის ბადალი ლექსი დაამახინჯეს!), „მინდორთ დამამშვენებელო“, „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“, „ჰიმნი სიყვარულს“ ანუ „გამხელილი ცოდვა“, „სადაც გინდა იქ ილოცე“, „ზღაპარს მაგონებ“, „მოხუცი ფოსტალიონის სიმღერა“, „რომანსი“ (კინოფილმიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“), „მიმინოს სიმღერა“, „დღეები მიდიან“, „ქურდი ბიჭის სიმღერა“ და სხვა ლექსების ავტორი პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი იყო, მაგრამ, – მის უახლოეს მეგობრებს და ჭირისუფალთაც კი (მე რომ არ გამეგო, რა გასაკვირი იყო) დღემდე არ სცოდნიათ რა სევდის და ტკივილის, სრულქმნილი პოეტური მეტაფორების დამტევი ლექსები უწერია ამ უცნაური ბედის მქონე კაცს, ერეკლე მეფის უშუალო შთამომავალს.

ლექსი, რომელიც ამ წიგნის პრეზენტაციაზე საქვეყნოდ პირველად გახმაურდა და რომლითაც ეს კრებული იხსნება, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი შენაძენი მგონია. ტოტალური სიცრუის კომუნისტურ ეპოქაში აღზრდილი კასტრირებული თაობის სულის ამოძახილი, საქართველოში გარდამავალი წითელი დროშების ფრიალის და მოჩვენებითი, ყალბი გამარჯვებების ხანაში, 1978 წელს შექმნილი ეს ლექსი შემზარავი პირდაპირობით და სითამამით არისხებს ზარებს: **„შიშში აღზრდილი, უნდობლობაში დაკაცებული, ციხის მუქარით გაწამებული, მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა, ვისაც ღალატად უთვლიდნენ სინდისს და უმეცრებად გამბედაობას“...**

ასე იწყება ეს ლექსი, რომელიც უკვე 60-ს მიტანებულმა პეტრე ბაგრატიონმა დაწერა. მანამდე კი, 24 წლის ულამაზესი და უკეთესი ვაჟკაცი, ფილოლოგი და რეჟისორი, პოეტი და მთარგმნელი, ხელნაწერ ჟურნალში „ანთიმა“ (მისი მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა) წერს: **„დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირმშოს ხმალი“...** იმის მიუხედავად, რომ მისი დიდი პაპა საქართველოს რუსეთთან შემერთებელი მეფე, თითოეული ქართველს უსაზღვროდ უყვარდა, „ახალი ბავარაკა“ იყო, კომუნისტებმა ჟურნალი დახურეს და მთელი სარედაქციო ჯგუფი დააპატიმრეს. [illegible] 1945 წლის მიწურულს კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა მიუსაჯეს... ოთხი წლის შემდეგ (!) გამოუშვეს და სუკის მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეს, თან „თეთრი ბილეთი“ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პირის დამღით, პასპორტის მაგივრად უბოძეს...

ამის მიუხედავად, როგორც მისი უახლოესი მეგობრები რეზო კვესელავა, აკაკი დვალიშვილი, ბიჭიკო საჯაია, გიგა ლორთქიფანიძე, ირაკლი უგულავა, ბიძინა კვერნაძე, იაკობ ბობოხიძე, გურამ მელივა და ირაკლი კენჭოშვილი ამ წიგნში შეტანილ მოგონებებში წერენ, პეტრეს არასოდეს უწუწუნია, საოცარი იუმორის გრძნობა შეინარჩუნა, უნიკალურ ლიბრეტოებს და სიმღერებს წერდა, მანდილოსნებს გამორჩეული მოკრძალებით და არისტოკრატიულობით ეპყრობოდა, თანაც ჩაუდენელი დანაშაულის მონანიების განცდასაც კი გამოხატავდა: **„ბევრჯერ მიტირია, ბევრჯერ მინანია, მაგრამ ჩემ ცოდვათა მონანიებაზე ფიქრიც გვიანია!..“**

ზემოთ მოხმობილი ლექსი ასე გრძელდება – **„სხვისი ბრძანებით ნამღერი ჰიმნით, სხვისი კარნახით წაკითხულ წიგნით, დობერმანივით ერთნაირი გარეთ თუ შიგნით, მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა... ან გაყიდული სულით ხორცამდე, ან ციხე-ციხე ნათრევ-ნაცემი, ან დარდით ღვინის კასრში ჩამხრჩვალი, ან ჩინ-მედლებით სავსე, გამცემი, რაც მქონდა წმინდა – ყველაფერი სულში დაობდა, თან მეზიზღება, თან მეცოდება ჩემი თავიც და ჩემი თაობაც...“**

რა მართალი სტრიქონებია, ნებისმიერი თაობისთვის ჭკუისსასწავლი და გულის ფიცარზე დასაწერი. დღესაც რამდენი სულით ხორცამდე გაყიდული და ჩინ-მედლებით სავსე გამცემი გვყავს. დღესაც როგორ ჭირს ისეთი ადამიანების მოძებნა, რომელთა შესახებაც პეტრე გრუზინსკი იტყოდა: **„კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე“...**



კომუნისტური წესდებიდან და გამოგონილი მორალიდან ამოვარდნილი 20 წლის ბიჭი ლაღი, ალალი სტრიქონებით უმღერის სიყვარულს, სილამაზეს, თბილისის ღამეს **(„ო, რომ შემეძლოს თბილისის ღამეს, შემოგახვევდი სახეზე ჩადრად, რომ შენი სახის ნაზი მშვენება, ჩემს მეტს არავის არ დაენახა. ო, რომ შემეძლოს თბილისის ღამეს დავჭრიდი შენი თვალთა სხივებით, შეგიკერავდი ბნელ წამოსასხამს, მოქარგულს ჩემი ცრემლის მძივებით“. 1939 წ.**). ამასთანავე, ვისაც მისი სილაღე და პატრიოტული აღტკინება არ მოსწონს, პირში მიახლის ბაგრატოვანთა შინაგანად მართალი შთამომავალი: **„ვიცი, არ მოგწონთ ჩემი ქცევა, აზრის გამოთქმა, არა მსურს ვიყო გამოგონილ მორალის მონა, დედის გინებით უნდა ვსდიო ამ სულელ მოდგმას, ვინც სიყვარულში წესდებები დააკანონა“...**

ქართულ პოეზიაში იშვიათია, 20 წლის ჭაბუკს ასე თამამად და გაბედულად დაეხატოს ეპოქის უკუღმართი სახე.

საოცარი სიურპრიზია მკითხველისთვის, – თავსმოხვეული ეპოქის ბოღმა და ზეცაში მოფარფატე სიყვარული ერთ პოეტში ასე გამორჩეულად, ერთმანეთისგან განსხვავებული პოეტური ხერხებით რომ არის წარმოჩენილი. როცა იბრძვის, ბოლომდე, დაუნდობლად იბრძვის, როცა მშვენიერებას შეამჩნევს, თითქოს, ყველაფერი ავიწყდება და მღერის, მაგრამ რას მღერის: **„ნამდაუყრელო ყვავილო, ვარდის კოკორო უშლელო, შენზე მტირალი სიო ვარ, სულიდან ამოუშლელო. შენმა ცქერამა ჩემს გულში, ცეცხლი შთანერგა, იალა, შენმა თვალებმა დამჭრა და წავიდა, გაიციალა“ (1943 წ.).**

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსებზე სიმღერებს ჩვენი გამოჩენილი კომპოზიტორები რევაზ ლაღიძე, გიორგი ცაბაძე, არჩილ კერესელიძე, იაკობ ბობოხიძე, ბიძინა კვერნაძე, სულხან ცინცაძე, გუგული თორაძე წერდნენ. პოეტი მათთან ერთად ნადირობდა და თევზაობდა, მცხეთის აგარაკზე მათთან ერთად ქეიფობდა, თუმცაღა, მთვრალი არასოდეს უნახავთ და არავის ახსოვს ერთი ბილწი სიტყვა ეთქვას. ასეთი წარმომავლობის, გამორჩეული მეგობრების, შვილებისა და შვილიშვილების პატრონი კაცი, ულამაზესი სიმღერების აღიარებული ავტორი, მაინც ეულად იყო, დღემუდამ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა და დარდს ჩიბუხში ჩატენილი თუთუნის კვამლს აყოლებდა...

ციხემ, გამუდმებულმა თვალთვალმა, ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ და „თეთრმა ბილეთმა“ ჯანმრთელობა შეურყია და 1984 წლის 13 აგვისტოს, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა... დევი სტურუას დახმარებით, ძლივს დაკრძალეს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 1997 წელს კი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ძალისხმევით, სვეტიცხოვლის ტაძარში მამამისის და დიდი წინაპრების გვერდით გადაასვენეს.

ამ ყველაფერს, საოცარი გულწრფელობით და დამაჯერებლად ამოიკითხავთ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსების, სიმღერების (თავისი ნოტებით) და მასზე მოგონებების პირველ წიგნში.

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანემ“, დააფინანსა თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურმა. წიგნის გამორჩეული დიზაინი ეკუთვნის ჯაბა ასათიანს.

წიგნის ტირაჟი, რა თქმა უნდა, მცირეა, არადა, საშუალება რომ იყოს, ის ყოველწლიურად უნდა გამოსცე და ყველა მეთერთმეტეკლასელს, გამოსაშვებ საღამოზე საჩუქრად უბოძო...

**სპარტაკ ქოზულია.**

თანამშრომლობა

# ფრანგები ახალ დახმარებასაც ჰპირდებიან

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გუშინწინ ფრანგული ენის კათედრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ორი აუდიტორიის პრეზენტაცია გაიმართა. ამ კარგ საქმეზე საფრანგეთის საელჩოს, ქალაქ ნანტის (საფრანგეთი) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეესხა ხორცი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საფრანგეთის ელჩი საქართველოში ფილიპ ლეფორი და საელჩოს წარმომადგენლები. პროექტი ამ უნივერსიტეტის ფრანგული ენის პედაგოგთა და სტუდენტთა მომზადებისათვის იდეალური პირობების შექმნას ითვალისწინებს.**

კათედრის გამგის განმარტებით, ჯერჯერობით გარემონტდა და უახლესი სასწავლო საშუალებებით აღიჭურვა ორი აუდიტორია, რომლებშიც განთავსდა 7 კომპიუტერი, ტელევიზორი, მაგნიტოფონები. უკვე ჩამოსულია და განბაჟების შემდეგ შემოიტანენ მდიდარ წიგნად ფონდს. გეგმაშია კიდევ 3 ასეთი საუცხოო აუდიტორიის მოწყობა, რასაც მალე დაიწყებენ.

უნივერსიტეტი გაზაფხულზე გზას დაულოცავს ფრანგული ენის სპეციალობის პირველ კურსდამთავრებულებს – 10 ახალგაზრდას. სხვადასხვა კურსებზე 10-12 სტუდენტი სწავლობს. წლეულს კი ფრანგული ენის მასწავლებლობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა და დიდი კონკურსით 20-მდე აბიტურიენტი ჩაირიცხა. ამ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ორი-სამი პედაგოგი ჩამოდის ნანტიდან და ისინი მარტო სტუდენტს კი არ უტარებენ ლექციებს, არამედ პედაგოგებთანაც მუშაობენ. ამჟამადაც ორი ნანტელი პროფესორი ემსახურება ამ საქმეს.

ფრანგული ენის კათედრის გამგემ, პრორექტორმა სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მაია თევზაძემ სტუმრებს დაათვალიერებინა განახლებული აუდიტორიები და მადლობა მოახსენა ბატონ ელჩს და ნანტელ პროფესორებს დახმარებისთვის. მან მადლიერება გამოთქვა რექტორის, პროფესორ ვახტანგ სართანიასადმიც, რომლის დიდი ძალისხმევითაც რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა მათი კათედრა.

ბატონი ფილიპ ლეფორი დამსწრეთ ქართულად მიესალმა და მადლობა მოახსენა მიწვევისათვის.

– მეც მასწავლებელი ვიყავი, მერე ცუდად წამივიდა საქმე და ელჩი გავხდი, – იხუმრა მან. ჩემთვის ძალიან ახლობელია განათლებასთან და, განსაკუთრებით, ფრანგული ენის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენი ურთიერთობისა და, განსაკუთრებით, ფრანგულ-ქართული ურთიერთობის განმტკიცებისთვის, აუცილებელია, რომ ფრანგული ენის სწავლება ცოცხალი, თანამედროვე მეთოდებით მიმდინარეობდეს, ისევე, როგორც საფრანგეთში ვცდილობთ, რომ ქართული ენა თანამედროვე დონეზე უფრო აქტიურად ისწავლებოდეს. მოგეხსენებათ, რომ პარიზშია აღმოსავლური ენების შემსწავლელი ინსტიტუტი („ინალიკო“), სადაც კავკასიურ ენებთან ერთად ქართულ ენასაც შეისწავლიან.

ელჩმა მასპინძლებს კვლავაც აღუთქვა დახმარება და ყველას წარმატებები უსურვა.

სტუმრებს მადლობა მოახსენა და სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვახტანგ სართანიამ.

დასასრულს ფრანგების პატივსაცემად უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

**ბელა ლომთაძე.**

ყოფა

# ელიელთა ხანმოკლე სიხარული

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილმა, სათაურით „უკვდავების წყალი სამყოფად გვექნება“ გაახარა ელიაზე, რუისპირის ჩიხის მობინადრეები, რადგან ვიუწყებოდით და ვიმედოვნებდით, რომ მისაქციელის გაფართოებული საინფილტრაციო მოედნის გახსნა თბილისის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა.

სამწუხაროდ, მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა... როგორც აქ მცხოვრები, ელიის ერთ-ერთი მობინადრე **თენგიზ ჭკუასელი** გვწერს, მათ უბანში წყლით მომარაგება კიდევ უფრო გაუარესდა.

იმედია, ქალაქის ხელისუფლება გაითვალისწინებს ელიას უბნის მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას და სხვა რაიონების მსგავსად, მოკლე ხანში, წყალმომარაგებას ელიის მოსახლეობასაც გაუუმჯობესებს.

**გიორგი სიხარულიძე.**

ფასები

### ინფლაცია

სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (1 ოქტომბერი – 7 ოქტომბერი) 100,34 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,14 პროცენტი იყო. (ეს ინდექსი ასახავს 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას).

წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე გაიზარდა საშუალოდ 0,34 პროცენტით. მათ შორის სურსათზე – 0,86 პროცენტით, ხოლო მომსახურებაზე და არასასურსათო საქონელზე ფასები უცვლელი დარჩა.

### სურსათი

გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა ღორის ხორცზე 5,0%-ით და კარტოფილზე 8,3 %-ით.

### არასასურსათო საქონელი

წინა კვირასთან შედარებით ფასები არ შეცვლილა.

### მომსახურება

გასულ კვირასთან შედარებით ფასები უცვლელი იყო.

| | 27.08<br>02.09 | 03.09<br>09.09 | 10.09<br>15.09 | 16.09<br>22.09 | 24.09<br>30.09 | 01.10<br>07.10 |
|---|---|---|---|---|---|---|
| [redacted] | 0.29 | 1.07 | 0.17 | 0.13 | 0.14 | 0.34 |
| [redacted] | 0.67 | 2.81 | 0.41 | 0.32 | 0.36 | 0.86 |
| [redacted] | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| [redacted] | 0.25 | -0.09 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

**საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.**

ინფორმაცია

<u>ავარია</u>

**ორი ადამიანი დაიღუპა**

**გუშინ დილით ხაშური-ბორჯომის საავტომობილო მაგისტრალზე მომხდარი ავარია მსხვერპლით დასრულდა.**

**“ოპელის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც თბილისის პოლიციის თანამშრომელი მართავდა, „გაზელის“ მარკის ავტომანქანას შეეჯახა. ავარიის შედეგად „ოპელში“ მყოფი ორი მგზავრი გარდაიცვალა.**

**ავარიის მიზეზთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ჯერჯერობით კონკრეტული განცხადება არ გაუკეთებიათ.**

<u>ინციდენტი</u>

**ლიანდაგიდან გადავარდა თუ გადააგდეს?**

**გუშინ დილით კასპი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალზე ინციდენტი მოხდა. სოფელ გრაკალთან სატვირთო მატარებლის შემადგენლობა ლიანდაგიდან გადავარდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**



**ლიანდაგზე მხოლოდ ელმავალი დარჩა, მატარებლის დანარჩენი შემადგენლობა კი, ელმავალს მოსწყდა და რესლებიდან გადავარდა.**

**ავარიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. როგორც ძალოვნები აცხადებენ, ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო.**

**რამ თუ ვინ მოუსწრაფა ჩვილს სიცოცხლე?**

**სამართალდამცველებმა გუშინ ქალაქ გორის ერთ-ერთ უბანში ჩვილი ბავშვის გვამი აღმოაჩინეს.**

**გვამი ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო დამარხული. ჯერჯერობით დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობა დადგენილი არ არის, თუმცა სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ახალშობილი მისივე დედამ ჩამარხა.**

**ჯერჯერობით ექსპერტიზის შედეგები ცნობილი არ არის. დაუდგენელია, ჩვილი ბავშვი ცოცხალი დამარხეს, თუ მკვდარი. ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე გორის რაიონულ პროკურატურაში აღიძრა.**

<u>კრიმინალი</u>

**უკვე მესამედ ააფეთქეს...**

**გორის რაიონის ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზები უკვე მესამედ ააფეთქეს. ჯერჯერობით ამ ფაქტს დივერსიის კვალიფიკაცია არ მისცემია, რადგან აფეთქება გუშინ დილით მოხდა და სამართალდაცველები ჯერ კიდევ შემთხვევის ადგილზე მუშაობენ.**

**აფეთქება გორის რაიონის სოფელ შავშვებთან, ოსური სოფლის წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 500 და 220 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზებზე მოხდა. დაზიანებულია ანძის საყრდენები. ენერგომომარაგება არ შეწყვეტილა იქიდან გამომდინარე, რომ უშუალოდ ელექტროგადამცემი ხაზები არ დაზიანებულა.**

**სპეციალისტების განცხადებით, ეს ფაქტი ანალოგიურია იმ ორი აფეთქებისა, რომელიც ცოტა ხნის წინათ მოხდა სოფელ რეხის და ხაშურის მიმდებარე ტერიტორიებზე.**

**რა სახის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო ანძებთან დამონტაჟებული, ჯერჯერობით უცნობია.**

**ინტერ-პრესი.**

გამოცემა

# წიგნიც არის და წიგნიც!..




ცნობილმა მწერალმა და კრიტიკოსმა ჯანსუღ ღვინჯილიამ ბევრ კარგ საქმესთან ერთად ერთი საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებაც დაისახა მიზნად – ქართული პოეზიის თანავარსკვლავედის სათაურით შვიდტომეულის გამოცემა. მან მხოლოდ სამი ტომის გამოცემა მოასწრო – სიკვდილმა უეცრად მოცელა... ესენია შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე; მზად ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და პოემა, რომელიც უკვე მისმა ერთგულმა თანამგზავრმა, მისი საქმის კეთილად გამგრძელებელმა ქალბატონმა ნანა ახობაძე-ღვინჯილიამ გამოსცა შარშან გამომცემლობა ჯანსუღ ღვინჯილიას გრიფით.

„კარგად დაწყებული საქმეები“ – ეს სიტყვები „თანავარსკვლავედის“ გამოცემის იდეის ავტორს – ჯანსუღ ღვინჯილიას ეკუთვნის – წერს ქალბატონი ნანა ახობაძე-ღვინჯილია მის მიერ ხელდასხმულ ტომის წინათქმაში და განაგრძობს: – „ერთმა უცნაურმა ჩვეულებამ მოიკიდა ფეხი ჩვენი კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში – კარგად დაწყებული საქმეები მომრავლდა, კარგად დაგვირგვინებული საქმეები იშვიათობად იქცა – ასე წუხდა ჯანსუღ ღვინჯილია ჯერ კიდევ 1974 წელს პრობლემისადმი მიძღვნილ საგანგებო სტატიაში“.

**საგულისხმო ფაქტი:** „თანავარსკვლავედის“ გამოცემა გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დაიწყო და იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი იუბილისადმია მიძღვნილი. მართლაცდა კარგად დაწყებულ ამ საქმეს მეუღლის უდროოდ დაკარგვის შემდეგ ქალბატონი ნანა შეეჭიდა და აი, ჩვენს ხელთაა აკაკი წერეთლის რჩეული მინაწერით: **ეძღვნება ჯანსუღ ღვინჯილიას ხსოვნას...**

ეს შესანიშნავი წიგნი დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში და თანაც იდეის ავტორის ჯანსუღ ღვინჯილიას დაბადების დღის წინ – 14 ოქტომბერს იგი 64 წლის გახდებოდა.

– ეს ჩემი ცხოვრების წიგნად იქცა, – თქვა ქალბატონმა ნანამ, ახლა ვაჟას და გალაკტიონის ჯერია, თითქმის ყველაფერი მზად დატოვა, ყველაფერს მისი ნახელავი ეტყობა...

პარალელურად გამომცემლობა „ჯანსუღ ღვინჯილია“ თვით ბატონ ჯანსუღის ოთხტომეულზე მუშაობდა – პირველი ტომი 2001 წელს გამოვიდა, მეორე – 2002 წელს, მესამე – შარშან და სიმბოლურია, რომ მათი გამოსვლა სწორედ მწერლის დაბადების დღეს ემთხვეოდა. წლეულს მეოთხე ტომს შეაგვიანდა; სამაგიეროდ „თანავარსკვლავედის“ მეხუთე წიგნი მიაგება მის ხსოვნას ქალბატონმა ნანამ, რასაც უთუოდ დაუმადლებს ყველა, ვის ხელშიაც ეს ჩინებული გამოცემა მოხვდება – ჩინებული და იშვიათი – ტირაჟი სულ 500 ცალია!

კრებული იხსნება აკაკის „უკანასკნელი ლექსის“ ავტოგრაფის ასლით:

**„აღარ გსურს ჩემი ანთება,
მნათე ხარ სხვისი ლამპრისა!..
დამწუნებელო ბულბულის,
გიყვარს კაჭკაჭი სხვა მხრისა!..“**

ყოველ ტომს ახლავს ბოლოსიტყვაობა – რუსთაველს – სარგის ცაიშვილისა, გურამიშვილს – რევაზ ბარამიძისა, ილიას, ბარათაშვილს და აკაკის კი იდეის ავტორისა.

წიგნში ლექსებთან ერთად შეტანილია პოემები „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“ (ძველებური ამბავი) და „გამზრდელი“ – (ნამდვილი ამბავი). აქვეა ი. კრილოვის იგავ-არაკების რჩეული თარგმანები. კრებული გამდიდრებულია ილუსტრაციებით – ზოგი ფოტოსურათი ნაკლებად ცნობილია და მეტ შუქს ფენს დიდი პოეტის ბიოგრაფიას – საქართველოს სათაყვანო პოეტი-მგოსნის ხატს – როგორც იხსენიებს მას თავის წერილში ჯანსუღ ღვინჯილია.

**ნანა ღვინეფაძე.**

მეცნიერება

# კრება არ დარჩა მხიარული

## ნუ შევუდგებით არსებული სააკადემიო სისტემის მასიურ გადაწყობას

**გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება ერთადერთსაკითხიანი დღის წესრიგით „ინფორმაცია აკადემიის რეფორმირების სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“. მომხსენებელი გახლდათ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ჯაფარიძე.**

საერთო კრების გახსნისას აკადემიის პრეზიდენტმა ალეკო თავხელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრეზიდიუმის მიერ აკადემიის ამ უმაღლეს ორგანოში გამოტანილი რეფორმირების საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აკადემიისა და საერთოდ, ქვეყანაში მეცნიერების შემდგომი ბედისთვის. მართალია, მომხსენებლის გამოსვლას, რომელსაც ახლა მოვისმინეთ, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი ექნება და რეფორმირების ჯგუფისგან წარმოდგენილი დოკუმენტის გარშემო დღეს რაიმე გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, მაგრამ ეს დოკუმენტი უახლოეს ხანში უნდა განიხილონ აკადემიის განყოფილებებმა სათანადო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად, რის შემდეგაც რეფორმირებასთან დაკავშირებით შევიმუშავებთ საერთო პოზიციასო.

ასეთი იყო ბატონი ალეკოს შეხედულება კრების ამოცანასა და დანიშნულებასთან დაკავშირებით.

ერთობ შინაარსიანი აღმოჩნდა ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენება, რაც ერთხმად აღნიშნეს შემდგომ გამოსულმა ორატორებმა.

საქართველოში ფუნდამენტური მეცნიერების შენარჩუნება და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მისი სისტემური ორგანიზების პირობებში. ხელისუფლების ნებითა და დახმარებით უნდა შეიქმნას ფუნდამენტური მეცნიერების ავტონომიურად მართვადი და თვითორგანიზებადი სისტემა, რომელიც მოიცავს: დემოკრატიულ და ოპტიმალურ ფუნქციონირებას; ბუნებრივ შერწყმას ევროკავშირის სამეცნიერო სტრუქტურებთან; შემდგომ შერწყმას ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან; მომავლის მოთხოვნათა შესაბამის სრულყოფას.

ასე ხდება აღმოსავლეთ ევროპის წარმატებულ ქვეყნებში, რომლებიც მიისწრაფიან ევროპის ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებისკენ. ფუნდამენტური კვლევების სფეროში ისინი, ძირითადად, ინარჩუნებენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ერთიან სისტემებს – მეცნიერებათა აკადემიებს, დემოკრატიულ საწყისებზე მათი მოდერნიზაციის გზით. ასეთი გზით სიარული, პლუს მეცნიერების მაქსიმალური პოპულარიზაცია, მიზანშეწონილია საქართველოსთვის, სადაც ბოლო ათწლეულის კატაკლიზმებმა და სიდუხჭირემ მეცნიერება, შეუფერებლად დროისა და ქვეყნისთვის, არაპოპულარული გახადა.

საქართველოში ფუნდამენტური მეცნიერების ერთიანი ორგანიზმის შესანარჩუნებლად, არსებული მეცნიერებათა აკადემია უნდა გარდაიქმნას ახალი ტიპის მეცნიერულ აკადემიად. ეს იქნება ქართული საზოგადოების უძველესი კულტურული ტრადიციების შენახვის, აგრეთვე, თანამედროვე პირობებში ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად მოწოდებული, ეროვნული მნიშვნელობის მქონე ორგანიზაცია.

მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უნდა მივიჩნიოთ ძირითად სამეცნიერო ორგანიზაციად, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს და წარმართავს და ეწევა სამეცნიერო კვლევებს.

აკადემია არის საქართველოს თვითმართვადი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულება, საქართველოს ხელისუფლების მეცნიერული მრჩეველი; აკადემია დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის სტრუქტურაზე სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებებს, სამეცნიერო-საორგანიზაციო, საკადრო, სამეურნეო, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებს; აკადემია წარმოადგენს კორპორაციული ტიპის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონით განსაზღვრული დამატებითი წყაროებიდან; აკადემიის შემადგენლობაში შედიან სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და კანონით ან აკადემიის წესდების შესაბამისად განსაზღვრული ერთეულები.

ასეთია მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის რამდენიმე ძირითადი პრინციპი...

საერთო კრების შემდეგ ჩვენ გვქონდა მომხსენებელთან გასაუბრების შესაძლებლობა.

**– ბატონო გიორგი, როგორც ცნობილია, არსებობს საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის, ვთქვათ ასე, სახელისუფლებლო პროექტი; თუ შეიძლება, გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ.**

– აკადემიაში არაერთხელ გამოითქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მეცნიერების განვითარების სტრატეგიული პროგრამა. უმაღლესი განათლების რეფორმის წარმოდგენილი პროექტი არსებითად არაფერს ამბობს მეცნიერების განვითარებაზე. საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება თავად სასწავლო პროცესების რეფორმა. ასეთ პირობებში სრულიად მიუღებელია მეცნიერების მართვის მექანიზმი, შემოთავაზებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მეცნიერების მართვის ერთადერთ ცენტრად საკუთარ თავს გულისხმობს.

**– მაშინ, რა შეიძლება დაუპირისპირდეს არსებულ პროექტს, როგორია თქვენი მხრიდან – აკადემიას ვგულისხმობ – არგუმენტაცია?**

– საქართველოს სჭირდება მეცნიერების ორგანიზაციული და თემატური მრავალსახეობა, ისეთი, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულფასოვან განვითარებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უნდა გავიაზროთ, როგორც ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და არის კიდევაც ასეთი. მას შეუძლია უმოკლეს ხანაში ჩაატაროს არსებითი რეფორმა და გახდეს დასავლური ტიპის ფუნდამენტური კვლევის ერთიანი ეროვნული ცენტრი. ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია მაღალი ავტორიტეტის მქონე, ტრადიციული ინსტიტუტების შენარჩუნება და სახელმწიფოსგან გარანტირებული ბაზური დაფინანსებით, მათი არსებობის უზრუნველყოფა. მხოლოდ საგრანტო და მიზნობრივი დაფინანსებისას, როგორც ეს ნავარაუდევია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ პროექტში, გარდუვალია საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ნგრევა და ათწლეულობით დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების დაკარგვა.

**– დისკუსიის მოსმენის შემდეგ, როგორი შთაბეჭდილება გამოგყვათ საერთო კრებიდან?**

– აკადემიის საერთო კრება ერთსულოვანი აღმოჩნდა იმაში, რომ შეუძლებელია არსებული სააკადემიო სისტემის ისეთი გადაწყობა, როცა ინსტიტუტები ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად დაიშლება და მათგან, სავარაუდოდ, ახალი სამეცნიერო ცენტრები აიგება...

რეფორმირების დილეტანტური იდეების მატარებელი პროექტები მხოლოდ დამანგრეველი პოტენციალის შემცველია – ასეთი ფიქრიც გამიჩნდა.

ბატონო გიორგის ამ ნაფიქრალს ჟურნალისტიც სრულად იზიარებს...

უახლოეს დღეებში აკადემიის განყოფილებები, აკადემიის პრეზიდენტის დავალების შესრულებით, დაასრულებენ სამუშაო ჯგუფის მიერ რეკომენდებული რეფორმირებული დოკუმენტის განხილვას. ჩვენ მივუბრუნდებით მის შეჯერებულ, საბოლოო ვარიანტს.

**თამაზ ეზანიძე.**

⊙ ხელოვანი და დრო

# მეჩექმიდან – საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობამდე

(პირველი გვერდიდან)

– ცოტა ხმამაღლა ელაპარაკეთ! – მაფრთხილებს მისი მეუღლე ქალბატონი ნელი, – სოხუმის ამბების შემდეგ სმენა თანდათან დააკლდა.

ქალბატონი ნელი გაიდამაკი საკავშირო მნიშვნელობის დამსახურებული პედაგოგია, ისინი 1948 წლიდან ცხოვრობენ ერთად.

ვცდილობ, ბატონი მიხეილი ნაკლებად შევაწუხო და, ბუნებრივია, ქალბატონ ნელის ვესაუბრები.

– რამდენადაც სასიამოვნო იყო სოხუმში გატარებული წლები, იმდენად მძიმე მოსაგონარია ომის დღეები. ყველაზე დრამატული იყო ის დღე, როდესაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ათეული მეომარი შემოგვეჭრა ოჯახში.

დღესაც არ ვიცი, ვის, ან რას ემებდნენ. არც რაიმე ნივთი წაუღიათ და არც შეურაცხყოფა მოუყენებიათ. ეს შემთხვევა შემზარავი და თავზარდამცემი იყო. მერე და მერე, როცა საშინელი ბრძოლები დაიწყო ქალაქში, იძულებული გავხდით, იქაურობა დაგვეტოვებინა.

სოხუმის ცენტრში ვცხოვრობდით, ახლადაშენებულ კომფორტულ ოთხოთახიან ბინაში, ამბობენ, არძინბა ჩვენ ბინაში ცხოვრობსო.

...მიხეილ ჩუბინიძე თბილისშია დაბადებული, მთაწმინდაზე. მის მშობლებს, ანასა და დიმიტრის, 9 შვილი ჰყავდათ. მიხეილი ყველაზე უმცროსი იყო. უჭირდა თერთმეტსულიან ოჯახს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ყმაწვილი მიშა, მამის სურვილით, მეჩექმის შეგირდად მიუბარებიათ, მაგრამ იქ ერთ წელზე მეტი ვერ გაუძლია და მამია ორახელაშვილის სახელობის სკოლა-სახელოსნოში შესულა. აქ, ჭაბუკს, რომელიც პატარაობიდან მსახიობობაზე ოცნებობდა, სახელოსნოში ჩამოყალიბებული დრამატული წრის არსებობამ გააძლებინა, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა: თეატრი მისი მასულდგმულებელი ძალა გახდა.

„არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როდესაც პირველად ჩავიცვი ჩემი შრომით შეძენილი ახალი ტანსაცმელი და ამხანაგებთან ერთად წავედი რუსთაველის თეატრში, – იგონებს ბატონი მიხეილი. – გადიოდა „ანზორი“. ეს იყო პირველი სპექტაკლი, რომელიც მაშინ ვნახე. არ შემიძლია იმ შთაბეჭდილებების გადმოცემა, რომელიც იმ დაუვიწყარ საღამოს განვიცადე. პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული სპექტაკლი ჩვენი სახელოვანი მსახიობების ა. ხორავას, ვ. გოძიაშვილის, დ. მჟავიას მონაწილეობით. მათი თამაში ჩემზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. იმ ღამეს არ მეძინა. თვალწინ მედგა ანზორის გამძვინვარებული სახე.



კადრი ფილმიდან „ხევისბერი გოჩა“, ნუგზარ ერისთავი – მიხეილ ჩუბინიძე.

ეს იყო საღამო, რომელმაც უხილავი ძაფებით მიმაბა რუსთაველის თეატრის კარებს“.

ეს ყმაწვილკაცის ოცნება იყო. ცხოვრება კი თავისას მოითხოვდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იძულებული იყო, მუშაობა დაეწყო თბილისის 26-ე სამკერვალო ფაბრიკაში გამომჭრელად.

ბუნებრივმა ნიჭმა, მიზანსწრაფვამ იმძლავრა. მეგობარ-ახლობლების რჩევით და შეუპოვრობით მიილტვოდა სცენისკენ.

ერთ დღეს მიხეილი მეგობრებთან ერთად წითელი არმიის ქართულ თეატრში მივიდა, რომელსაც შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი შოთა მანაგაძე ხელმძღვანელობდა. რეჟისორმა ჭაბუკს რამდენიმე მიზანსცენა შეასრულებინა, მოეწონა და თეატრში დატოვა თანამშრომლად.

ეს მოხდა 1929 წელს.

ასე დაიწყო ამ სახელოვანი მსახიობის დიდი გზა ქართულ თეატრში. შოთა მანაგაძის შემდეგ მსახიობით დაინტერესდა ცნობილი რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი, რომელიც იმ დროს მთავარ რეჟისორად მოღვაწეობდა ჭიათურის თეატრში, იმ დროისთვის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული რომ იყო საინტერესო დასითა და რეპერტუარით.

მ. ჩუბინიძემ ჭიათურაში 6 წელი დაჰყო. შექმნა მრავალი საინტერესო სახე. ეს იყო ახალგაზრდა მსახიობის პირველი ნაბიჯები, რომელიც ჯეროვნად შეაფასა მაყურებელმა და პრესამ.

1938 წელს მ. ჩუბინიძე სამუშაოდ ფოთის სახელმწიფო თეატრში გადადის, 1939 წელს კი – ხაშურის თეატრში.

1939-40 წლების სეზონში მ. ჩუბინიძე მიიწვიეს სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულ დასში, რომელსაც მაშინ კოტე მარჯანიშვილის აღზრდილი ნიჭიერი რეჟისორი სერგო ჭელიძე ხელმძღვანელობდა.

ამ თეატრში ის 1992 წლამდე დარჩა.

განა შეიძლება აღნუსხო და ჩამოთვალო ის სამახსოვრო როლები, რომლებიც მსახიობმა ამ პერიოდში განასახიერა? ამის თაობაზე უამრავი რეცენზია, გამოხმაურება თუ აღიარებულ პიროვნებათა გამონათქვამი არსებობს.

ქალბატონი ნელი სასოებით მაჩვენებს წერილს, რომელიც სოხუმის თეატრის თბილისში ტრიუმფალური გასტროლების შემდეგ მისთვის, საკუთარ პორტრეტთან ერთად, მიურთმევია ქართული თეატრის სიამაყეს, სახალხო არტისტს ტასო აბაშიძეს.

**„ძვირფასო ამხანაგო მიშა!**

**ნება მიბოძეთ, ნიშნად უღრმესი სიამოვნებისა, შეგთავაზოთ მამიჩემის ნაქონი კრიალოსანი. ვფიქრობ, რომ გამოგადგებათ სცენაზე, გისურვებთ იმდენ დიდ გამარჯვებას, როგორც მამაჩემს გაუმარჯვია ამ კრიალოსნით ხელში.**

**სახალხო არტისტი ტასო აბაშიძე“.**

ტასო აბაშიძემ მ. ჩუბინიძეს უსახსოვრა, აგრეთვე, დედის, ქართული სცენის დედოფლის, მარიამ (მაკო) საფაროვა-აბაშიძის ახალგაზრდობის ფოტო წარწერით:

**„ჩემო მაღალნიჭიერო მიშა! გიძღვნით დედაჩემის, სახალხო არტისტის მ. მ. საფაროვა-აბაშიძის სურათს და მინდა, რომ ნათელი სახე იყოს თქვენთვის შთამაგონებელი იმპულსი, უფრო დიდი და რთული სახეების შექმნისათვის.**

**სახალხო არტისტი ტასო აბაშიძე“.**

ხოლო როდესაც 1946 წელს მ. ჩუბინიძეს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის წოდება მიენიჭა, კოლეგებმა და ამხანაგებმა საერთო ხელმოწერით ლექსი მიუძღვნეს:

**ხან გიჟუა ხარ, ხან ოთარბეგი,**
**ხან კიდევ ვინ და ვისი მხლებელი,**
**გვინდა, რომ დარჩე**
**სიკვდილის დღემდე,**
**ქართული სცენის გამხარებელი.**

**მოვუსმინოთ საქართველოს სახალხო არტისტს გოგი ქავთარაძეს:** „სოხუმის ქართულ დრამატულ თეატრში ათი წელი ვმოღვაწეობდი. ამ პერიოდში რამდენი პიესაც დაიდგა, ყველაში მონაწილეობდა ბატონი მიხეილი და ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობდა. იგი არის დიდი პროფესიონალი, დიდოსტატი, პასუხისმგებლობითა და ჭეშმარიტი თავდადებით გამორჩეული, ენერგიული, მოვალეობის უბადლო შემსრულებელი. შესანიშნავი მომღერალი, მოცეკვავე, ბრწყინვალე იმიტატორი, სპორტსმენი (შესანიშნავად თამაშობდა ბილიარდს), ახალგაზრდობის მისაბაძი პიროვნება.

სხვათა შორის, ჩვენ თეატრში თავად დადგა ავქსენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. რომელშიც შესანიშნავად ასრულებდა გიქუას როლს“.

**რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმა ჯაიანი** იგონებს: „ის იყო ჩვენი თეატრის ბერმუხა და ასევე მიმართავდა მას ახალგაზრდობა და თეატრის მთელი დასი. „მარადისობის კანონში“ ერთად ვმონაწილეობდით, იგი მამა იორამს ანსახიერებდა, მე კი ვახო ამბოკაძეს, ერთ-ერთი მოქმედების დამთავრების შემდეგ, როდესაც სცენიდან გავდიოდი, იგი ეკითხებოდა ბაჩანას, – ვინ იყო ის ღვთისნიერი კაციო, და როდესაც ის პასუხობდა – ქურდია, მამაო, პროფესიონალი ქურდიო, – ისეთი საოცარი გრიმასით, ოსტატურად და პროფესიონალურად უსიტყვოდ აფიქსირებდა თავის გაოცებას, რომ დარბაზი ტაშით ზანზარებდა.

მე, მასთან ახლოს ვიყავი და ზედმეტად შეხუმრებული. ვუყვარდი და მპატიობდა. ხანდახან მეტყოდა ხოლმე: „წადი, შე ოხერო, თავი დამანებე, გეყო, თორო ჩემ შემცვლელად აღარ დაგტოვებო“.

იეთიმ გურჯს პირადად იცნობდა და მისი ლექსების კითხვა ბატონი მიშასთვის დიდი სიამოვნების მომგვრელი და მსმენელებისთვის კარგი მოსასმენი იყო“.

...ბატონი მიხეილი მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, მაგიდას მოუახლოვდა და მომმართა: – 250 მთავარი როლი მაქვს შესრულებული. დაწყებული ოტელოთი, ოიდიპოსით, ერეკლე მეორეთი და მრავალ სხვათა, დამთავრებული ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალალანის“... ასკერით.

მიხეილ ჩუბინიძე საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტია.

ამბობენ, იგი დღეს ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე დღეგრძელი სახალხო არტისტიაო.

თუმცა, ეს არ არის ძირითადი. მთავარია, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ასეთი დიდებული, ღვაწლმოსილი და სახელოვანი, ნიჭიერი ქართველი მსახიობი მიხეილ ჩუბინიძე.

**გურამ გომართელი.**

ფიქრები

# „პესიმისტის ჩანაწერები“



**რაულ ჩილაჩავა**

**გიჟური იდეა**

ეს გიჟური იდეააო, იტყვიან ხოლმე და ხელს ჩაიქნევენ ზოგჯერ ფრიად საინტერესო ჩანაფიქრზე. არადა, ე.წ. „გიჟური იდეა“ ერთი ყველაზე დიდი დეფიციტთაგანია დედამიწის ზურგზე. საღად მოაზროვნე ადამიანებს იშვიათად მოუვათ აზრად ისეთი რამე, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება საზოგადოდ მიღებულ და დამკვიდრებულ წარმოდგენებს. ოდესღაც „გიჟური“ იდეები (მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნური სარკე, მოლაპარაკე თოჯინა და სხვა) დიდი ხანია ბანალურ რეალობად იქცა. გიჟურად მიიჩნევდა თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ბევრი მათგანი, ვინც დღეს მის თავგამოდებულ ქომაგად გვევლინება. „გიჟ ავტორებს“ კი სულ უფრო იშვიათად იხსენებენ.

**მწარმოებელი და გამსაღებელი**

რამდენადაც ვიცი, მილიონერი ფერმერები პრაქტიკულად არ არსებობენ. როგორც წესი, მდიდარია არა მწარმოებელი, არამედ გამსაღებელი.

**იდეალური დემოკრატია**

იდეალური დემოკრატია, ალბათ, მარტო ბერძნულ პოლისებში თუ არსებობდა. აქ ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი: ყველა დიდი დემოკრატი ერთდროულად დიდი მონათმფლობელიც იყო.

**ნაპოლეონის სულგრძელობა**

როცა ნაპოლეონს მორიგ წოდებაზე წარუდგენდნენ სამხედრო მოსამსახურეს, იგი კითხულობდა, რამდენი ჭრილობა აქვს მიღებული? მე ფულს სისხლისთვის ვიხდი და არა მელნისთვისო. იგი ამბობდა: მე მზადა ვარ, ჩემი ქალიშვილი მივცე მას, ვინც სამშობლოსთვის სისხლს ღვრისო. მართალია, ნაპოლეონს ქალიშვილი არ ჰყოლია.

**თამადა**

ერთადერთი ადგილი, სადაც საქართველოში მეტნაკლებად ხერხდება წესრიგის დამყარება, სუფრაა. იქ თამადის დიქტატს პატივს სცემენ და ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ იგი ხალხს აჭმევს და ასმევს. თანაც, იქ ყველამ იცის, რომ ეს დიქტატურა მალე უნდა დამთავრდეს. ესეც ხომ სტიმულია!

**ღვინო კახური**

ჩვენში, ალბათ, მარტო ღვინო კახურიღა თუ დარჩა, რომელსაც შეგვიძლია მივმართოთ, შენგან არ მახსოვს არც ერთი წყენაო. ყველამ ყველას აწყენინა, ყველამ ყველას ბოღმა და შხამი მიანთხია და, ამ თვალსაზრისით, მე იქნებ ღმერთმა დამიცვა კიდეც. არც მე მიწყენინებია ვინმესთვის და არც მე ამოვუღივარ ვინმეს მიზანში მაინცდამაინც. მცირეოდენი გაუგებრობები (როგორც ახლა ვხვდები), რომლებსაც ადრე ზოგჯერ ადგილი ჰქონია, რა მოსატანია ბილწსიტყვაობისა თუ ავყიაობის იმ ნიაღვართან, რაც ათწლეულზე მეტია მოქუხს საქართველოში და ჯერ კიდევ არავინ იცის, როდის შეწყდება.

**დასასრული. დასაწყისი. იხ. „სრ“ № 212, 214, 216-218, 220-224, 230-232, 234, 235.**

⊙ მუზა

# ლექსის კაცობამ სიბერე არ იცის

**მასწავლებლად და ლექსის კაცად დავიბადეო, – ამბობს ანტონ არნანია, რომელსაც მალე 90 წელი შეუსრულდება. ცხოვრების მძიმე, ტკივილიანი გზა გამოიარა, მაგრამ კაცობისთვის წუთითაც არ უღალატია. ვინ იცის, რამდენჯერ დადებულა მისი სიცოცხლე სასწორზე, მაგრამ ლაჩრულად არასოდეს ატირებულა და უწუწუნია.**

1941 წლის 27 ივნისს, ომის გამოცხადების მეხუთე დღეს, ახალგაზრდა მასწავლებელი მოხალისედ მიდის ომში. ქერჩი, პეტროვკა, ბიალა-ჰოდლასკა, სედლეცი, ვარშავა, პოზნანი... ტყვეობა, საკონცენტრაციო ბანაკები... ბოლოს, ზღაპრული ნახტომი თავისუფლებისკენ. ჩეხეთის პარტიზანთა შორის აქტიურად მოქმედებს, უერთდება საბჭოთა არმიის ნაწილებს და ასე აღწევს ფრიდლანდამდე. მერე ვენა, ბუდაპეშტი, ბუქარესტი. და, აი, დადგა ნანატრი ჟამი, იასში მოუსწრო გამარჯვების დღესასწაულმა.

ვალმოხდილმა ჯარისკაცმა მთავრობის ჯილდოებთან ერთად ლექსებით სავსე ოთხი სქელტანიანი რვეული ჩამოიტანა შინ, რომელიც დაწერა ტყვედყოფნის ტკივილებით, მაგრამ ვაჟკაცური სულისკვეთებით. ძალას მატებდა ჩეხი გოგონას ჰედა ბუკოვსკას გაცნობა და ულამაზესი რომანი, და ტკივილიანი განშორება, რადგან ჰედას ჩეხეთი არ ემეტებოდა დასატოვებლად, ანტონს კი გული სამშობლოსკენ, წლობით უნახავი დედისკენ მოუწევდა.

ანტონი დაბრუნდა მშობლიურ დარჩელში, დაუბრუნდა საყვარელ სკოლას. აგრძელებს არჩეულ გზას, უანგაროდ ეზიდება სოფლის მასწავლებლის მძიმე ტვირთს, მაგრამ მუდმივად მუზის ტყვეობაში რჩება. ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების აქტიური წევრი ხდება. როგორც ზუგდიდში, ისე გალში, წალენჯიხაში, ხობში, ჩხოროწყუსა და სხვაგან გამართული ლიტერატურული საღამოების მუდმივი მონაწილეა, მისი ლექსები ყველგან მოწონებას იმსახურებენ.

გადიოდა წლები და თანდათან უგროვდებოდა ლექსები. დღეს იგი ხუთი პოეტური წიგნის ავტორია. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, როგორც შემოქმედი, მაინც ფორმაშია. მისი ბოლოდროინდელი შემოქმედების მთავარი თემა აფხაზეთია, რომელიც დროებით დაიკარგა. ლექსებთან ერთად წერს მოთხრობებს, ანტონის პროზაული ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „რიწასა“ და გაზეთ „დარჩელში“, რომელსაც ექვსი წელია თავად რედაქტორობს.



ანტონის ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს უხარიათ, რომ ის, ისევ მხნედ და ომახიანად არის, ალბათ, კიდევ დიდხანს გადაუღუნავს სიკვდილს მაჯას. მისი ლექსი, კაცობა და მასწავლებლობა, თაობათა ტბილ მოგონებად და სიცოცხლის გაგრძელებად დარჩება...

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

⊙ კინომოთხრობა

**რომან ამირეჯიბი** — **მეოთხე ნაწილი**

# მგლებიც ტირიან

**ვუძღვნი ჭაბუა ამირეჯიბს, მისი შვილის — ირაკლი ამირეჯიბის ხსოვნას**

## მოპარული სიზმარი

გაზაფხული ნისლივით უხმაუროდ შემობრძანდა ნაზამთრ ხეობაში.

თბილმა მზემ ალაგ-ალაგ შემორჩენილი თოვლის ნაბუქ-ნაქუჩები დამზრალ უბეში ჩაადნო დედამიწას.

სუსხიანი ღამის ყინვით ნაქსოვნაქარგი ჭირხლით პირშეკრულ მიწა-მარჩენალს დილით ისევ აუხსნა პირი.

დაბურული ტყის მზეუღწევ ღრანტეებში დაძლეული ყინულის უკანასკნელი ნადნობი ლოლუებიც პირწმინდად ჩამოალღვო და დედამიწას წვეთ-წვეთობით ნაწრეტ-ანაგროვებ ნაკადულებად ჩამოურაკრაკა ხავსიან მკერდზე.

ჯაგრცხილის ძირებში პირველმა ყოჩივარდებმა და ფურისულებმა გაიღვიძეს, გაზაფხულს წინამასწარად, მაგრამ თავაზით უსურვეს იმედისმომცემი დილა მშვიდობისა.

* * *

მზემ თბილი სხივები თეთრი ღრუბლების ფთილებით არიალებულ ლურჯ ცაზე კიდით-კიდემდე გაშალა და თავისი მადლი სოფელს უხვად გადმოაფრქვია.

გიომ გაიღვიძა.

ლოგინში გულაღმა იწვა, ხელები ბალიშზე გადაეწყო, ნამძინარევ თვალებს მძიმედ, მალიმად აპარპალებდა.

უცბად გამოფხიზლდა, საბანი გვერდზე მოისროლა, ფანჯარაში გადაეყუდა:

სოფელს გაზაფხულის ფერი დასდებოდა, ირგვლივ ნაზამთრი მიწის საამო სურნელი იდგა.

გიო ფანჯრიდან იყურებოდა:

ეზოში არავინ ჩანდა.

კარიდან შემოვლა დაიზარა, ფანჯრიდან აივანზე გადმოვიდა, როგორც სჩვეოდა – მოაჯირზე ამობობღდა, ეზოს თვალი მოატარა:

ოჯახის დიასახლისები – დედა და ბებია მართა, ბაღში გასხლულ ვარდებთან ფუსფუსებდნენ.

„დილა მშვიდობისა, პაპი, ბები და დედი!“ – სალამი თქვა გიომ.

„დილა მშვიდობისა, გიო!“ – ბიჭს სალამზე სალამი მიუგეს ქალებმა, და ერთმანეთს, ფარული, ნიშნისმგები ღიმილით გადახედეს.

გიომ პანტასთან ორთვლიანი ველოსიპედი დაინახა, ლამაზი იყო. ემალის ფერადი საღებავებით – საოცარი გემოვნებით აჭრელებულ-გაფორმებული, შეხედვისთანავე თვალს იტაცებდა, ქრომირებული დეტალები მზეზე სარკესავით ულაპლაპებდა.

„ვაა, ველოსიპედი?!“ – აღმოხდა გაოცებით და კიბეზე საცვლისამარა ჩამოირბინა.

„საიდან, ხალხნო?“ – იკითხა გაკვირვებით. თან ველოსიპედს დასტრიალებდა.

„თელავიდან, ბედია პაპამ მოგართვა, გიო“, – უპასუხა ელენემ.

ქალბატონებს ვარდებზე მზრუნველობა წამით მიეტოვებინათ, და ბიჭისკენ, მზერაში გამოჟონილი უზომო სითბოთი იყურებოდნენ.

„პაპამ?.. პაპა სადღაა?“ – ჰკითხა გიომ.

„ჰაიტ, შე ძილისგუდავ, – ღიმილით გაწკეპლა მართამ: – მზემ ისევ დაგასწრო ადრე გაღვიძება და შუადღეც წამოვიდა. შეხედე, ზეციდან რა დიდებული მზე დაგვყურებს თბილად, მშრომელი კაცი ამ დროს სად იქნება?“

„საბარავად წავიდა?!“

„ჰო, საბარავად წავიდა, დილას ვერ გაგაღვიძა და ბაზრობაზე მარტო წავიდა. დაბრუნდა და ისევ გეძინა“.

„როგორ გამაღვიძებდა, ტელევიზორს გათენებამდე ვუყურებდი, – დამნაშავედ ჩაილაპარაკა გიომ: – ამ ტელევიზიებს ხომ ჭკუიდან გადაჰყავს ხალხი, დღისით სულელური სერიალებით ულაყებენ ტვინს, კარგ კინოფილმებს კიდევ შუაღამისას აჩვენებენ, როცა ხალხს სძინავს. დაღლილზე ისე მეძინა, ქუხილიც ვერ გამაღვიძებდა“.

„პაპამ დაგიბარა, გულს ძილით რომ იჯერებ, თუ არ დაიზარებ, მომაკითხეო“, – უთხრა ელენემ.

„საჭმელი?“

„საჭმელიც წამომიღოსო“.

„სანამ ხელ-პირს დავიბან, გაამზადეთ და წავუღებ“.

„ფიქრი ნუ გაქვს, სანამ შენ ისაუზმებ, პაპისთვის წასაღებ კერძსაც გაგიმზადებთ“.

„არ მინდა, – მტკიცე უარი თქვა გიომ და საშუადღეო ტახტრევანზე წამომჯდარ-წამოშუბისწვერებულ მზეს შეხედა: – რაღა დროს საუზმეა, სადაცაა შუადღე გადავა. ორი კაცის ულუფა გაამზადეთ, პაპასთან ერთად ვისადილებ“.

ველოსიპედს ჯერ შუქფარზე, შემდეგ საჭეზე გადაუსვა ხელი და ისევ ვარდებთან მოფუსფუსე ბებიას და დედას გახედა:

„დედი, ეგ ვარდები პაპამ ხომ გასხლა, რაღას დასტრიალებთ?!“

„გიო, განა ჩვენ კი გვაწყენდა ბედია პაპას საჩუქარი?– შეჰღიმა ელენემ: – შენ წილად ველოსიპედი გერგო, ჩვენ კი იშვიათი ვარდების ნერგები მოგვართვა“.

„იშვიათი ვარდის ნერგები?“

„ჰო, იშვიათი. ნამდვილი ჩინური ხავერდოვანი ვარდის ნერგები მოგვიტანა. დარგვა ხომ უნდა?!“

„დარგვა კი... რასაკვირველია, უნდა“.

„ბიჭო, მაგ ველოსიპედს ეგრე გაუბედავად რომ დასტრიალებ, დაჯექი და გაატარე. – მზრუნველად უთხრა მართამ: – გვაჩვენე, ერთი, რისი შემძლე ყოჩი ბრძანდები“.

„სად მეჩქარება, ბები? – შესცინა გიომ: – ჯერ კაცს საჭმელი ავუტანო, ველოსიპედი არსად გამექცევა“.

* * *

ადრეული გაზაფხულის პირზე მეურნე კაცი ღუმელთან მხართეძოზე წოლას ძნელად, მაგრამ მაინც შეელევა, მარჩენალ მამულს არ დააღალატებს, ლოდინით გულს არ გაუწვრილებს, იდროვებს და ბარით მკერდს გადაუხსნის, დამზრალ უბეში მზის სხივს ჩაუხედებს.

და ამ მხრივაც კი – თუ ინმეს თავმოსაწონი სიტყვა ეთქმის ან სასიკეთო ვინმეზე ითქმის, ბედია დიდებულიძე იკუთვნებს პირველკაცობას.

„ზეციერმა მამამ ინება და ყველა ის სიკეთე უშურველად მიბოძა, რითაც ჩემი მოდგმა დააჯილდოვა: ორი თვალი მომცა, ორი ხელი და ორი ფეხი, ჯანი უშურველად, და ღონე. ხელი გაანძრიე და გიშველიო – თუ ვინმეს ამ ლამაზ სამყაროში ცხოვრებაზე გული და ძალა ერჯის, არავის არაფრით ჩამოვუვარდები, ვისზე რით ვარ ნაკლები კაცი?!“ – ხშირად უთქვამს ბედიას კამათისას და სჯაბაასისას.

მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო.

ბედიას გრილ მიწაზე გაფენილ თივაზე გიოსთან ერთად მოერთხა ფეხი და ნაჯაფ-ნაღალზე გემრიელად შეექცეოდა ხორციან სადილს.

ღობესთან დაბმული ცხენი მშვიდი ფრუტუნით წიწკნიდა მიწიდან ახალამოყრილ ბალახს.

„სათქმელი არა ვთქვა, არც ეგრე ივარგებს, ალბათ, – უთხრა ბედიამ შვილიშვილს: – ვერ კი წარმომიდგენია, გიო, ახალგაზრდა კაცს მზემ როგორ გაჯობა, გაღვიძება როგორ დაგასწრო. ისე დაგძინებოდა, შენს ოთახში ორჯერ შემოვედი და ვერ გაგაღვიძე“.

„ტელევიზორმა შემიტყუა, ბედია პაპავ. ჯერ „ნატვრის ხეს“ ვუყურე, მერე სხვა არხზე გადავრთე და „შერეკილების“ ჩვენება დაიწყეს. ერთმანეთზე უკეთესი ფილმებია. აბა, მითხარი, რომელ სიამოვნებაზე მეთქვა უარი?“

„ბალღო, კოჭებში გატყობ, კინომ ძალიან გაგიტაცა“.

„ჰო, ეგრეა. გამიტაცა და გამიტაცა. ყველა პოლიციელის სამხრეებზე, პოლიტიკოსობასა და პრეზიდენტობაზე ხომ არ უნდა ოცნებობდეს“.

„სიმართლე გითხრა, ცუდი აზრი არ არის, შენი მიზანი მომწონს“.

„ბედია პაპავ, რა უნდა მეთქვა შენთვის“...

„თქვი, რა უნდა გეთქვა?“

„როცა გავიზრდები, კინოს მართლა გადავიღებ, მაგრამ „ნატვრის ხეზე“ და „შერეკილებზე“ მეტს თუ არა, ნაკლებ თემას ხელს არ მოვკიდებ“.

„რის გადაღებას აპირებ, გიო?“

„შერეკილი ნიამორების!“

„ბიჭო, როგორც მახსოვს, სახლში რაც კი რამ წიგნები მოგვეპოვება, ყველაფერი წაკითხული მაქვს. ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკის წიგნებიც გადავიკითხე, მაგრამ მაგ სათაურის რომ არაფერი არ მახსენდება?!“

„სად წაიკითხავდი, ბედია პაპავ, მე ჩემს ნაწერზე გეუბნები“.

„ეგ რა მითხარი, შენა წიგნსა წერ, გიო?“

„რათ გაიკვირვე? თუ დაინტერესდები, ამასაც გეტყვი: მოცულობით მოთხრობაზე ვრცელი იქნება და რომანებზე პატარა. ამიტომ თხზულება დავარქვი“.

„ვაი, შენ ჩემო თავო. – ჩაიცინა ბედიამ და შვილიშვილს თვალებში გამომცდელი მზერით ჩახედა: – დიდო მწერალო, წაკითხვის ბედნიერება როდის გვეღირსება?“

„ბედია პაპავ, ჯერ წერა დავამთავრო და, რა პრობლემაა, უეჭველად წაგაკითხებ. – სიცილითვე მიუგო გიომ:– აბა, ჩემს თვალშეუვალ შემოქმედებას მთელ სოფელს კი არ გავაცნობ, შესარცხვენი თავი სადა მაქვს?“

გიოს თვითირონიამ ბედია ერთობ მოხიბლა:

„ეგ ამბავი კიდევ ვინ იცის, გიო?“

„მასწავლებელმა და დედამ“.

„რა გითხრეს, რაო?“

„თითქოს წინდაწინ შეთანხმდნენო, ერთნაირად კი მითხრეს, სამახსოვროდ მაინც დაგრჩებაო“. – სიცილით მიუგო გიომ.

„პაპისავ! – დამრიგებლურად მიმართა ბედიამ: – დაიმახსოვრე, ადამიანისათვის შეუძლებელი და მიუწვდომელი დედამიწის ზურგზე არაფერია: მთავარია, კეთების სურვილი და ამ სურვილის დაძლევის დაუცხრომელი ჟინი გქონდეს“.

„მარტო სურვილი რას უშველის?“

„რასაკვირველია, მხოლოდ სურვილი საქმეს არ უშველის, ერთის გარდა: ამისათვის მიზანდასახული სწავლა-განათლების მიღებაა საჭირო. მერე კი – გინდა კინო გადაიღე, გინდ სპექტაკლი დადგი და წიგნებიც წერე“.

„და... მე ამას შევძლებ?“ – თვალები იმედით გაუნათდა გიოს.

„ზღაპარი „ნაცარქექია“ ხომ წაგიკითხავს?“

„მერე?“

„რა, მერე?!“ ნაცარქექიამ მოინდომა, და, თუ კარგად გახსოვს, რიყის ქვას მუჭით წვენი გაადინა“.

გიო დაფიქრდა:

„ეგ ზღაპარში“.

„ჰო, თუნდაც ზღაპარში“.

„კარგი, გაადინა, მაგრამ ეშმაკობით“.

„მთავარია, ხომ გაადინა?“

„გადენით კი... გაადინა“.

„ჰოდა, მთავარი ის არის, რომ გაადინა. მოინდომა და რიყის ქვას – დევის თვალში – წვენი გაადინა. ხოლო როგორ და რა გზით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა, იმ ხერხისა და გამოსავალი საშუალების მოფიქრებისათვის, რითაც დევს აჯობა და დაიმორჩილა, საღი ჭკუისა და ცოდნის ნატამალი მაინც იყო საჭირო“.

ბედიამ სადილი დაამთავრა და ნაბარისაკენ წამოვიდა.

გიომ ძვლები მოაგროვა, ქაღალდში გულდაგულ შეახვია, და ისე, რომ პაპას ვერ დაენახა, ჯიბეში ჩაიდო. და ჰკითხა:

„ბედია პაპავ, ბარვა ადრე ხომ არ დავიწყეთ?“

„რაკი ფურისულამ და ყოჩივარდამ გაიღვიძა, – ჩაიმუხლა და კვრინჩხის ძირში შეთვალული ცისფერთვალა ყვავილი მოწყვიტა, – რაკი ამ წინამასწარამ სალმით თავი დაგვიკრა, ესე იგი, ბარვაც შეიძლება. სამოთხ დღეში, მართალია მსუბუქად, მაგრამ ისევ მოყინავს. ყინვა ამობრუნებულ ბელტებს დაშლის, გააფხვიერებს და, ისე გააფუებს, ვეჭვობ თოხი დასჭირდეს, მოსასწორებლად ფოცხსაც იკმარებს“.

ბარი მიწაში ჩაასო, ბელტი ამოაბრუნა და ჩაიმუხლა:

„ჩემთან მოდი, გიო“.

გიო პაპასთან მივიდა.

„აბა, მიწაში ხელი ჩაყავი“.

გიომ მიწაში ხელი ჩაყო, ერთხანს გაყუჩდა, და მალე, გაბრწყინებული და გაოცებული თვალები ბედიას შეანათა:

„მიწა ღუმელივით თბილია, ბედია პაპავ“.

„ჰო, მიწა თბილია, გიო, თბილი. ხელს ჩაყოფ და ეს მადლიანი დედამიწა შინაგანი სითბოთი გაგრძნობინებს თავის გულისთქმას, ძახილს, დროა, დამამუშავე და შენი საზრდოსარჩენი თესლი მარჩენალს მომაბარეო. მიწას რაც დროულად დაამუშავებ და დათესავ სათესს, შემოდგომაზე მით უხვსა და ნაყოფიერ მოსავალს მოგცემს. გვიან დათესავ და, სითბოზე გაღვიძებული ურიცხვი ჯარი ადამიანებზე ბევრად გამრჯე და მუყაითი ჭიანჭველებისა, ჭუპრიდან გამოსვლისთანავე ზამთრის მარაგის მომზადებაზე ზრუნვაში რომ ათენ-აღამებენ, არც კი გკითხავს, მიწას ასე ნაგვიანებ მიბარებულ თესლს – მათთვის კი ესოდენ სანუკვარ სარჩოს, სოროში ისე ხელდახელ გაზიდავს. ის, რაც ჭიანჭველებს გადაურჩება, რიგიანად დაფესვიანებასა და დაპურებას ვერ მოასწრებს, რადგან მიწაში ნაგვიანევ ჩაყრილი თესლიდან სუსტფესვიანი მცენარე აღმოცენდება. ფესვსუსტი მცენარის ყვავილი გაზაფხულის ნიავ-ქარებს თუ გადაურჩა, მის დაუგულიანებელ ნაყოფს ზაფხულის ცხარე სიცხეები იოლად მოერევა და შემოუსვლელ-დაუპურებელი, ადრე თუ გვიან, მაინც გახმება, მისი დაღუპვა გარდუვალია და შედეგიც, თვითონ განსაჯე, როგორია მოსალოდნელი“.

„ასეც ხომ ხდება, ვთქვათ და თოვლმა პირი იბრუნა?“

„მართებული შეკითხვაა. ასეც ხდება ხოლმე, და მით უკეთესი ახალნათესი ნაკვეთისთვის, გაზაფხულის ნამქერა თოვლი ახალნათეს ბოსტნეულს სიკეთედ წაადგება. მაგრამ სიკეთედ იმ შემთხვევაში, თუ მარჩენალ დედამიწას ხეხილის გამოყვავილებამდე წამოათოვს. თორემ, თბილმა ამინდებმა ხეხილი კვირტში თუ გამოიტყუა, თუნდაც ის ნამქერა თოვლი – ყვავილს იოლად მოერევა, დააზრობს, მოუშუშავს და გააფუჭებს, ადამიანს კი – წლის მანძილზე მხოლოდ ბოსტნეულით თავის გატანა გაუჭირდება“.

„ახლა, ალბათ, ნერგების გადარგვაც უკვე შეიძლება?!“

„შეიძლება, გიო, ოღონდაც ცოტაოდენ მშრალ ნეშომპალას თუ ჩააყოლებ, და ზევიდანაც ცოტაოდენ თივას მოაყრი, უკეთესი იქნება, ნერგი საჭირო სინესტეს და მდგრად ტემპერატურას შეინარჩუნებს. მიწაში ჩამთბარი თამამად გაიღვიძებს და ფესვის გადგმა გაუიოლდება“.

**(გაგრძელება იქნება).**

ჭიდაობა

# 180 ფალავნის მონაწილეობით

**ლევან თედიაშვილის სახელობის დიღმის ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრის სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს პირველობა სამბოში 1990-92 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც 23 ქალაქისა და რეგიონის 180 მოჭიდავე მონაწილეობდა.**

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ნუკრი ღვინჯილიამ (ზუგდიდი), ტარიელ ნამგალაურმა (რუსთავი), შმაგი ლაგაზაურმა (ახმეტა), გენადი ჩირგაძემ (ქუთაისი), ვალერი დოლიშვილმა, გიორგი თათრიშვილმა (ორივე გორი), ბესარიონ შვანგირაძემ (სამტრედია), ომარ ლომიძემ (ხაშური), ზეზვა რეხვიაშვილმა (რუსთავი), უჩა ღონღაძემ (ხაშური), ბაჩო ზარანდიამ (ზუგდიდი), ბექარ კუაჩაშვილმა (ახმეტა), ნიკა ხაჩიძემ (თბილისი).

შეჯიბრების შემდეგ საქართველოს პირველობის მთავარმა მსაჯმა, დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ არაბულმა განაცხადა: „ასპარეზობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რა დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიდაობის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში. მინდა გამოვყო გორის ჩინებული საჭიდაო ცენტრი, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გივი ზაუტაშვილი. მისმა 12-მა აღზრდილმა სხვადასხვა სინჯის მედლები დაისაკუთრეს. დასანანია, რომ შეჯიბრებაზე ვერ ჩამოვიდნენ საგარეჯოს, გარდაბნის, კასპის, მცხეთის, დუშეთის, ხობისა და ფოთის ჭაბუკი სამბისტები. სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს სამტრედიელმა ბესარიონ შვანგირაძემ (45 კგ) და თბილისელმა მძიმეწონოსანმა ნიკა ხაჩიძემ, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გმირო ხაჩიძის შვილიშვილმა.

**შალვა ჩიხლაძე.**

ჭადრაკი

# ახალი წლის დამდეგამდე

**ფიდემ გამოაქვეყნა რეიტინგ-ლისტი უძლიერესი მოჭადრაკე ქალებისა და ვაჟებისთვის. იგი ძალაში ახალი წლის დამდეგამდე იქნება.**

აი, როგორ გამოიყურება დღეისათვის ეს სია:

ქალებს შორის კვლავინდებურად პირველია იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2728). ხანგრძლივი შესვენების შემდეგ რეიტინგ-ლისტში აღადგინეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სიუ ჟუნი (ჩინეთი, 2569). მესამეა ევროპის ჩემპიონი, ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა (2523), მეოთხე — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2508), მეხუთე — მაია ჩიბურდანიძე (2503).

ვაჟების ათეული: 1. გარი კასპაროვი (რუსეთი, 2813), 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2781), 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2760), 4. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2758), 5. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2757), 6. პეტერ ლეკო (უნგრეთი, 2743), 7. მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2740), 8. პეტრე სვიდლერი (რუსეთი, 2735), 9. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2728), 10. ალექსეი შიროვი (ესპანეთი, 2726).

ქართველი დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 31-ე ადგილზეა, ხოლო **ბაადურ ჯობავა** — 93-ე ადგილზე.



ჭრელაჭრულა

## შარაპოვამ კვირაში ორჯერ გაიმარჯვა

**ჩოგბურთის გულშემატკივრებმა იციან, რომ უიმბლდონის გმირმა, 17 წლის რუსეთელმა ლამაზმანმა მარია შარაპოვამ კვირის დასაწყისში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სეულში, კორეის ღია ჩემპიონატზე, რომელშიც მხოლოდ მონაწილეობისთვის ორგანიზატორებმა 300 ათასი დოლარი გადაუხადეს.**

კვირა არ გასულა და მარიამ ახალი გამარჯვება იზეიმა იაპონიის დედაქალაქში, ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 170 ათასი დოლარია. ნახევარფინალში მან ტაილანდელი ტარასუგარნი დაამარცხა — 6:2, 6:3. ფინალში მისი მეტოქე იყო ამერიკელი მაშონ ვაშინგტონი. შარაპოვამ კვლავ ალმავლობით ითამაშა და ზედიზედ მეორედ ტურნირში უპრობლემოდ გაიმარჯვა — 6:0, 6:1.



ლეგიონერი

**ერთი რამ უეჭველია: რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთაგან სადღეისოდ ყველაზე უკეთესი შედეგები 23 წლის მალხაზ ასათიანს აქვს. ასათიანს რუსი კომენტატორები „უნივერსალურ მოთამაშეს“ უწოდებენ. იგი ხან მცველია, ხან შუა ხაზზე გამოდის, მის მიერ გატანილი გოლებიც კარგად გვახსოვს. თუმცა ყველაზე კარგად საკუთარ თავზე თვით მალხაზი ლაპარაკობს. მოგვყავს ვრცელი ნაწყვეტები ქართველი ოსტატის ინტერვიუდან, რომელიც მოსკოვის გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეულმა სპეციალურმა დამატებამ „ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა.**

# უნივერსალური მოთამაშე

**— ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ შემთხვევით გახდით ფეხბურთელი?**

— არა, რა თქმა უნდა. 7 წლის ასაკიდან ვთამაშობ ფეხბურთს. ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთა მწვრთნელმა თემურ ნადირაძემ. ფულითაც კი მეხმარებოდა.

**— უფრო ხშირად მშობლები აძლევენ ფულს მწვრთნელს.**

— ძნელი დრო იყო. ჭირდა ბუცების, „კედების“ ყიდვა. თემურ ნადირაძეს გულით უნდოდა, რომ ჩვენ ფეხბურთელები გამოვსულიყავით. ბუცებს კი მხოლოდ ჩემთვის როდი ყიდულობდა, არამედ სხვა ბიჭებისთვისაც, რომლებსაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. თბილისში იყო ასე თუ ისე ნორმალური პირობები სავარჯიშოდ, მაგრამ პროვინციაში, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან — ქუთაისში არ იყო არც მოედნები, არც ბურთები. მე, როგორც შემეძლო, დღე და ღამე ვვარჯიშობდი და 17 წლისა ქუთაისის „ტორპედოში“ ჩავირიცხე.

**— ამ დროიდან მოყოლებული, ფეხბურთიდან უკვე გქონდათ შემოსავალი?**

— „ტორპედოს“ დუბლებში საერთოდ არაფერს გვიხდიდნენ, ისე კი მე იქ დიდხანს არ ვყოფილვარ, სულ მალე ძირითად შემადგენლობაში დავიწყე თამაში. ჩემი პირველი ხელფასი 200 დოლარი იყო. ამას პრემიებიც ემატებოდა მოგებისთვის, სულ 600-700 დოლარი გამოდიოდა. ეს ჩვენთვის ძალიან კარგი ანაზღაურება იყო. ბოლო სეზონში (2002 წ.) „ტორპედოში“ თვეში უკვე 1000 დოლარს ვიღებდი. ეს ასეა, მაგრამ მამაჩემი დღემდე მეუბნება: „წიგნები იკითხე, წიგნები!“

**— თქვენც კითხულობთ?**

— ვკითხულობ. ბევრი ქართული წიგნი წამოვიღე. რუსულად კითხვა ჯერჯერობით მიჭირს.

**— საქართველოს ამბებს ინტერნეტით იგებთ?**

— ინტერნეტი ჯერჯერობით არა მაქვს, მაგრამ საქართველოში თითქმის ყოველდღე ვრეკავ.

**— როგორი სიძლიერისაა საქართველოს ჩემპიონატი?**

— სუსტი ჩემპიონატია. არის ორისამი კარგი გუნდი. თბილისის „დინამო“ „ვისლასთან“ გამარჯვების შემდეგ უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მოხვდა. ჩემი ქუთაისის „ტორპედო“ რუსეთის პრემიერ-ლიგაში რომ გამოდიოდეს, ალბათ, ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებდა.

**— თქვენ მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადმოხვედით. როგორ შეეგუეთ საქართველოდან მოსკოვში გადმოსვლას?**

— ჯერ ძალიან მიჭირდა. გარდა ამისა, რუსული ცუდად ვიცოდი, თუმცა სკოლაში ვსწავლობდი. ხუთი თვე ბაზაზე ვცხოვრობდი, შემდეგ კი ოროთახიანი ბინა მივიღე ახალ არბიტზე.

**— რუსული სწრაფად ისწავლეთ?**

— ცხოვრებამ მაიძულა. აქ ხომ მიხეილ აშვეთიას გადმოსვლამდე ერთადერთი ქართველი ვიყავი.

**— დასაწყისში თქვენ „ლოკომოტივში“ „ღრმა თადარიგში“ მოხვდით.**

— დიახ, თითქმის არ ვთამაშობდი, დუბლებშიც კი სათადარიგო ვიყავი. მივედი სიომინთან და ვუთხარი: „რახან არ მათამაშებთ, სადმე იჯარით გადამიყვანეთ, ანდა სულაც გამათავისუფლეთ“. „მოითმინე, ყველაფერი ნორმალურად იქნება“ — იყო პასუხი. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვსაც იგივე კითხვით მივმართე, მანაც დამაიმედა. სულ მალე ჩემთან „ლოკომოტივის“ მეორე მწვრთნელი ეშტრეკოვი მოვიდა: „მოემზადე, „მონაკოს“ წინააღმდეგ ითამაშებ“. მონაკოში მცველად ვითამაშე. ასე რომ არ მომხდარიყო, დღემდე სათადარიგო ვიქნებოდი, ანდა სულაც სხვა კლუბში გადავიდოდი.

**— თქვენ ხომ თავდასხმაშიც გითამაშიათ?**

— ერთხელ. მას შემდეგ, რაც თბილისში რუსეთის ნაკრებთან გოლი გავიტანე, მოსკოვში არმიელებთანაც წინა ხაზზე მათამაშეს. არც ისე კარგად გამომივიდა.

**— ახლაც თამამად გადიხართ წინ?**

— როცა ლიბეროდ ვთამაშობ, სიომინი მოითხოვს, რომ შეტევაში ჩავერთო.

**— საქართველოს ნაკრებში პირველი გამოძახება თქვენთვის მოულოდნელი ხომ არ აღმოჩნდა?**

— რა თქმა უნდა. მე ხომ დუბლების მოთამაშე ვიყავი, ამიტომ მატჩისწინა განაცხადშიც კი არ შევეყავდით. მაშინ საქართველოს ნაკრებს ხორვატი ივო შუშაკი წვრთნიდა. რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩი მისთვის ამ როლში დებიუტი იყო. იგი მიცნობდა ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშით. თვითონ ხომ თბილისის „დინამოს“ ედგა სათავეში და ამ გუნდში მეც მიწვევდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ნაკრებში ჩემმა მიწვევამ გამაკვირვა, თანაც ერთბაშად — ძირითად შემადგენლობაში. აი, ნდობაც ამას ჰქვია.

**— რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებისათვის რაიმე პრემია მოგცეს? გოლის გატანისათვის სპონსორებმა მაცივარი მაინც არ გაჩუქეს?**

— საერთოდ არაფერი! არც პრემია, არც მაცივარი...

**— ახლანდელ ნაკრებში რა ფუნქციას ასრულებთ?**

— საყრდენი ნახევარმცველი ვარ. შუშაკი კი სხვაგვარად მათამაშებდა: თავდამსხმელების ზურგში.

**— რას იტყვით ახალ მწვრთნელზე, ფრანგ ალენ ჟირესზე?**

— კარგი, მხიარული ადამიანია. თარჯიმნის შემწეობით ველაპარაკებით, ცოტა ქართულსაც ვასწავლით (იცინის). ისე კი, სწავლების პროცესი ნელა მიდის.

**— მოსკოვში დიდი ქართული დიასპორაა...**

— დიახ, მე ძირითადად იმ ქართველ ფეხბურთელებთან მაქვს ურთიერთობა, რომლებიც აქ თამაშობენ. როცა დრო გვაქვს, მეგობრულად ვხვდებით, მხოლოდ რესტორანში კი არ დავდივართ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საელჩოშიც მიგვიწვიეს.

**— ასათიანი ცნობილი საფეხბურთო გვარია. რუსულად რას ნიშნავს?**

— 110-ს. სასაცილოა, არა?

**— მანქანა მიიღეთ?**

— რა მანქანა? მე ხომ ტარების უფლებაც არა მაქვს. ღამ-ღამობით მანქანის მართვას ვსწავლობ. ბაზამდე კი მიხეილ აშვეთიას მივყავარ, რომელიც ახლა დაშავებულია.

**— მატჩის შემდეგ ლუდს სვამთ?**

— არა, არ მიყვარს. საქართველოში შემიძლია ღვინო დავლიო, ოღონდ ცოტა. მოსკოვის მაღაზიებში ძნელია ნამდვილი ქართული ღვინის შოვნა.

**— სეზონი რომ დამთავრდება, სადმე ეგვიპტეში ხომ არ გაისეირნებთ?**

— არა. საქართველოში წავალ, სოფელში. ჩემი სოფელი მთიანია, ქუთაისიდან 70 კმ-ით დაშორებული, თუმცა გზები ცუდია. იქ მდინარეცაა და თევზიც. მთელი სოფელი ჩემი ნათესავებია. იქ ზამთარიც ძალიან კარგია.

**მოამზადა გივი თორელმა.**



## „ბარსელონა“ ძლიერდება 12 წლის ბიჭით

**ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი — „ბარსელონა“ დაინტერესებულია 12 წლის არგენტინელ ერიკ ლამელასთან კონტრაქტის გაფორმებით. ლამელა ახლა თამაშობს ბუენოს-აირესის ბავშვთა კლუბში „რივერ-პლეიტა“.**

როგორც ამბობენ, ბიჭის მშობლები მზად არიან ესპანეთში გადასასახლებლად, ოღონდ ეს ნორჩი ფეხბურთელის კარიერას წაადგეს. არგენტინული პრესის ცნობით, „ბარსელონამ“ ბიჭის მშობლებს შესთავაზა 4-წლიანი კონტრაქტის გაფორმება, რომლის მიხედვითაც ერიკს წელიწადში 120 ათას ევროს გადაუხდიან.

ერიკ ლამელამ თავი გამოიჩინა ესპანეთში გამართულ ერთ-ერთ საბავშვო ტურნირზე, სადაც ის საუკეთესო ბომბარდირად აღიარეს. „რივიერ პლეიტა“ ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო სკოლაა მსოფლიოში. მისი აღზრდილები არიან ამჟამად არგენტინის ნაკრების წევრები ხავიერ სავიოლა და პაბლო აიმარი.

## ოლიმპიური სოფელი ლატარიაში გათამაშდება

**საბერძნეთში ხუთშაბათს გასაყიდად გამოიტანეს ახალი ლატარიის ბილეთები, რომლებსაც უკვე იტაცებენ — მისი მფლობელი გახდა 17 ათასზე მეტი არცთუ მდიდარი ბერძენი.**

საქმე ისაა, რომ ლატარიაში გამარჯვებულებზე, მთავრობის დაპირებით, გაიყიდება 2292 ბინა და სახლები, სადაც აგვისტოში ათენის ოლიმპიური თამაშებზე ჩამოსული 17 ათასამდე სპორტსმენი თუ ჩინოვნიკი ცხოვრობდა.

ლატარიაში მონაწილეობის უფლება აქვთ ინვალიდებს, პენსიონერებს, მრავალშვილიან ოჯახებს (5-შვილზე მეტი), აგრეთვე, დაბალშემოსავლიან ოჯახებს.

ალბათ გახსოვთ, ოლიმპიური სოფელი აიგო სპეციალურად ოლიმპიური თამაშებისთვის ათენის ჩრდილოეთით 24 კილომეტრზე.

ლატარიის ხელბედნიერთ საშუალება ექნებათ, შეიძინონ სახლი ან ბინა საბაზრო ღირებულების ნახევარ ფასში, გარდა ამისა, ისინი ისარგებლებენ 30-ზე მეტი წლის განვადებით ძალზე დაბალი პროცენტებით.

## სექსოთერაპია — მკურნალობის საშუალება

**სპორტსმენების განკურნება-რეაბილიტაციის მრავალი ფორმა არსებობს, მთავარია, თუ როგორი იყო ტრავმა, მაგრამ მათ საერთოც ბევრი აქვთ. პირველ რიგში, როგორც წესი, პაციენტი სრულ სიმშვიდეში უნდა იყოს, შემდეგ კი თანდათან დაუბრუნდეს ჩვეულ რიტმს.**

თუმცა ბევრი სპორტსმენი მოუთმენელია და ცდილობს, რაც შეიძლება მალე ფეხზე წამოდგომას. იშვიათი როდია, როდესაც ტრავმირებულ ფეხბურთელებს ხედავენ ბარებსა და დისკოტეკებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ბრაზილიელები, როგორც ჩანს, სამბა მათ სისხლს უფორიაქებს.



თუმცა ფრანჩესკო კოკოს ბრაზილიური სისხლი არა აქვს, მაგრამ მის ძარღვებშიც სამხრეთული, მხურვალე სისხლი ჩქეფს. ალბათ, ამიტომაც ვერ შეძლო გართობის გარეშე სარეაბილიტაციო ვადის დაცვა. პაპარაცებმა ის ლაზარეთში კი არა, რომის ერთ-ერთ დისკოტეკაზე გამოიჭირეს კოკტეილითა და სიგარით.

ის მარტო როდი იყო, რასაკვირველია, ქალთან — ულამაზეს მანუელა არკურისთან ერთად. თუმცა, როცა თვალთვალი შეამჩნია, მასთან ერთად უგზო-უკვლოდ გაქრა. ალბათ მანუელამ იცის კოკოს განკურნების უებარი საშუალება.

# ბუშმა და კერიმ მეორე დებატები გამართეს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ჯონ კერიმ მეორე სატელევიზიო დებატების დროს ცხარე კამათი გააჩაღეს ერაყის ირგვლივ შექმნილი სიტუაციისა და ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ.**



მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხისას, ბუშმა დაიცვა თავისი გადაწყვეტილება სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ საომარი კამპანიის დაწყების შესახებ. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღიარა, რომ არ იყო კმაყოფილი, როცა დადასტურდა, რომ ერაყში არ ჰქონიათ მასობრივი განადგურების იარაღი. თუმცა აღნიშნა, რომ ერაყის დიქტატორი ქმნიდა საშიშროებას და სადამ ჰუსეინის გარეშე მსოფლიო ახლა გაცილებით უფრო უსაფრთხოა.

კერიმ ბუშის ადმინისტრაცია დაადანაშაულა იმაში, რომ მისი არასწორი მოქმედების შედეგად ერაყი მოიცვა ქაოსმა, ომმა კი კიდევ უფრო გაზარდა საფრთხე მსოფლიო უშიშროებისთვის, რადგან, კერის თქმით, პრეზიდენტს სწორად არ შეუფასებია იმ დროისთვის არსებული ვითარება.

კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ბუში დაადანაშაულა აგრეთვე, თავისი დაპირების შეუსრულებლობაში, კერძოდ იმაში, რომ არ გაითვალისწინა ამერიკელთა ევროპელი მოკავშირეების პოზიცია. კერის თქმით, ბუშის ადმინისტრაციამ უგულებელყო ის საფრთხე, რომელსაც ქმნიან ბირთვული ამბიციების მქონე ქვეყნები — ჩრდილოეთ კორეა და ირანი.

დებატების დროს ბუშმა თავისი ოპონენტი არასაიმედოობაში დაადანაშაულა. „არ მესმის, თუ როგორ შეიძლება უხელმძღვანელო ქვეყანას ომის დროს, ასეთ გაურკვეველ ვითარებაში, თუ მუდმივად იცვლი საკუთარ თვალსაზრისსა და პოზიციას“, — თქვა პრეზიდენტმა. ამ ბრალდების პასუხად კერიმ დასძინა: „პრეზიდენტმა ვერ იპოვა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი, და მან თავისი კამპანია აქცია მასობრივი მოტყუების იარაღად“.

დებატების მეორე ნაწილში ორივე კანდიდატმა უმთავრესი ყურადღება გაამახვილა ქვეყნის საშინაო პრობლემებზე, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმაზე და ამერიკის ეკონომიკის მდგომარეობაზე.

სამედიცინო დაზღვევებისა და მედიკამენტების ფასების შესახებ დასმული კითხვების პასუხად, ჯონ კერიმ ბუში დაადანაშაულა იმაში, რომ იგი იცავს ფარმაცევტული კორპორაციებისა და მსხვილი ენერგეტიკული და ნავთობის კომპანიების ინტერესებს.

ჯორჯ ბუშმა, თავის მხრივ განაცხადა, რომ დემოკრატთა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ ჯანმრთელობის დაცვაზე სამთავრობო პროტექტორატის შემოღებას, გააუარესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

თეთრ სახლში ბუშის მუშაობის პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა, სამუშაო ადგილების რაოდენობა კი — შემცირდა, აღნიშნა კერიმ. „იგი პირველი პრეზიდენტია ამ ბოლო 72 წლის განმავლობაში, რომლის მმართველობის წლებშიც ჩვენ დავკარგეთ სამუშაო ადგილები“, — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

ბუშმა უპასუხა, რომ კრახმა საფონდო ბირჟაზე გამოიწვია ეკონომიკის დაქვეითება, გადასახადების შემცირებისთვის გამიზნულმა მისმა ინიციატივამ კი ქვეყანას შეუწყო ხელი სწრაფად გამოსულიყო რეცესიის პერიოდიდან.

ამჯერად ბუში უფრო აქტიურად გამოიყურებოდა წინა დებატებთან შედარებით, რომლებშიც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ჯონ კერიმ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები და პოპულარობის მიხედვით დაეწია თეთრი სახლის ამჟამინდელ პატრონს. სამი ტელედებატებიდან ბოლო უნდა გაიმართოს მომავალ კვირას, ოთხშაბათს, არიზონის შტატში.

# არჩევნები ავღანეთში

**მელნის გამო შაბათს ავღანეთში მიმდინარე პრეზიდენტის არჩევნები, ქვეყნის ისტორიაში პირველი საყოველთაო-სახალხო დემოკრატიული არჩევნები კინაღამ ჩაიშალა.**

ის ავღანელები, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა, ხელმოწერის ნაცვლად, ბიულეტენზე ტოვებენ თითის ანაბეჭდს, რომელიც უნდა გაკეთდეს სპეციალური მელნით, რათა გამოირიცხოს გაყალბების ყოველგვარი შესაძლებლობა.

თუმცა გაირკვა, რომ ზოგან ეს წესი დაარღვიეს, და შესაბამის საარჩევნო უბნებში შეაჩერეს კენჭისყრა.

გაეროს მისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროცესი, შესაძლოა, შეჩერდეს სხვა უბნებშიც, თუმცა, ეს არ მომხდარა. „ერთობლივმა სამეთვალყურეო საარჩევნო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება მთელ ქვეყანაში კენჭისყრის გაგრძელების შესახებ“, — განუცხადა ჟურნალისტებს ავღანეთში გაეროს მისიის მეთაურის წარმომადგენელმა მანუელ დე ალმეიდა ე სილვამ.

ავღანეთის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრირებული იყო 10 მილიონზე მეტი ამომრჩეველი.

თალიბები იმუქრებოდნენ, რომ ჩაშლიდნენ ხმის მიცემის პროცესს, ამიტომ საარჩევნო უბნებში მორიგეობს 100 ათასზე მეტი ავღანელი და უცხოელი, რომლებიც უზრუნველყოფენ უშიშროებას. და მაინც, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ მაზარი-შარიფიდან მოვიდა ცნობა, რომ მოხდა აფეთქება ერთ-ერთ საარჩევნო უბანში.

სულ კი ავღანეთის 5 ათას ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში გახსნილია დაახლოებით 25 ათასი საარჩევნო უბანი. გარდა ამისა, კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ პაკისტანში მცხოვრებ 740 ათას ავღანელ ლტოლვილს და კიდევ 600 ათასამდე ავღანელს, რომლებიც ამჟამად ირანში იმყოფებიან.

როგორც ვარაუდობენ, არჩევნების წინასწარი შედეგები უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი. საარჩევნო რბოლის ფავორიტად ითვლება სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაური ჰამიდ ყარზაი, რომელიც თითქმის სამი წლის წინ მოვიდა ხელისუფლების სათავეში. თუმცა, მას შესაძლოა მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწიონ გენერალმა აბდულ რაშიდ დუსტუმმა, რომელიც უზბეკთა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, და ქვეყნის ყოფილმა განათლების მინისტრმა, ეროვნებით ტაჯიკმა იუნის ქანუნიმ.



# გაერომ მიიღო რუსეთის მიერ შეთავაზებული რეზოლუცია

**გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რუსეთის მიერ შეთავაზებული რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს იმ პირთა ექსტრადაციისა და სასამართლო დევნის პროცესის დაჩქარებას, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ტერორისტულ საქმიანობაში.**



რეზოლუციის ავტორები მოუწოდებენ ყველა ქვეყანას სასამართლო პასუხისმგებლობას გადასცენ ან დააკმაყოფილონ მოთხოვნა იმ პირთა ექსტრადაციის შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ ან აფინანსებენ ტერორისტულ აქტებს, აგრეთვე, მონაწილეობენ მათ განხორციელებაში.

სექტემბერში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გაეროს გენერალურ ასამბლეას შესთავაზა ამ რეზოლუციის მიღება მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოთარეშეთა გააქტიურების ფონზე.

თუმცა, გაეროს უშიშროების საბჭოს რუსეთის დელეგაციის ყველა წინადადება არ მიუღია. მაგალითად, არ დაუჭირეს მხარი იდეას, რომელიც ითვალისწინებდა იმ მოქალაქეების, დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო „შავი სიის“ შექმნას, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ტერორიზმში. ეს პუნქტი ამოიღეს პაკისტანისა და ალჟირის მოთხოვნით. „მართალია, ჩვენ ყველა ვეთანხმებით იმას, რომ სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ განხორციელებული აქციები ტერორისტულია, მაგრამ არ არსებობს კონსენსუსი იმ პირთა საკითხის თაობაზე, რომლებიც ებრძვიან უცხოელთა ოკუპაციას“, — განაცხადა პაკისტანის წარმომადგენელმა გაეროში მუნირ აკრამმა. ამავე დროს, სამართალქომაგთა საერთაშორისო ორგანიზაციას „საერთაშორისო ამინისტიას“ მიაჩნია, რომ რეზოლუციის ზოგიერთი დებულების თანახმად, „შავ სიაში“ შესაძლოა მოხვდნენ მშვიდობიანი პოლიტიკოსები და ადამიანის უფლებების დაცვისთვის მებრძოლები.

# მოკლედ

**ტოკიოს** უახლოვდება ტაიფუნი, რომელიც ყველაზე ძლიერია ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში. ტაიფუნ „მაონის“ გავლის ადგილებში ქარის სიჩქარე საათში 162 კილომეტრს აღწევს. იაპონიის ჰონსიუს კუნძულის ცენტრალურ რაიონებში, შეიძლება ითქვას, რომ წყალმა დაფარა.

* * *

**ბაღდადში** განახლდა ბრძოლები ამერიკელებსა და ამბოხებულებს შორის. შეტაკებები დაიწყო, შაბათს



დილით, მას შემდეგ, რაც გაჩნდა დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩამოაგდეს ამერიკული უპილოტო მზვერავი-თვითმფრინავი.

* * *

**უკრაინის** პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა დაადასტურა, რომ 31 ოქტომბრისთვის დანიშნულ პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, იგი აპირებს რუსეთთან



ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას და უკრაინაში რუსული ენისათვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას.

* * *

**ისრაელის** ტანკები შევიდნენ ბეით-ჰანუნში. დაღუპულია ორი პალესტინელი. სამხედროებმა დაადასტურეს, რომ დაუშინეს ცეცხლი რამდენიმე სახლს, პალესტინელ ლტოლ-



ვილთა ბანაკში, რის შედეგადაც დაიღუპა ორი ახალგაზრდა პალესტინელი — მუჰამედ აჰია უდვანი და არაფატ ფაუდ ნასირი. პალესტინელთა წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ერთ-ერთი დაჯგუფების წევრები იყვნენ.

* * *

**დიდი ბრიტანეთის** საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო ჩავიდა ლივერ-



პულში, რათა შეხვედროდა ერაყში მოკლული ბრიტანელი მძევლის კენ ბიგლის ნათესავებს. „მე აქ ჩამოვედი იმისთვის, რომ მადლობა გადავუხადო ამ ადამიანებს მათი სიმტკიცის გამო და გვერდში დავუდგე ამ ძნელბედობის ჟამს“, — განაცხადა მინისტრმა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 236, კვირა, 10 ოქტომბერი, 2004 წელი.

## წმინდანების მოთმინებასაც ჰქონია საზღვარი



მექსიკის ეკლესიების მრევლის სიჯიუტემ, რომლებსაც არ სურთ ან ავიწყდებათ წირვა-ლოცვის დროს მობილური ტელეფონების გამორთვა, ამ ქვეყნის სასულიერო პირები აიძულა, უკიდურესი ზომისთვის მიემართათ.

მექსიკის უკვე ოთხ კათოლიკურ ტაძარში დაამონტაჟეს ისრაელში შემუშავებული სპეციალური სისტემები, რომლებიც ბლოკავენ ფიჭური ტელეფონების სიგნალს. მობილური ტელეფონი, უბრალოდ, ვეღარ იღებს ზარებს მას შემდეგ, რაც მისი პატრონი გადააბიჯებს ეკლესიის ზღურბლს. ახლა, როგორც მღვდელმსახურები აღნიშნავენ, მათ გამოცდილების გაზიარების თხოვნით უკვე მიმართავენ კოლეგები მთელი ქვეყნიდან.

## ჩიპი აუცილებელი ატრიბუტი ხდება



1 ოქტომბრიდან ევროკავშირის მასშტაბით შემოიღეს ახალი მოთხოვნები იმ პირთათვის, რომლებსაც უყვართ ძაღლებით ან კატებით მოგზაურობა.

ახლა ადამიანის ოთხფეხა მეგობარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩადგმული კანქვეშ ელექტრონული ჩიპი ან უნდა ამშვენებდეს მკაფიო სვირინგი. აუცილებელია, აგრეთვე, ცნობა ცოფის წინააღმდეგ აცრის შესახებ და მთელი ევროკავშირისთვის ერთიანი ახალი პასპორტი. ეს წესები უცხოელებზეც ვრცელდება, რომლებსაც ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის დროს თან ჩამოჰყავთ ცხოველები, ოღონდ მათი ოთხფეხა მეგობრების პასპორტი საერთაშორისო ნიმუშის შესაბამისი უნდა იყოს. ცხოველების მოყვარულთა გაერთიანებულ ასოციაციაში განმარტეს, რომ ახალმა მოთხოვნებმა განსაკუთრებული პრობლემები არ უნდა შეუქმნან ცხოველების პატრონებს. ჩიპირება რუსეთში უკვე გავრცელებული და უმტკივნეულო პროცედურაა.

## საქონელი, რომელიც ყველასთვის არ არის განკუთვნილი

ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელებული გამოკითხვის შედეგად ინგლისელთა სახლებში შეიძლება ვნახოთ უამრავი ელექტრო-საყოფაცხოვრებო ხელსაწყო, რომლებითაც არავინ სარგებლობს.

ამ უსარგებლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის საერთო ღირებულება 5 მილიარდ დოლარს აღემატება. ყველაზე ხშირად გვხვდება ფეხის ჯაკუზი, ტოსტერი და უნივერსალური ელექტროდანა. უმეტეს შემთხვევებში, ინგლისელები ამ უსარგებლო საყოფაცხოვრებო ტექნიკას იძენენ ინტერნეტ-მაღაზიების მეშვეობით. ფულის განიავების ეს სახეობა იმდენად პოპულარული გახდა ქვეყანაში, რომ ბევრ ინგლისელს ეს ჩვევადაც კი ექცა.



უნდა ითქვას, რომ რუსეთშიც შეიმჩნევა ინტერნეტის მეშვეობით, ეგრეთ წოდებული, ექსკლუზიური შენაძენების ბაზრის განვითარება. მაგალითად, მარტო 2004 წლის პირველ კვარტალში რუსეთში ინტერნეტის მეშვეობით ვაჭრობათა საერთო მოცულობამ 1,093 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

# ახალი ნობელიანტები

**უკვე ვიუწყებოდით, რომ შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიამ ლიტერატურაში ავსტრიელ მწერალ ქალს ელფრიდა ელინეკს მიანიჭა 2004 წლის ნობელის პრემია – ნოველებისა და პიესების ციკლისთვის.**

ის პატარა ქალაქ მიურცუშლაგში დაიბადა 1946 წელს. ოჯახი მალე დედაქალაქში გადასახლდა, სადაც გოგონა ვენის ერთ-ერთ ტიპურ კვარტალში გაიზარდა. ლიტერატურით ადრე დაინტერესდა. ამას მამას უმადლოდა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქალიშვილის ცხოვრებაში, თუმცა ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა 1972 წელს.

„დემონურ დედას" ძალიან უნდოდა ელფრიდას ვუნდერკინდობა და სასტიკი რეჟიმით ამეცადინებდა მუსიკაში. 1983 წელს გამოსულ რომანში „პიანისტი ქალი" მწერალი აღწერს რთულ დამოკიდებულებებს დედა-შვილს შორის (ამ რომანის მიხედვითაა გადაღებული მიხეილ ჰანეკის ცნობილი ერთსახელა ფილმი).

ელინეკი მალე გახდა ავსტრიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ავტორი. პირველივე საჯარო გამოსვლისას ინსბრუკის ახალგაზრდული კულტურის ფესტივალზე ორი პრემია მოიპოვა – ლირიკასა და პროზაში, თუმცა მის ტექსტებს პორნოგრაფიულობა მიაწერეს. შემდეგაც ხშირად სდებდნენ ბრალს, თითქოს პორნოგრაფიული ხასიათის წიგნებს წერდეს. ეს ბრალდება განსაკუთრებით დამძიმდა 1989 წელს, როცა დაისტამბა ელინეკის „ავხორცობა", იმდენად დამძიმდა, რომ პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა ნაწარმოების ლიტერატურული ღირსებები და ავანგარდულობა.

მწერლის პროზა ავსტრიელებისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული, თუმცა ის შეუბრალებლად აკრიტიკებს თანამედროვე ავსტრიის სინამდვილეს. 1990-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში დაიწყო ელინეკის ნამდვილი მოშხამვა – მას მოუხდა საზოგადოებისგან განდგომა და სამშობლოსადმი დამოკიდებულების გადასინჯვა. მისმა განცხადებამ – შინაგან ემიგრაციაში მივდივარ, რაკი ავსტრიაში აუტანელი გახდა ცხოვრება საზოგადო მოღვაწისთვისო – მთელი მსოფლიო მოიარა... იმედი ვიქონიოთ, რომ ელინეკის ნობელიანტობა შეცვლის ურთიერთობას მასა და საზოგადოებას შორის...

* * *

**ორი ამერიკელი სწავლული გახდა ნობელიანტი ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში – რიჩარდ აქსელი და ლინდა ბაკი. პირველი გახლავთ ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, 1946 წელსაა დაბადებული. მეორე – ქალაქ სიეტლის კიბოს პრობლემის კვლევის ცენტრის პროფესორი ქალი (დაიბადა 1947 წელს). მათ გამოკვლევას ეწოდება „ყნოსვითი რეცეპტორებისა და ყნოსვის ორგანოთა სისტემის ორგანიზაციის შესახებ".**

ერთობლივი ფუნდამენტური ნაშრომი რიჩარდ აქსელმა და ლინდა ბაკმა 1991 წელს გამოაქვეყნეს. იქ აღწერილია ათასზე მეტი იმ გენის მუშაობა, რომლებიც ადამიანის ყნოსვით რეცეპტორებში იმყოფებიან. ამის შემდეგ მეცნიერები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იღვწოდნენ, ოღონდ ისე, რომ ხშირად ავსებდნენ ერთიმეორეს. აქსელმა და ბაკმა ყნოსვის ორგანოების ფუნქციონირება ყველა დონეზე გახადეს ნათელი – მოლეკულურიდან უჯრედოვნამდე.

„ყნოსვის გრძნობა დიდხანს რჩებოდა ყველაზე იდუმალი ადამიანის გრძნობათა შორის. წლევანდელმა ლაურეატებმა გადაწყვიტეს ეს პრობლემა და თავიანთ პიონერულ გამოკვლევათა სერიაში ნათელჰყვეს, თუ როგორ მუშაობს ყნოსვის სისტემა. მათ აღმოაჩინეს დაახლოებით ათასი გენისგან (ადამიანის ყველა გენის სამი პროცენტისგან) შემდგარი დიდი ოჯახი. ამ გენებს მივყავართ ცხვირის ღრუს ზედა ნაწილის მცირე უბანზე მდებარე უჯრედებში განლაგებული ყნოსვითი რეცეპტორების იმავე რიცხვამდე, ნივთიერება-ოდორანტთა მოლეკულების გამოსაცნობად", – ნათქვამია ნობელის პრემიის მინიჭების დასაბუთებაში. ამასთანავე მითითებულია, რომ ამერიკელთა მიერ გამოყენებული კვლევითი მეთოდიკით სარგებლობა შეიძლება გრძნობათა სხვა ორგანოების შესწავლის დროსაც.

აქსელისა და ბაკის გამოკვლევები გამოიყენება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – პარფიუმერიიდან კვების მრეწველობამდე. ორი ლაურეატი თანაბრად, „და-ძმურად" გაიყოფს 10 მილიონ შვედურ კრონს (ერთ მილიონ 342 ათას დოლარს).



ელფრიდა ელინეკი.



ლინდა ბაკი.



რიჩარდ აქსელი.

იხ. მე-7 გვ.

# ხომალდი – აჩრდილი

**1943 წლის ოქტომბერში მეცნიერებმა პირველად განახორციელეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო ხომალდის „ელდრიჯი" გაუჩინარების ცდა. საესკადრო ნაღმოსანი გაუჩინარდა, საიდუმლო ექსპერიმენტის მონაწილეები კი ჭკუიდან შეიშალნენ.**

„ცოცხალი გადარჩა ეკიპაჟის მხოლოდ რამდენიმე წევრი იმათგან, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერიმენტში. უმრავლესობა გაგიჟდა და ისინი დღემდე შესაბამის დაწესებულებებში იმყოფებიან. ერთი მეზღვაური გაქრა, როცა ცოლისა და შვილის თვალწინ გადააბიჯა საკუთარი ბინის ზღურბლს, ორს კი მოულოდნელად მოეკიდა ცეცხლი – მათი სხეულებიდან ცეცხლი ერთი კვირის განმავლობაში იფრქვეოდა. მე არ ვიცი, თუ რა ენერგია გამოიყენეს მეცნიერებმა, მაგრამ მისი სიმძლავრე ძალზე დიდი იყო. ზოგს თვალები დაუელამდა, სხვები კი ხარხარებდნენ და მთვრალებივით დაბარბაცებდნენ. ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ იხილეს იმქვეყნიური სამყარო და გაესაუბრნენ იქაურებს. მალე ყოველივე ამის მოწმეები დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან, როგორც გამოუსადეგარნი და მათ ჩამოართვეს ხელწერილი საიდუმლოს „გაუხმაურებლობის" შესახებ.

ეს არის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი საზღვაო ოფიცრის კარლოს მიგელ ალიენდეს წერილიდან, რომელიც თვალყურს ადევნებდა XX საუკუნის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე იდუმალებით მოცულ მოვლენას. 1943 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კვლევითმა სამმართველომ ფილადელფიაში საესკადრო ნაღმოსან „ელდრიჯზე" (ხომალდის სიგრძე 102 მეტრი იყო, სრული წყალწყვა კი – 1520 ტონა), განახორციელა „ელექტრონული შენიღბვის" საიდუმლო ოპერაცია. ექსპერიმენტი, რომელშიც პირადად მონაწილეობდა სუპერმეცნიერი ალბერტ აინშტაინი, მიზნად ისახავდა იმას, რომ ხომალდი და მისი ეკიპაჟი გამხდარიყო „უჩინარი" ელექტრომაგნიტურ ძალურ ველში და იგი გადაეტანათ გარკვეულ მანძილზე. როგორც კარლოსი ამტკიცებდა, ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა – ნისლიანი ძალური ველის შუაგულში მოხვედრისას „ელდრიჯი" ფილადელფიაში თვალის დახამხამებაში გაქრა მხედველობის არედან, რამდენიმე წამით გამოჩნდა ნორფოლკის დოკში, შემდეგ კი ზუსტად ასევე დაბრუნდა უკან...

### მკვდარი მოწმე

სკანდალი ამ მკაცრად გასაიდუმლოებული ექსპერიმენტის ირგვლივ, მხოლოდ 1956 წელს აგორდა, როცა ასტროფიზიკოსმა მორის ჯესუპმა დაიწყო წერილების მიღება ვინმე კარლოს ალიენდესგან, რომელიც საკუთარ თავს უწოდებდა საიდუმლო „ფილადელფიის პროექტის" მონაწილეს. ბარათებში დაწვრილებით და საქმის ცოდნით აღწერილი იყო ხომალდის გაუჩინარებისა და ტელეპორტაციის ცდების შოკისმომგვრელი დეტალები, რომლებიც შეერთებული შტატების ფლოტმა 13 წლის წინ განახორციელა ცოცხალ ადამიანებზე. ყოველივე ეს შეიძლება მოგჩვენებოდა ფსიქიურად დაავადებული ადამიანის ჩვეულებრივ ბოდვად, მაგრამ მოხდა ასეთი რამ: მას შემდეგ, რაც ჯესუპმა გამოაქვეყნა „ელდრიჯზე" მომხდარ მოვლენათა თვითმხილველის ჩვენებები, ასტროფიზიკოსი მიიწვიეს ვაშინგტონში – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების შტაბ-ბინაში. როცა თავისი თანამოსაუბრის, მე-3 რანგის კაპიტნის ჯორჯ ჰუვერის მაგიდაზე იხილა თავისი წიგნი უამრავი ჩანიშვნებით, ჯესუპი ძალზე გააოცა იმან, თუ რაოდენ კარგად იყო მისი თანამოსაუბრე გარკვეული „ფილადელფიის ექსპერიმენტის" საკითხში. ჯესუპის გაოცება იმანაც გამოიწვია, რომ სამხედრომ ძალზე დიდი ინტერესი გამოიჩინა შეშლილი ადამიანის ნაამბობისადმი, ყოველ შემთხვევაში, ასე მოიხსენიეს კარლოს ალიენდე. ალიენდეს წერილების ნაწილი ჩამოართვეს ამ წიგნის ავტორს – „შესწავლის მიზნით", თვით ალიენდე კი ოფიციალურად გამოაცხადეს ძებნილად – თუმცა, ვერ იპოვეს. მორის ჯესუპმა განაგრძო „საზღვაო სკანდალის" გამოძიება, მაგრამ 1959 წელს იგი დაიღუპა უცნაურ გარემოებაში: ნახშირბადით გაგუდული ჯესუპის გვამი მისივე მანქანაში იპოვეს. ამ ტრაგედიის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობამ ოფიციალურად გამოაცხადა: „ელდრიჯთან" დაკავშირებული ხმები მისტიფიკაციაა, ასეთი რამ არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო. მოწმეებიც თითქოს აორთქლდნენო – მკვლევრებმა და ჟურნალისტებმა ვერ შეძლეს ეპოვათ თუნდაც ერთი კაცი, რომელიც თავის დროზე იყო „ელდრიჯის", ან მისი თანმხლები ხომალდის „ენდრიუ ფიურესეტის" ეკიპაჟის წევრი, სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობა მსურველებს არ რთავდა გემის ჟურნალების გაცნობის ნებას და ამ გადაწყვეტილებას ასე ასაბუთებდა: „... ამ ჟურნალების პოვნა და თქვენთვის გადმოცემა შეუძლებელია". რეპორტიორებმა სცადეს მოეძებნათ აინშტაინის ბოლო ხელნაწერები ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო უწყების არქივებში, მაგრამ ვერც ისინი აღმოაჩინეს – დიდი მეცნიერის ანდერძის აღმსრულებლებმა განაცხადეს, რომ აინშტაინმა „ხელნაწერები დაწვა გარდაცვალების წინ და მოისურვა, რომ ფერფლი მასთან ერთად დაემარხათ". მაშინათვე გაჩნდა ასეთი ვერსია: ალბერტ აინშტაინი, ალბათ, ვარაუდობდა, რომ ეს სამეცნიერო ნამუშევრები მომავალში მხოლოდ ზიანს თუ მოუტანდნენ კაცობრიობას, და ამიტომაც გაანადგურა ისინი...

### მომწვანო ბურუსი

როცა მიჩუმდა „ელდრიჯის" ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, 1969 წელს, სრულიად მოულოდნელად, ამერიკის შეერთებული შტატების ერთბაშად სამ გამოცემაში კვლავ გამოაქვეყნეს ინტერვიუ იდუმალებით მოცულ ალიენდესთან, რომელსაც როგორღაც მაინც მიაგნეს ჟურნალისტებმა. არიზონის ფენომენის შემსწავლელი ორგანიზაციის მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალის დირექტორმა ჯიმ ლორენცმა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ნამდვილად შეხვდა ალიენდეს, წარმოადგინა ფირი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ინტერვიუს ჩანაწერი. „გემის ხომალდის სახელწოდება იყო DE-173. მე ჩემი თვალით ვიხილე, თუ როგორ მუქდებოდა თანდათანობით ჰაერი „ელდრიჯის" ირგვლივ... რამდენიმე წუთის შემდეგ კი გამოჩნდა ნახევრადგამჭვირვალე მომწვანო ბურუსი... საესკადრო ნაღმოსანი ადამიანის თვალისთვის უხილავი გახდა – იხსენებს ალიენდე. – მაგრამ, ამასთან, მე შევნიშნე მისი ანაბეჭდი წყალზე. ძალური ველის ხმა ჯერ ზუზუნივით ისმოდა, შემდეგ შიშინში გადაიზარდა, ბოლოს კი ჩანჩქერივით აგრუხუნდა. დანარჩენ მეზღვაურებს უბრძანეს ასულიყვნენ ხომალდზე, მაგრამ ძალური ველი მათ უკან უბიძგებდა, თუმცა მეზღვაურებმა მაინც შეძლეს ჩაეყოთ ამ ველში ხელი". შემდეგ ყველაფერი ვითარდებოდა წინანდელი სქემით – ლორენცსთან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამხედრო-საჰაერო ძალების უმაღლესი ჩინის ოფიცრები და ჩამოართვეს ფირი, მოუწყვეს დაწვრილებითი დაკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა ადამიანი, რომელმაც მას ინტერვიუ მისცა. ამის შემდეგ ალიენდე არავისთან აღარ გამოსულა კავშირზე.



### გამოძიება გრძელდება?

„ფილადელფიის ექსპერიმენტის" განხორციელების თაობაზე ოფიციალური აღიარება დღემდე არ არის და იგი გასული საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გამოცანად რჩება. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ „ელდრიჯის" ეკიპაჟისთვის ასეთი საზარელი შედეგის შემდეგ, სამხედრო სარდლობამ „გაყინა" უჩინარობისა და ტელეპორტაციის სამუშაოები, ძირითადი ყურადღება გაამახვილა გაცილებით უფრო ეფექტიან „მანჰეტენის" პროექტზე, რომელმაც გამოიწვია ატომური ბომბის შექმნა. სხვებს კი მოჰყავთ მონაცემები იმის თაობაზე, რომ 1946 წელს გამოკვლევები განახლდა, რასაც მოწმობს ახალი ზესაიდუმლო „ლოკჰიდის" ტიპის სამხედრო თვითმფრინავების გამოჩენა. ამ საფრენოსნო აპარატების ზედაპირი შესრულებულია ელექტრომაგნიტური დასხივების მრავალი ელემენტით, მათი დაფიქსირება თითქმის შეუძლებელია მცირე სიმაღლეზე ფრენის დროსაც კი. „ლოკჰიდის" ქარხნის მუშებს შორის გავრცელებული უცნობ დაავადებათა სერია კი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ეჭვს. თუმცა მის გაფანტვას არავინ არ ჩქარობს...

**ალექსეი მარტოვი.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### სხვათა შორის

**ზოგიერთ ამერიკელ სამხედრო სპეციალისტს (მათ შორის შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ალექსანდრ შტერნს) მიაჩნია, რომ სსრ კავშირის ქალაქ ტოცკში 1954 წელს განხორციელებული ექსპერიმენტიც ასევე იყო ტელეპორტაციის ძალური ველის შექმნის წარუმატებელი მცდელობა, მაგრამ ახლა უკვე – რადიაციული ფონის მეშვეობით. მაშინ პოლიგონზე, რომელზეც ის-ის იყო გამოსცადეს ბირთვული ბომბი, გაიყვანეს 45 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი. თავისი ვერსიის განმტკიცების მიზნით შტერნი ასახელებს იმას, რომ ტოცკში ჩატანილ ტექნიკას შორის იყო ელექტრომაგნიტური გენერატორებიც – ამ მოწყობილობის ფოტოები გადაიღეს ამერიკელმა მზვერავებმა, რომლებსაც ჰყავდათ თავიანთი ინფორმატორები სსრ კავშირის გენერალურ შტაბში. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მინისტრი ვარაუდობს, აინშტაინის მეთოდიკა სწორედაც რომ ითვალისწინებდა რადიაციის გამოყენებას, რადგან ტელეპორტირებისთვის მხოლოდ გენერატორების ენერგია საკმარისი არ არის, მაგრამ 1943 წელს, უბრალოდ, ვერსად ნახავდნენ ასეთ მძლავრ რადიაქტიულ წყაროებს.**

## 1869 წლის 11 ოქტომბერი



კანადაში, მანიტობის პროვინციაში იფეთქა, ეგრეთ წოდებულმა, აჯანყებამ მდინარე რედ-რივერზე. აჯანყება დაიწყო იმით, რომ მეტისებმა (ფრანგებისა და ინდიელთა შთამომავლები), რომლებიც აღაშფოთა მათი მიწის ნაკვეთების შემცირებისათვის განკუთვნილმა კანადის ხელისუფლების კურსმა, ვინმე ლუი რილის მეთაურობით ხელთ იგდეს მანიტობის პროვინციის მთავარი ქალაქი ფორტ-გერი (ამჟამინდელი ვინიპეგი) და ჩამოაყალიბეს თავიანთი მხარის დროებითი მთავრობა. მომდევნო წელს ინგლისელებმა ჩაახშეს აჯანყება, რილი კი 5 წლით გადაასახლეს. მაგრამ სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, მან კვლავ წამოიწყო აჯანყება, თუმცა მეტისები ისევ დამარცხდნენ. 1885 წლის დამლევს ეს თავზეხელაღებული ადამიანი სიკვდილით დასაჯეს.

## 1935 წლის 12 ოქტომბერი



ყოვლისშემძლე ჰერცოგის ერნსტ ბავარიელის ბრძანებით მოკლეს აუგსბურგელი დალაქის ქალიშვილი, ულამაზესი აგნესა ბერნაუერი, რომელთანაც საიდუმლოდ დაიწერა ჯვარი ჰერცოგის ერთადერთმა ვაჟმა ალბრეხტმა. ერნსტმა აგნესა დაადანაშაულა იმაში, რომ მან „მოაჯადოვა" ჰერცოგის მემკვიდრე, და ჯადოქრობის გამო ახალგაზრდა ქალის სიკვდილით დასჯა უბრძანა თავის ხელქვეითებს. იგი დუნაიში დაახრჩვეს. აგნესა სიკვდილის შემდეგ გახდა გერმანული ხალხური სიმღერებისა და დრამატული ნაწარმოებების გმირი. მისი სახელი ფიგურირებს ასევე შუა საუკუნეების უდიდესი გერმანელი ტრაგიკოსი-პოეტის კრისტიან ფრიდრიხ ჰებელის პიესებშიც.

## 1923 წლის 13 ოქტომბერი



ყოფილი ოსმალეთის იმპერიის თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებამდე ორი კვირით ადრე, თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი სახელმწიფოს დედაქალაქის სტამბოლიდან ანკარაში გადატანის შესახებ. მოსახლეობის მიხედვით თურქეთის ეს სიდიდით მეორე ქალაქი სტამბოლზე არანაკლებ ძველია და იგი განლაგებულია მცირე აზიის ნახევარკუნძულის სიღრმეში. ანკარა იყო 1918-1922 წლების ანტიფეოდალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი.

## 1703 წლის 14 ოქტომბერი



პირველი რუსული პერიოდული გაზეთი მოსკოვის „ვედომოსტი" იტყობინებოდა, რომ მდინარე ნევის ნაპირებზე, სადაც შენდებოდა ახალი ქალაქი, უმძიმეს პირობებში უხდება მუშაობა „20 ათას მიწის მთხრელს", – ჯარისკაცებსა და მუშებს, რომლებიც მეფის ბრძანების თანახმად, აქ რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოიყვანეს. ეს ინფორმაცია პრესაში გამოჩნდა სანქტ-პეტერბურგის მშენებლობის ოფიციალური დაწყების დღიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ.

## 1877 წლის 15 ოქტომბერი



გაიმართა ამსტერდამის მუნიციპალური უნივერსიტეტის გახსნის ცერემონია, რომლის დაფუძნებისთვისაც ქალაქის ხელისუფლებას დიდი ბრძოლა მოუწია. ამ სასწავლებლის გახსნის წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებდა ლეიდენის სახელგანთქმული უნივერსიტეტი, რომლის პროფესურაც ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ პატარა ჰოლანდიას, რომელშიც ისედაც მოქმედებდა სამი უნივერსიტეტი, ახალი სასწავლებლისთვის, უბრალოდ აღარ ეყოლებოდა სტუდენტები. მაგრამ უნივერსიტეტი მაინც გაიხსნა, და ამსტერდამელებმა ეს საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს.

## 1978 წლის 16 ოქტომბერი



58 წლის პოლონელი კაროლ ვოიტილა, რომელიც 1946 წელს გახდა მღვდელი, 1964 წელს – კრაკოვის არქიეპისკოპოსი და 1967 წელს – კარდინალი (ახალგაზრდობაში იგი მსახიობი, სპორტსმენი და პოეტი იყო), ავიდა რომის პაპის ტახტზე იოანე პავლე II-ის სახელით. უნდა აღინიშნოს, რომ მას ოთხჯერ დაესხნენ თავს – 1981 წელს ფილიპინებსა და ვატიკანში, 1982 წელს – პორტუგალიაში და 1986 წელს – ინდოეთში.

## 1707 წლის 17 ოქტომბერი



იოჰან სებასტიან ბახი, მე-5 თაობის მუსიკოსი და გერმანიის ქალაქ მიულჰაუზენის ბლაზიუსკირხეს ორღანისტი, დაქორწინდა თავის ბიძაშვილზე მარია ბარბარა ბახზე, მუსიკოსისა და კომპოზიტორის ქალიშვილზე, რომელმაც მას შვიდი შვილი აჩუქა. 1720 წლის ზაფხულში მარია ბარბარა მოულოდნელად გარდაიცვალა და ბახმა წელიწადნახევრის შემდეგ იქორწინა ანა მაგდალენა ვილკენზე, სამეფო კარის მესაყვირის ქალიშვილზე. ანა მაგდალინამ იოჰან სებასტიანს კიდევ ცამეტი შვილი გაუჩინა. კომპოზიტორის 20 შვილიდან მოწიფულ ასაკს მხოლოდ ათმა მიაღწია, მისი ექვსი ვაჟიდან ხუთი მუსიკოსი გახდა. საგულისხმოა, რომ იოჰან სებასტიანამდე ბახების გვარის 76 წარმომადგენლიდან 53 ერქვა იოჰანი და ისინი თითქმის ყველა ჩინებული მაესტროები იყვნენ.

## 1978 წლის 18 ოქტომბერი

დასრულდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის მატჩი (იგი სამ თვეს გრძელდებოდა) მსოფლიო ჩემპიონს ანატოლი კარპოვსა და ამ ტიტულის პრეტენდენტ ვიქტორ კორჩნოის შორის, რომელიც 1976 წელს ჩავიდა ამსტერდამში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ეს მატჩი, რომელიც ფილიპინების საკურორტო ქალაქ ბაგიოში მიმდინარეობდა, დასრულდა კარპოვის გამარჯვებით ანგარიშით 6:5 და გახდა ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა მსოფლიო საჭადრაკო პირველობათა ისტორიაში. მატჩის უკანასკნელი პარტია გადაიდო ანატოლი კარპოვის აშკარა უპირატესობით, მაგრამ კორჩნოი პარტიის დასასრულებლად აღარ გამოცხადებულა, გამოგზავნა მხოლოდ სეკუნდანტი, რომელმაც განაცხადა, რომ კორჩნოი თავს დამარცხებულად თვლიდა.



# ახალი ნობელიანტები

(მეექვსე გვერდიდან)

* * *

**„ცილების უბიკვიტინ-გასაშუალებული გახლეჩის აღმოჩენისთვის“ — ასეა გაცხადებული სამი სწავლულისთვის ქიმიის დარგში უმაღლესი მეცნიერული ჯილდოს მიკუთვნება**



აარონ ციხანოვერი.

**ნობელის კომიტეტისგან. ორი ებრაელი მკვლევარი აბრამ გერშკო (დაიბადა 1937 წელს) და აარონ ციხანოვერი (დაიბადა 1947 წელს) ისრაელის ტექნოლოგიის ინსტიტუტის („ტექნიონი“, ქალაქი ხაიფა) თანამშრომლები არიან, ამერიკელი ქიმიკოსი ირვინ როუზი კი კალიფორნიის უნივერსიტეტის წარმომადგენელია.**

დაჯილდოების დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ „ბოლო ათწლეულებში ბიოქიმიამ გრძელი გზა გაიარა უჯრედში სხვადასხვა ცილის წარმოქმნის პროცესების ახსნის საქმეში. მიუხედავად ამისა, არცთუ ბევრი მეცნიერი დაინტერესებულა ცილების გახლეჩით. აბრამ გერშკო, ირვინ როუზი და აარონ ციხანოვერი ამ ტენდენციას დაუპირისპირდნენ და 1980-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციკლური უჯრედოვანი პროცესი — ცილების რეგულირებადი დაშლა“.

ამ სამმა მეცნიერმა დაადგინა, რომ დასაშლელად „მომართული“ ცილები მოინიშნებიან „უბიკვიტინად“ წოდებული სპეციალური მოლეკულით და მიემართებიან ასევე სპეციალურ უჯრედოვან ორგანოიდებში — პროტოსომებში, სადაც ხდება მათი გახლეჩა. უბიკვიტინი ერთგვარ „კლიტის გასაღებად“ და იმის სიგნალად წარმოდგება, რომ ცილა „განწირულია“ გასახლეჩად. პროტოსომებში მოხვედრის უმალ ნიშანი გამოეყოფა მოლეკულას და ხელახლა შეიძლება მისი გამოყენება.

* * *

**ტრიუმფული გამოდგა 2004 წელი სამი**



აბრამ გერშკო.

**აშშ-ელი ფიზიკოსისთვისაც (ისევ ამერიკელები!) — დევიდ გროსი, ფრენკ ვილჩეკი და დევიდ პოლიტცერი. ტრიუმფი მათ „ძლიერ ურთიერთქმედებათა თეორიაში ასიმპტოტის ნების-**



ფრენკ ვილჩეკი.

**მიერობის აღმოჩენამ“ მოუტანა. 63 წლის დევიდ გროსი სანტა-ბარბარას კალიფორნიის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობს, 53 წლის ფრენკ ვილჩეკი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობს, დევიდ პოლიტცერი კი პასადენის კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი გახლავთ.**

მათ მნიშვნელოვანი თეორიული აღმოჩენა ეკუთვნით ძალის წარმომქმნელი, ანუ „ფერადი“ მუხტების დარგში. ძალის წარმომქმნელი მუხტი დომინანტურია ატომბირთვში, ის პროტონისა და ნეიტრონის შიგნით კვარკებს შორისაა.



დევიდ გროსი.

2004-ის ამ ნობელის ლაურეატებმა, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი აღმოჩენა გააკეთეს. მათი კვლევის შედეგების მათემატიკური დამუშავების დასკვნებიდან გამოირკვა, რომ რაც უფრო ახლოს არიან კვარკები ერთმანეთთან, მით უფრო სუსტია მათი „ფერადი მუხტი“ და პირიქით, მიზიდულობის ძალა იზრდება კვარკების ერთიმეორისაგან დაშორების კვალდაკვალ. ამ ფენომენს დაერქვა „ასიმპტოტური თავისუფლება“. „ასეთი აღმოჩენის წყალობით დევიდ გროსმა, ფრენკ ვილჩეკმა და დევიდ პოლიტცერმა ფიზიკა კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვეს გრავიტაციის უნივერსალური თეორიის ფორმულირე-



დევიდ პოლიტცერი.

ბის დიდი ოცნების ასრულებას“ — ეს პათეტიკური განცხადებაც ნობელის კომიტეტიდან მოდის.

...საუბარი მშვიდობისა და ეკონომიკის სფეროებში წლევანდელ ნობელიანტებზე ვალად გვრჩება, რომელსაც ახლო დღეებში დავფარავთ...

სს „მადნეული“-ს სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე კრებას 2004 წლის 1 ნოემბერს 12 საათზე, შემდეგი **დღის წესრიგით:**

1. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. საზოგადოებაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საწესდებო კაპიტალში შეტანა;
3. სხვადასხვა.

**კრება ჩატარდება ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. № 64.**

სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“ იწვევს თავის აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე მოწვეული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც გაიმართება **2004 წლის 23 ოქტომბერს დღის 12 საათზე ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. № 15-ში მდებარე სააქციო საზოგადოების შენობაში.**

**დღის წესრიგი:**

1. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. სამეთვალყურეო საბჭოს გადარჩევის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სამეთვალყურეო საბჭოში.

**ქ. თბილისი 2004 წლის 9 ოქტომბერი.**
**სამეთვალყურეო საბჭო.**

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი **"ლოლიტა"** **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი **"კარიბის ზღვაზე"** **13.00** კონცერტი - დ. ხუჯაძე **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ქალაქები" - რიგა **16.05** სერიალი **"უშიშრები"** **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"კარიბის ზღვაზე"** **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი **"ხაფანგი-თანამდებობის სახით"**

**19.00** საქ. პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატთა შუალედური არჩევნები **20.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **20.25** "იმღერე რამე" **20.50** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **21.40** ფორტუნა **22.10** ბასტი-ბუბუ **22.25** მხ. ფილმი **"ლოლიტა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუტები" **10.00** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **13.30** სერიალი **"წმინდა ინგლისური მკვლელობები"** **15.25** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **16.30** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **17.25** პერეკრიოსტიკი **18.20** "ჯეტექსი" **18.45** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **19.45** პატრული **20.00** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი **"ტაქტიკური თავდასხმა"** (18). **02.00** პატრული

**07.00** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი **"ტყუპები"** **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.40** **ტვ**-მარკეტი **13.15** ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალური სერია. **14.45, 03.10** იმედის მელოდიები **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **15.20** სერიალი **"კლონი"** **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი **"ტყუპები"** **20.00** სერიალი **"კლონი"** **20.55** სერიალი **"ყავა და ლუდი"** მე-**3** ს. **22.50** საქმე **ტ** **23.20** "არჩევანი თქვენ" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** "აქტიორი" **01.35** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"**

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **10.30** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი **"ვუპი"** **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. გ. კალანდია. "გელინო" **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი **"მარია ემილია"** **16.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **21.15** სერიალი **"ვუპი"** **21.45** კრიმინ. დრამა **"სოუჯ დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"** **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"** (15) (ნ. კინსკი)

**18.00** მინისერიალი **"ბაგა – ბაღი"** **1**-ლი ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი **"ყასაბი"** (15)

**12.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **13.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **14.00** ინდ. მხ. ფილმი **"გზის გადაკვეთაზე"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი **"მილედი"** **19.20** სპექტრი **21.00, 00.30** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

## ყველაფერი ყველაფერზე

### ირანელები მოისმენენ „Queen“-ის სიმღერებს

**ჯგუფი „Queen“ პირველი დასავლური როკ-კოლექტივი გახდა, რომლის ალბომი ოფიციალრად გამოვიდა ირანში. ამ ქვეყანაში დასავლურ მუსიკას ერთობ მკვეთრი ცენზურა ეღობება; გარდა ამისა, „Queen“-ის სოლისტი ფრედი მერკური მამათმავალი გახლდათ, ჰომოსექსუალიზმი კი ირანში დანაშაულად ითვლება.**

ეგ კია, რომ ალბომი უცნაურ ბუკლეტს შეიცავს, ყოველი სიმღერის შესახებ მონათხრობით. მაგალითად, იქ წერია, რომ სიმღერა „Bohemian Rhapoody“ გვიამბობს ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც შემთხვევით ვიღაცა მოკლა და სული ეშმაკს მიჰყიდა. სიკვდილით დასჯის წინა ღამეს მან არაბულად მოუხმო ღმერთს და ასე გადარჩა.

ჯგუფის ალბომი ძალიან კარგად საღდება. იმ სხვა დასავლელ შემსრულებელთა შორის, ვისი სიმღერების კრებულებიც ირანში გამოიცა, არიან ელტონ ჯონი და ხულიო იგლესიასი. ესტრადის ბევრი ევროპელი ვარსკვლავის სიმღერათა ტექსტები აქ წიგნებადაც გამოვიდა. დასავლელი მომღერლების პოპულარობა ირანში დიდწილად იმით აიხსნება, რომ ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი ახალგაზრდობაა.



### ეშმაკის განდევნა არ მოხერხდა

**საშინელებათა ფილმის „ეშმაკის განმდევნელის“ ახალი ვარიანტი აშშ-სა და კანადაში, სალაროს შემოსავლის მოხედვით, სამიოდ დღეში პირველ ადგილზე გავიდა. კრიტიკა კი ასეთ ჩემპიონს არცთუ ალერსიანად შეხვდა. „ეშმაკმა დაგვიფაროს „ეშმაკის განმდევნელის“ ახალი სერიებისგან“ — ასეთი სათაურით გამოჩნდა რეცენზია ამ სურათზე გაზეთში „ტორონტო სტარ“; „ბოსტონ გლობი“ კი შენიშნავს: „თუ ეძებთ შეუნიღბავი ბოროტების მაგალითს, მას „ეშმაკის განმდევნელის“ ახალ ვარიანტში ნახავთ“.**

ფილმის ჩანაფიქრის თაობაზე, ჯერ კიდევ 2001 წელს გამოცხადდა, ის რეჟისორ ჯონ ფრანკენჰაიმერს უნდა გადაეღო, მთავარ როლში



მსახიობ ლიამ ნისონის მოწვევით. რეჟისორი 2002-ში გარდაიცვალა და სურათს ხელი მოჰკიდა „ტაქსის მძღოლისა“ და „ცოფიანი ხარის“ სცენარისტმა პოლ შრეიდერმა. ლიამნისონის ნაცვლად მთავარ როლში შევიდა მსახიობი სტელანდ სკარსგარდი ათამაშეს.

სტუდია „Morgan Creek“-ის ხელმძღვანელობის აზრით, ფილმი უფრო საშინელი უნდა ყოფილიყო. ამ მიზეზით პოლ შრეიდერის მაგიერ რეჟისორი რენი ჰარლინი მოიწვიეს და მთელი სამსახიობო ანსამბლი შეცვალეს, თუმცა სტელანდ სკარსგარდი დატოვეს. ამის შემდეგ სურათი ხელახლა გადაიღეს. მუშაობის პროცესში ახალ რეჟისორს რომში ავტომობილი დაეჯახა, მრავალი ტრავმა აღმოაჩნდა და ექიმებმა 14 ლითონის სამაგრი გაუკეთეს ძვლებზე. ფილმის დარჩენილ ნაწილს ჰარლინი ყავარჯნებზე შემდგარი იღებდა...

**„ეშმაკის განმდევნელი. დასაწყისი“ — ამ სერიის უკვე მეოთხე სურათია. ორი ფილმი, გაგრძელებათა სახით, 1977 და 1990 წლებში გამოვიდა.**

### ჰიტლერი სხვა ხმით ალაპარაკდება

**გერმანიაში გადაიღეს მხატვრული ფილმი „მზის ჩასვენება“, რომელშიც ადოლფ ჰიტლერი მთავარ როლში მოგვევლინა. ადრე გერმანულ კინოში განუხრელად იცავდნენ წესს — ფიურერს აჩვენებდნენ, როგორც მხოლოდ მეორეხარისხოვან ფიგურას ან ისეთ პერსონაჟს, რომელიც საერთოდ არ ჩნდება კამერის ობიექტივში.**

სურათი მოგვითხრობს ბერლინში, ბუნკერში ჰიტლერის ცხოვრების უკანასკნელი 12 დღის შესახებ. სხვათა შორის, ნაჩვენებია ცოლთან, ევა ბრაუნთან ერთად მისი თვითმკვლელობა. სცენარი დაწერილია იოჰიმ ფესტის ამავე სახელწოდების წიგნისა და ფიურერის მდივანი ქალის, ტრაუდლ იუნგეს 2002 წელს გამოქვეყნებული მოგონებების მიხედვით.

ფილმი გადაიღო გერმანელმა პროდიუსერმა, სცენარისტმა და რეჟისორმა ბერნდ აიჰინგერმა. გერმანელთა ბოროტი გენია გამოყვანილია, როგორც შოკოლადის ტორტის მოყვარული, გულკეთილი კაცი, რომელსაც თანდათან ემღვრევა ჭკუა, როცა ემსხვრევა ოცნება ათასწლოვან რაიხზე.



ჰიტლერს ძალზე დამაჯერებლად თამაშობს გერმანიაში ცნობილი მსახიობი ბრუნო ჰანცი. ერთ სცენაში ის მტირალ ფიურერს ასახიერებს, რომელიც ნაზად ეფერება აღმოსავლეთევროპულ ქოფაკს ბლონდის და მოთმინებით უსმენს მდივანს.

ჰანცის ჰიტლერი ავსტრიული აქცენტით მელოდიური რბილი ხმით ლაპარაკობს, რომელიც სულაც არ ჰგავს მიტინგებზე გამოყენებულ მის მყეფარე ფალცეტს. რეჟისორის სიტყვებით, ხმის სტილი კოპირებული იყო მშვიდი ტონით მოლაპარაკე ფიურერის ერთადერთი არსებული ჩანაწერიდან. „მზის ჩასვენება“ გერმანელი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებული სურათებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია ბიუჯეტის მიხედვით.

**ფილმს კრიტიკოსებმა კეთილი თვალით შეხედეს. მათი აზრით, სურათი ხელს უწყობს იმ ავბედითი სახის დემითოლოგიზაციის პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ პირველობს გერმანელთა ცნობიერებაში და რომელსაც ისტორიაში ვერც ერთი სხვა ფიგურა ვერ შეედრება. ოღონდ განა მონსტრი ადამიანად უნდა გამოიხატოს კინოში?...**

## სამყაროს დასასრული

**ალექსანდრე ნოვიკოვი, „არგუმენტი ი ფაქტი“.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# მალე პლანეტა უნავთობოდ დარჩება

**ბარელი ნავთობი — 50 დოლარად. ამ ნედლეულის ფასი შესაშური ტემპით ამხობს ყველა რეკორდს, და, როგორც გამოცდილი ექსპერტები ამტკიცებენ, ეს სულაც არ გახლავთ ზღვარი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ფაქტი ჩვენს ქვეყანაში არავის ახარებს, თუ არ ჩავთვლით ოლიგარქების ვიწრო წრეს. ერთს არ ახარებს იმიტომ, რომ ნავთობზე ეკონომიკის ასეთი დამოკიდებულება ძირშივე სპობს სტრუქტურულ რეფორმებს ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში. მეორენი გაღიზიანებას ვერ მალავენ, როცა ხედავენ, თუ როგორ „იბერება“ ნავთობის დოლარებით „სასტაბილიზაციო ფონდი“, რომლიდანაც ერთი ცენტიც კი არ იხარჯება ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების გაზრდისთვის. მესამენი კი, მაგალითად, ჩვენ, გულისტკივილით ადევნებენ თვალს იმას, თუ რა სწრაფი ტემპით იზრდება ბენზინის ფასი, რასაც შესაბამისად, სხვა დანარჩენი საქონლის გაძვირებაც მოსდევს...**

და ამ ნაკლებად ოპტიმისტურ ფონზე, ბევრი ალბათ, არც ფიქრობს იმაზე, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ყოველივე ეს? კერძოდ, კიდევ რამდენ ხანს იკმარებს მსოფლიოში ნავთობის მარაგი? და, საერთოდ, რა შეიძლება მოხდეს, თუ ერთ მშვენიერ დღეს, ახალი ამბების გადმოცემის დროს, მოვკრავთ ყურს ასეთ ინფორმაციას: „დღეს დედამიწის წიაღიდან ამოტუმბეს უკანასკნელი ნახევარი ბარელი ნავთობი...?“

აკადემიკოსმა ველიხოვმა, ერთხელ კიდევ ჩვენს ცივილიზაციას ნავთობის ცივილიზაცია უწოდა. იგი არ ტყუოდა: სწორედ ნავთობს უნდა ვუმადლოდეთ ასეთ არნახულ აღმავლობას. სულ რაღაც 150 წლის წინათ ნავთობი აფთიაქებში იყიდებოდა, მას იყენებდნენ ანგინით დაავადებულთა მკურნალობის დროს. 150 წლის წინათ პლანეტაზე მოსახლეობის რიცხვიც მილიარდს ოდნავ თუ აღემატებოდა. მისი აბსოლუტური უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა.

ამის შემდეგ კი გამოიგონეს ავტომობილები, გაზითა და მაზუთით მომუშავე ელექტროსადგურები, აყვავდა ნავთობ-ქიმიური მრეწველობა. ნავთობის მოპოვება უკვე რამდენიმე მილიარდ ტონას გაუტოლდა, პლანეტაზე მცხოვრებთა რიცხვიც ექვსჯერ გაიზარდა, დაიწყო ურბანიზაციის პროცესი — განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი (სწორედ იმ ქვეყნებისა, რომლებიც ბევრ ნავთობს მოიხმარდნენ), სოფლიდან ქალაქებში გადაბარგდა. მანამდე არნახული ტემპით დაიწყო განვითარება მეცნიერებამ, ადამიანი გავიდა კოსმოსში, სადენების ქსელში მოაქცია დედამიწა, ჰაერში ათასობით თვითმფრინავი გაუშვა... ავიღოთ, თუნდაც ყველაზე ელემენტარული — ტანსაცმელი. მხოლოდ სინთეტიკის წყალობით (ჩვენს ტანსაცმელში მისი წილი 40-100 პროცენტს შეადგენს) შეძლო ძალზე სწრაფი ტემპით მზარდმა კაცობრიობამ საკუთარი თავის უზრუნველყოფა სამოსით, რადგან ბუნებრივი მასალები ასეთი რაოდენობის მოსახლეობას, უბრალოდ, აღარ ეყოფოდა! სინთეტიკას (პლასტმასს) კი ნავთობისგან ამზადებენ.

ნავთობი „ცივილიზაციის სისხლია“. მისი მოპოვება წლითიწლობით იზრდება, ამ ნედლეულის მარაგი კი თანდათანობით მცირდება. ხომ არ მოხდება ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ცივილიზაციის მატარებელი უნავთობობის ჩიხში ამოყოფს თავს?

ნავთობზე მოთხოვნის კონიუნქტურის შემსწავლელმა საერთაშორისო ასოციაციამ განახორციელა გაანგარიშება, რომლის თანახმადაც, 10 წლის შემდეგ მსოფლიოში დაიწყება პლანეტის მასშტაბის კრიზისი იმის გამო, რომ ნავთობზე მოთხოვნა გადააჭარბებს მის მოპოვებას — ეს კი გამოიწვევს ისეთ ომს, რომელთანაც ერაყის ომი მოსატანიც კი აღარ იქნება.

კიდევ უფრო შავბნელი სურათი დახატა რუსეთის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ: ამ უწყების სპეციალისტებმა 1,5 წლის წინათ გამოიანგარიშეს, რომ რუსეთში ნავთობის ყველა დაზვერილი მარაგი მთლიანად ამოიწურება 2040 წლისთვის. თუმცა, სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, სამინისტრომ სასწრაფოდ შეიტანა შესწორება თავის პროგნოზში: 2040 კი არა, 2010 წლისთვის! ეს დასასრულია. თავად განსაჯეთ...

ასი წლის წინათ დედამიწელთათვის ძირითადი ენერგორესურსი ქვანახშირი იყო. ქვანახშირის ცივილიზაცია ძალზე განსხვავდება ნავთობის ცივილიზაციისგან. იგი, კერძოდ, მოითხოვს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდეს სოფლად და აწარმოებდეს კვების პროდუქტებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ქვანახშირის ცივილიზაცია ცხენით ხნავს ნიადაგს და კომბაინის გარეშე იღებს მოსავალს. ნავთობის ცივილიზაცია კი პირიქით, იყენებს უამრავ საწვავს და უხვად აფრქვევს სასუქებს.

ტრაქტორმა და ქიმიურმა სასუქებმა იმდენად გაზარდეს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება, რომ სოფლად დარჩენილი მოსახლეობის უმცირესობას ახლა თავისუფლად შეუძლია გამოკვებოს ქალაქში მცხოვრებ თანამოძმეთა უმრავლესობა. ევროპაში მცირერიცხოვან ფერმერებს მთავრობა იმასაც კი სთხოვს, რომ ძალზე არ გამოიდონ თავი, რადგან არ იციან, თუ სად წაიღონ მოჭარბებული სურსათი. ერთი საკვები კალორიის მისაღებად თანამედროვე სოფლის მეურნეობა დაახლოებით 10 კალორიას ხარჯავს. ეს არის მინერალური ნედლეულის — სათბობის, მანქანის ზეთების კალორიები, რომლებსაც ნავთობისგან აწარმოებენ.




ახლა კი, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თითქოს ნავთობი არ არის. სურსათ-სანოვაგის რაოდენობა ერთიათად შემცირდება. ეს კი შიმშილს ნიშნავს... მაგრამ საკვები პროდუქტების რაოდენობა რომ არც შემცირდეს, ეს სურსათი სოფლებიდან ქალაქებში რით უნდა გადმოვზიდოთ? მანქანები და თბომავლები ხომ ვერ იმუშავებენ საწვავის გარეშე! მდგომარეობას ვერც ის გამოასწორებს, თუ ქალაქის მოსახლეობა მასობრივად მიაწყდება სოფელს. ჯერ ერთი, ცხენით და გუთნით ასეთი რაოდენობის მოსახლეობას მიწა, უბრალოდ, ვერ გამოკვებავს — ყველას არ ეყოფა სახნავ-სათესი ფართობები. მეორეც, მსოფლიოში ცხენების სულადობამაც მნიშვნელოვნად იკლო. საიდან ვიშოვოთ ამდენი ცხენი? იპოდრომებზე ხომ არ ვეძებოთ?.. და მესამეც, ქალაქელთაგან ვის შეუძლია მიწის დამუშავება, ხვნა და თესვა? პროგრამისტებს? ბალერინებს? ტელეწამყვანებს, თუ ბირთვულ ტექნოლოგიებზე მომუშავე ინჟინრებს?

მოსახლეობის ნაწილი, უთუოდ გაიტანს თავს. მაგრამ ისინი ერთმანეთისგან მოწყვეტილი იქნებიან. რამდენიმე წლის შემდეგ, რა თქმა უნდა, თუ არ შეკეთდება, მთლიანად გაპარტახდება გზები, რადგან ასფალტის დამზადებასაც ნავთობი სჭირდება... ადამიანებს აღარ ექნებათ ელექტროენერგია. და ეს მოხდება არა იმიტომ, რომ ელექტროენერგიის ლომის წილს გამოიმუშავებენ ნავთობპროდუქტებითა და გაზ-მაზუთით მომუშავე სადგურებში, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ელექტროსადგურებში არავინ აღარ იმუშავებს.

რა ვიღონოთ? სანამ გვიან არ არის, განვავითაროთ ქვანახშირის, ჰიდრო- და ატომური ელექტროსადგურები და გადავიდეთ ელექტრომობილებსა და ელექტროტრაქტორებზე? არაფერი გამოვა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ყველა ავტომობილი მოიხმარს გაცილებით უფრო მეტ ენერგიას, ვიდრე მისი წარმოება შეუძლია ერთად აღებულ ყველა ელექტროსადგურს. ჩვენ ასი წლის განმავლობაშიც კი ვერ შევძლებთ იმას, რომ ერთისამად გავზარდოთ პლანეტაზე ელექტროსადგურების რიცხვი. ეს, უბრალოდ, არარეალურია. მდიდარ ამერიკაში, ერთ დროს, საერთოდ, შეწყვიტეს ელექტროსადგურების მშენებლობა, რადგან ძალზე ძვირი ჯდებოდა. სწორედ ამიტომ, ამ ორიოდე წლის წინათ, კალიფორნიაში გადააწყდნენ ენერგიის დეფიციტს, როცა მოხდა ელექტრობის მარაოსებრი გამორთვა.

ნავთობის ყველაზე დიდი მარაგი თავმოყრილია სპარსეთის ყურის რაიონში. ზოგიერთი ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ცივილიზებული სამყარო თუ ამოწურავს ნავთობის მარაგს, ეს არაბ-მონოპოლისტებს მისცემს ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ „ნავთობის ჯიჰადის“ გაჩაღების საშუალებას. და მართლაც, რადიკალ-ისლამისტებს რა შეუშლით ხელს იმაში, რომ დასავლეთს თავს მოახვიონ თავიანთი პირობები, მით უმეტეს, თუ „ცივილიზაციის სისხლი“ მათ ხელში იქნება?

### აპოკალიფსის სცენარი

**დოქტორი კოლინ კემპბელი — მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი ნავთობის მოპოვების სფეროში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და ნავთობის მსხვილი კორპორაციების კონსულტანტია.**

**კოლინ კემპბელს მიაჩნია, რომ ნავთობის მთელი მარაგი პლანეტაზე შეადგენს 1800 გიგაბარელს, რომლიდანაც ადამიანმა უკვე მოიპოვა თითქმის ნახევარი — 822 გიგაბარელი. ამასთან, კაცობრიობა წელიწადში კარგავს 22 გიგაბარელ ნავთობს, მაშინ, როცა მხოლოდ 6 გიგაბარელის დაზვერვას ახერხებს. ნავთობის მოპოვების პიკპერიოდი მოვა 2005 წელზე, რის შემდეგაც ნავთობის მსოფლიო მარაგი ყოველწლიურად დაახლოებით 2-2 პროცენტით გამოილევა. მომავალი წელი გახდება გარდამტეხი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში: XX საუკუნეში მისი ეკონომიკური აყვავება, დოქტორის აზრით, უკავშირდებოდა, უწინარეს ყოვლისა, იაფ და ადვილად მოსაპოვებელ ნავთობს.**

* * *

**დოქტორი მ. კინგ ჰუბერტი — ცნობილი სპეციალისტია ნავთობის რესურსების შეფასების, მათი დაზვერვისა და გამოლევის სფეროში.**

**ჯერ კიდევ 1949 წელს მან გამოაქვეყნა თავისი პროგნოზი, რომელიც დღემდე აქტუალურია. 1956 წელს ჰუბერტმა შექმნა ყველა მენავთობისათვის ცნობილი პროგნოზირებადი ნავთობმოპოვების გრაფიკი. იმავე წელს მან ჩამოაყალიბა წესი, რომელსაც ამჟამად უწოდებენ „ჰუბერტის კანონს“: „ნავთობი გამოიყენება როგორც ენერგიის წყარო მანამ, სანამ მისი მოპოვება უფრო იაფია, ვიდრე ამ ნედლეულის მიღება ელექტროენერგიის მეშვეობით. ამის შემდეგ ნავთობის მოპოვება შეწყდება იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება მისი ფულად-საკრედიტო ფასი“.**

**58 წლის განმავლობაში, 1965-2023 წლებში, კაცობრიობა მოიხმარს ნავთობის მსოფლიო მარაგის 80 პროცენტს. სწორედ ეს არის, ჰუბერტის აზრით, კაცობრიობის ცივილიზაციის უმაღლესი პიკ-პერიოდი.**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბიძაშვილები გრიგოლ და დავით სანაძეები. 1938 წელი.
მოგვაწოდა ნათელა სანაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ცოტაც გავიღიმოთ...



მიქრის ტიპი ახალთახალი „შესსოტკით". რთავს რადიოს.

— თქვენ უსმენთ რადიო „ფორტუნას", — ისმის დინამიკიდან.

— როგორ გაიგეს, რას ვუსმენ? — უკვირს ტიპს.

* * *

რაღაც დიდი და სუფთა მომინდა.

დავბანე სპილო.

მაინც ნი ტო...

* * *

— დედიკო, მეუბნებიან, რომ გიჟი ვარ.

— ვინ მეუბნება, შვილო, ამას?

— ბუზები, — ჩურჩულით უპასუხებს გოგო.

* * *

ვასილ ივანიჩი და პეტკა საფრანგეთში მიიწვიეს სიმპოზიუმზე.

ყველაფერი ნორმალურად მიდის. ბოლოს კი ერთი ფრანგი ეუბნება პეტკას.

— ძალიან გვსიამოვნებს თქვენი სტუმრობა, მაგრამ თქვენს ბოსს გადაეცით, რომ თეთრი შარვლის ქვეშ შავ წინდებს არ იცვამენ.

— მას საერთოდ არ აცვია წინდები.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ 17 წლის, ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში დამლაგებლად, მინდა ფასიანი შვებულებით ვისარგებლო ზაფხულში (კონკრეტულად 1 ივლისიდან), ვინაიდან აღნიშნული ჩემი ჯანმრთელობისათვის აუცილებელია, მაგრამ დაწესებულების ხელმძღვანელობა ამაზე უარს მეუბნება.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ რამდენად კანონიერია მათი გადაწყვეტილება?**

**ნანა ცინცაძე.**

— შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ ზაფხულში ან მათი სურვილის მიხედვით, წლის ყოველ სხვა დროს.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამავე კანონის 67-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, 18 წელზე უფრო ახალგაზრდა პირებს შვებულება ეძლევათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

**— ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში, სადაც განსაზღვრული მაქვს ყოველთვიური ხელფასი. ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, მამუშავეს 26 მაისს (ე. ი. უქმე დღეს), მაგრამ ამ დღის ორმაგად ანაზღაურებაზე ან სამაგიერო დასვენების დღის მოცემაზე უარს მეუბნებიან.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ მართლა არაფერი მეკუთვნის?**

**ნონა მახნიაშვილი.**

— საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად, უქმე დღეს (26 მაისს) მუშაობა უნდა აგინაზღაურდეთ ორმაგად ან თქვენი სურვილით მოგეცეთ სხვა დასვენების დღე.

**— გარდამეცვალე მეუღლე, რომელიც იყო სამამულო ომის ვეტერანი, არ ჰქონდა სამხედრო წოდება და პენსია ეძლეოდა თვეში 45 ლარის ოდენობით.**

**მაქვს თუ არა უფლება, მივიღო გარდაცვლილი მეუღლის პენსია?**

**ნადეჟდა ოსეფაშვილი.**

— ომის ვეტერანის პენსია ენიშნებათ უშუალოდ ომის ვეტერანებს. მათი გარდაცვალების შემდეგ მეუღლისათვის იმავე ოდენობით პენსიის დანიშვნა, რაც ვეტერანს ეძლეოდა, კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

**— რა შემთხვევაში შეუძლია მოქალაქეს დაინიშნოს ინვალიდობის პენსია და ვის უნდა მიმართოს ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად?**

**დავით ქავთარაძე.**

— ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ შრომისუნარის მუდმივად ან ხანგრძლივად დაკარგვის შემთხვევაში;

ინვალიდობის ჯგუფს და მის გამომწვევ მიზეზებს კი განსაზღვრავენ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**— გარდამეცვალა მამა, დედა მუშაობს; მე და ჩემი ძმა ვსწავლობთ უმაღლეს სასწავლებელში და ვიღებთ სტიპენდიას.**

**დამენიშნება თუ არა პენსია მამის გარდაცვალების გამო?**

**შორენა ესართია.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორივე მშობლის კმაყოფაზე მყოფ შვილებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია მამის ან დედის გარდაცვალების გამო იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეორე მშობელი მუშაობს; ასე რომ, თქვენ და თქვენს ძმას, მიუხედავად იმისა, რომ სწავლობთ და იღებთ სტიპენდიას, მამის გარდაცვალების გამო პენსია მაინც მოგეცემათ 23 წლის შესრულებამდე.

**ირინე ღლონტი.**

## დაზუსტება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აზუსტებს სამედიცინო დანიშნულების საგნების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებისა და ხელოვნური ორგანოების), სამედიცინო და ტექნიკური ინვენტარის შესყიდვაზე ღია საერთაშორისო ერთეტაპიან ტენდერის შესახებ გაზეთში 2 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებას:

მწარმოებელი ფირმის ავტორიზაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო წინადადებასთან ერთად და არა საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, როგორც ეს განცხადებაშია მითითებული.

## ლარის კურსი

**10 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| **ინგლისური გირვ.** | **1** | **3.2819 ლარი** |
| **აშშ დოლარი** | **1** | **1.8349 ლარი** |
| **ევრო** | **1** | **2.2645 ლარი** |
| **რუსული რუბლი** | **1** | **0.0628 ლარი.** |

## ვინ რით ერთობა

**სიმღერები ურჩევნია**



**ამ კვირას შეერთებულ შტატებში გამოვა ბობ დილანის მემუარების წიგნი „ქრონიკები. ტომი I". როგორც ავტორი აცხადებს, წიგნზე მუშაობას მისთვის არანაირი სიამოვნება არ მიუნიჭებია.**

დილანს მიაჩნია, რომ მას სიმღერების შექმნა უკეთ ეხერხება, რადგან შეუძლია, სიმღერები უხვად გააჯეროს სიმბოლიზმითა და მეტაფორებით. მაგრამ „როცა შენ წერ მემუარებს, იძულებული ხარ თქვა სიმართლე, რომელიც ყველამ სწორად უნდა აღიქვას", — აღნიშნა ბობ დილანმა.

**ახალ პროექტს ამზადებს**

**იულია ბორდოვსკაიამ „ნტვ"ტელეკომპანიაში დატოვა პროგრამა „ქვეყანა და მსოფლიო" და ახლა ახალ პროექტს ამზადებს.**

მოარული ხმების თანახმად, ბორდოვსკაიას ადგილს დაიკავებს „ნამედნის" ყოფილი კორესპონდენტი იულია პანკრატოვა.



**მეცნიერები ჯექსონით დაინტერესდნენ**



**მაიკლ ჯექსონი გახდა ამერიკის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და მასწავლებელთა სამეცნიერო კვლევის ობიექტი.**

იელის უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც განიხილეს მომღერლის კარიერის რასობრივი, სექსუალური და არტისტული ასპექტები. მეცნიერებს დაგეგმილი აქვთ, ახლო მომავალში გამართონ შეხვედრები, რომლებიც მიეძღვნება სხვა პოპ-ვარსკვლავებსაც, მაგალითად — მადონას.

## დედაქალაქი

# „ბოშათა ბანაკი" ცას კი არ გაემგზავრა, რუსთაველთან დაბანაკდა

**რამდენი რამ გტკივა, ჩემო თბილისო! გტკივა და მერე როგორ. ჯერ იყო და, დიდ რუსთაველს „მაკდონალდსი" მიუშენეს. ატყდა ვაი-უშველებელი, მაგრამ... „ზემელის ჩარჩოებში ჩაეტიაო", და გავჩერდით. მამადავითი დავფარეთ უზარმაზარი, არათბილისური არქიტექტურით... და მაინც გავჩერდით, ხმა არ ამოვიღეთ. რუსთაველის პროსპექტი „თბილისბაზრობად" გადავაქციეთ ქუჩაში მოვაჭრეებით და... გავჩერდით. წერე და იკითხე. არადა, ტკივა ჩემს თბილისს, ტკივა და, მერე როგორ. იქ სადაც ადრე თბილისურ „ბირჟას ყრიდნენ" (ოთხი კაცი „ბირჟააო", — ეხსომებათ ჩემს თბილისელებს), ახლა განუკითხაობა გაბატონებულა.**

ჩემს ბავშვობაში მშვენიერი ფილმი გადიოდა, სწორედ რუსთაველზე, „ოფიცერთა სახლში" — „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება". მიდიოდნენ ამაყი ბოშები, თავისუფლების მოყვარულნი და ძლიერნი, სხვათაგან დათრგუნულნი, მაგრამ მაინც ამაყნი. უნასივით გაჭიმულიყო ფორნები, სევდიანი გიტარის აკომპანიმენტითა და მომხიბლავი სვეტლანა ტომას მაცდური გამოხედვით. მიდიოდნენ ცისკენ, თავიანთი სალოცავისკენ. სხვაგვარად არ ძალუძდათ, რადგან ბოშა ბოშა იყო, თავისი წესისა და ტრადიციის არგადამხვევი..

ახლა უკვდავი რუსთაველის ძეგლთან დაბანაკებულან, თავიანთი ჭრელა-ჭრულა ბანაკი დაუციათ, „კოკაკოლათი" მოხატული. ბიჭი ხარ და, გაეკარე, გაეკარე და...

ისევ ჩემი ბავშვობა მახსენდება ოსი მილიციონერის შეძახილნაზავი, როცა „ზემელზე" „ნახალოვკიდან" გამოვდიოდით — „ოთხი კაცი ბირჟაა, აიყარეთ, ბიჭებო!"

აიყარეთ, ბოშებო! რუსთაველს ნუ შემივიწროვებთ, ნუ წამიბილწავთ ამჯერად დარჩენილ ლამაზ მოგონებებს.

აქ პაემნებისა და სიყვარულის ადგილია.

**მამუკა ვაშაკიძე.**

ვალერი ხუც[illegible] ფოტო.





## მოდა

# პიკანტური კოსტიუმები მილანის პოდიუმზე

**მილანის მოდის კვირეულში ბევრი ცნობილი მოდელიერი მონაწილეობდა. მათ 2004-2005 წლის მიმართულებები წარმოადგინეს. დოლჩე და გაბანა, კრისტიან ლაკრუა, გუჩი, ჩერუტი, ლა პერლა, აი, იმ წამყვან დიზაინერთა არასრული სია, რომლებმაც წლევანდელ მოდაში ამინდი შექმნეს და დეფილეზე დამსწრე მაღალი საზოგადოება, მათ შორის ცნობილი ფეხბურთელები ჯენარო გატუზო, კრისტიან ვიერი, მასიმო ამბროზინი, მოდასაყოლილ მეუღლეებითურთ, პიკანტური კოსტიუმებით დიდად აღაფრთოვანეს.**

ამ სეზონის კოლექციაში **კრისტიან ლაკრუამ** აქცენტი სპორტული სტილის სამოსზე გააკეთა, — მან ბლუზონები, ქაკეტები, ქვედაბოლოები, ჟილეტები და შარვლები სპორტულ სტილში წარმოადგინა. კოსტიუმების შექმნისას ვარდისფერი, სალათისფერი









და ფირუზისფერი გამოიყენა, მასალად კი, უმეტესად, აბრეშუმი შეარჩია. სწორედ ამიტომ, პოდიუმზე მოსიარულე მოდელები ჰაეროვნად და დახვეწილად გამოიყურებოდნენ.

**დოლჩე** და **გაბანას** გემოვნებისა და სტილის თაყვანისმცემლები პოპულარულ ადამიანთა უმრავლესობაა. დომენიკო დოლჩემ და სტეფანო გაბანამ თავიანთი კოლექცია ლონდონის საკლუბო სტილს მიამსგავსეს. მათი მოდელების ჩაცმულობა და მაკიაჟიც კი, ზედმეტი ექსტრავაგანტურობით გამოირჩეოდა. განუყრელი მეგობრების შემოქმედებას, როგორც ყოველთვის, არ აკლდა გამბედაობა, ენერგიულობა, მრავალფეროვნება და ბუნებრივია, ახალი იდეები.

**ლა პერლა** — იტალიური მოდის ეს სახლი მსოფლიო ბაზარზე მდიდრული საცვლების წარმოებით არის ცნობილი. ამჯერად მან წარმოადგინა საცვლები რომანტიკული ღამისთვის. ლა პერლა მოდელებს ტრადიციულისა და ელეგანტურობის შერწყმით წარმოაჩენს. პოდიუმზე მოსიარულე მანეკენები, მოდის ამ სახლმა, რომანტიკული საღამოს მომლოდინე ქალებივით გამოაწყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ლა პერლას მოდელები ინდივიდუალურ გემოვნებასაც გულისხმობდა.

**გუჩის** კოლექციაში წარმოდგენილი კოსტიუმების აქცენტი ქალის წელზე იყო გადატანილი, ამ სახლის წამყვანმა დიზაინერმა ტომ ფორდმა კორსეტები მინიმალურ ზომებში წარმოადგინა და ქალებს წელი კიდევ უფრო დაუწვრილა. გრძელი ქვედაბოლოები, გამოყვანილი ატლასისა და ნეილონის ბლუზონები, კოლექციას შუა საუკუნეების ელფერს მატებდა.

მოულოდნელობებით აღსავსე დიზაინერმა **რობერტო კავალიმ,** შეიძლება ითქვას, მხიარული მოდელები შემოგვთავაზა, რომლებიც მაყურებელს საკარნავალო განწყობილებას და გასული საუკუნეების მდიდრული მოდის ნოსტალგიას უქმნიდა.

**ჩერუტის** მოდელების გამოსვლა რეპერების წვეულებას უფრო წააგავდა, თუმცა, ამ გაბედულმა კოლექციამ კრიტიკოსების მოწონება მაინც დაიმსახურა. მისი უახლესი და ძირითადი სტილი მოკლე ჟაკეტები, ფართო, განიერი პალტოები და მაღალქუსლიანი ჩექმები გახლდათ. ჩერუტის მიერ წარმოდგენილი ქალი ამჯერადაც სექსუალური, ძალიან თანამედროვე და ამავდროულად ქალურია.

**კარლ ლაგერფალდის** მოდელები კი, ჩვენებაზე უჩვეულოდ ბრწყინავდნენ, რომანტიკულ იერს ვერცხლისფერ-ვარდისფერი მაკიაჟი ანიჭებდათ. ლაგერფილდმა, ამჯერად, ქალის სუპერთანამედროვე სილუეტი დაგვანახა.

მილანში გამართულმა ჩვენებამ ცხადყო, რომ წამყვან დიზაინერებს, როგორც ყოველთვის, არ დაუშურებიათ ფანტაზია და ენერგია ახალი, საინტერესო კოლექციების შესაქმნელად და ამასთანავე, მოდის ისტორიაში თავიანთი სახელების კიდევ ერთხელ გასაბრწყინებლად.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: მილანის კვირეულზე წარმოდგენილი მოდელები.**

## სულთათანა

## ლაშა გახარია

# ლექსის საფლავი

**11 ოქტომბერს მისი დაბადების დღეა. ორმოცდაჩვიდმეტისა გახდებოდა... ყელში ლექსის მეტასტაზები ჩაეხლართა და იმ დროს მოახრჩო, როცა თავს ისევ რითმით ინუგეშებდა: „მერა რაა რომ, თუკი კიბო მჭირს, ლუდსაც ხომ უნდა მისატანები". ჩვენი ულამაზესი, უკეთილშობილესი და უნიჭიერესი ძმა, პოეტური სტრიქონის „ჭია", რითმის ჯადოქარი, ჟურნალისტური პროფესიის მშვენება (32 წლისას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება!), წერა-კითხვის უცოდინართათვის დაუნდობელი სტილისტი, შინაგანი პასუხისმგებლობით აღსავსე კრიტიკოსი, მარად გულუბრყვილო ბავშვი და ქართული პოეზიის შეუდარებელი დეკლამატორი...**

**არ დასცალდა. მაინც საკმაოდ მოიჭირნახულა. სამი კრებული გამოვიდა. მეოთხეც მალე გამოვა. მეგობრები უკვე ამზადებენ რჩეული ლექსების ერთტომეულს. ამ ტომში რამდენიმე ისეთი ლექსია, ნებისმიერი აღიარებული პოეტი რომ ინატრებდა მის ავტორობას. ლაშა გახარიას, საერთოდ, უხეირო ლექსი არც შეუქმნია. ღმერთის მიერ ნაბოძები ნიჭით გამოირჩეოდა...**

**ლექსები, რომელთაც დღეს წარმოგიდგენთ, სტუდენტობის წლებშია დაწერილი. თავად განსაჯეთ, ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის თუ არა გამორჩეული ყურადღება.**

**ამიტომაც გავისარჯეთ. მის დაბადების დღეებს ხვალ და ზეგ ნაღდი პოეზიის მოყვარული უამრავი ქართველი გადაიხდის...**

**სპარტაკ ქოზულია.**

### ფიროსმანის დედა

ტივზე აბამენ კრავებს,
ტიკებს იუუდებს სურა,
ბინდდება, ველებს ღამე
ცისფერი ყავრით ხურავს.

როგორც მადონას სახე
მთებს მთვარე მოაქვთ ხატად,
ტოვებს კინტოთა ბაღებს,
ტივსა და კრავებს ხატავს.

მისი დარდი რომ არყად
გამოეხადათ, მჯერა,
მისგან გამომთვრალ მხატვრებს
ემინებოდათ ჯერაც.

წუხელ სიზმარი ნახა:
ცას მუდარებით სთხოვდა
მუხლებმოყრილი დედა,
ცა ყორნის ფრთებით თოვდა.

ყვავი კორტნიდა თვალებს,
მთვარეს ღრუბელი სდევდა,
წამოიძახა „ვაჰმე" —
გაუჩინარდა დედა,

აკანკალებულ ხელში
ფუნჯი შემოხვდა ბედად,
დახატა დედის სახე,
გაუჩინარდა დედა.

### პატარძეულის იანო...

— პატარძეულის იანო,
ჭმუნვით რათ დაიხარენით?
— გოგლას წყაროში მზე იწვა,
ჩვენ შურით ავიყარენით,
დავგრიხეთ ულო-ბაწრები
ცხრა მხრიდან მივეჭარენით.
— წყალს ნუ გვართმევო! — შევკადრეთ
ტყვედ გვსურდა, ავეშარენით.
მზემ გაგვიღიმა, ბაწრები
დაიწვა, დავიხარენით,
გვითხრა: მოდითო კარგებო
აგრე რათ წამემდურენით?!
მე ვარო ქვეყნის მეუფე,
წყაროთა დამმუშურები.
ჩემს მკერდზე თუ იცეკვებთო
წყალს გაგატანთო სურებით!
— გავბრიყვდით წყალში ჩავედით
დაგვეწვა ფეხის გულები.

### როცა დარდის ცა...

როცა დარდის ცა ღამეს ვერ იტევს,
დაღლილი ხელი სარკმელს გააღებს,
არის სათქმელი,
რასაც ვერ იტყვი,
არის გრძნობები, რომ ვერ გაამხელ.
ლამპის, საწოლის
და კედლის
იქით,
ქარი კვდება და
წვიმა სცრის გარეთ,
და თითებშუა ილევა ფიქრი,
და ფერფლის ცრემლი
წვდება სიგარეტს.
საფერფლეს მოჭგავს
მაშინ წარსული,
ფიქრის ლოდები დევს საჭრეთელთან.
და მარმარილოს ხალათჩაცმული
მწუხარე ლანდი დგება კედელთან.
ის ითხოვს თავის წართმეულ თვალებს,
რომლითაც ცაში ვარსკვლავებს თვლიდა
და უშრიალებს
ქვის ხალათ-ქარი,
რომ სამუდამოდ განვიდეს ქვიდან...
როცა დარდის ცა...

### მოკვდება ქარი...

ყველა ჰოეტი ჩემი მტერია,
ჩემი მეტრია ლექსი ყოველი,
რადგან მე ლექსით ვცოცხლობ
და ვსუნთქავ,
რადგან მე ლექსის საფლავს მოველი...



და როცა ბოლო ქარით ჩავქრები
მიიმინებენ თეთრი ზარები —
ზედ მომაყრიან ბელტად სტრიქონებს
თავაშვებული ლექსის ქარები.
არა, ულექსოდ არ მიმღერია,
და ბოლოს ლექსის საფლავს მოველი,
ლექსებით ვცოცხლობ,
ლექსებით ვსუნთქავ,
ლექსია ჩემი სვეტიცხოველი.

### მზესუმზირა

შენ მზეს უმზერდი,
აწ დამშრალი და უსიცოცხლო
ანაგვიანებ ქუჩებსა და
ცირკის ტრიბუნებს.
შენ ცა გიყვარდა
და მზეს სვამდი მთვარისფერ ბაგით
მზეს, მზეს ვერასდროს
ვერ დაიბრუნებ.

### შემოდგომა

ჩალა ხეებზე ასულა
დაღონებულან ყანები,
ასკილი ქარმა დასუნა
დაწითლებია თვალები
თეთრი ნისლების მანდილი
წაბლმა ტოტებით გაცვითა
ცელი მოდისო, სათიბმა
მუხლები აიკაჰიწა.

* * *

როცა დაღლილი კიბეს აივლი
და მიხაკები დახრიან თავებს,
შინ დაგიხვდება თეთრი ყვავილი.
ბავშვები შიშველ თოჯინას რთავენ.

შემოგაჰარებს ბიჭი წუნარად და,
როგორ არისო, გკითხავს მამაზე,
გოგო კი აღებს წითელ კარადას
და უცხო ბარათს შემოგთავაზებს.

გაფითრებული დაჰხედავ ბარათს,
წყვილი ცრემლები მოწყდება
თვალებს,
ვიღაც ბნელ ქუჩას დაჰყვება
წუნარად
და მიხაკები დახრიან თავებს.

ძმისწული — მელორ ტყეშელაშვილი, რძალი ციცინო წიგნაძე, მანონი, მარიკა, მერაბ ტყეშელაშვილები ოჯახებით იუწყებიან
ილია ტყეშელაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika